

იოსებ ვეგრელიძე

სიძველეები
ლიახვის
ხეობაში

2

იოსებ მებრეღიძე




სიძველეები ლიახვის ხეობაში


პაგარა ლიახვის, ფრონის, ფანისა და
ჯეჯორის ხეობები

წიგნი მეორე

გაზეთ „საშრობლო ფორტის“ გამოცემა
19 თბილისი 97

ს.ბ.





ლოიახვის ტეობის სქემა

ნაშრომი წარმოადგენს „საქართველოს“ მიერ გამოცემული და საერთოდ მოწონებული ავტორისავე წიგნის „სიძველეები ლიხვის ხეობაში“ (თბილისი, 1984 წ.) მეორე ნაწილს. მასში აღწერილი და შესწავლილია დასახელებული ხეობათა IX—XIX საუკუნეების საცხოვრებელი, თავდაცვითი და საკულტო ნაგებობანი, მათი და საფლავის ქვათა ისტორიული მნიშვნელობის წარწერები, ფიქსირებულია ლეგენდები, გადმოცემები, ეთნოგრაფიული, გეოგრაფიული და სხვა მასალები. დახასიათებულია თანამედროვე მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება. ყოველივე ეს ილუსტრირებულია ფოტოსურათებითა და ჩანახატებით.

წიგნი სასარგებლო იქნება სპეციალისტებისა და მკითხველთა ფართო წრეებისთვისაც.

ნაშრომი გამოიცა ელზარდ ზეპარდნაძის ფონდის „დემოკრატიკა და აღორძინების“ ხელშეწყობით.

რ ე დ ა ქ ტ ო რ ი — ალექსანდრე ლლონი, ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი :

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი გ. თოგოშვილი,
მწერალი — ფოლკლორისტი ი. კავკაზაგი, და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი შ. ონიანი.

ნაშრომის გამოცემის ისტორია

მამაჩემმა ლიახვის ხეობის სიძველეების შესწავლა 1948 წლიდან, ცხინვალის პედიუსტიტუტში ლექციების კითხვის პარალელურად დაიწყო. ამ ხნის მანძილზე გამოქვეყნებულ 17 ნაშრომზე მუშაობა საკმაოდ ძნელ პირობებში უხდებოდა. მასალებში ასეთი ჩანაწერიც ვნახე — არავეინ ხელი არ შემეწყო, პირიქით მიშლიდნენ. ამაში ადვილად დავრწმუნდი, როდესაც სხვადასხვა ინსტანციაში 17 განცხადებას წავაწყდი. თავიდანვე ნაშრომის სრული სახით გამოცემის წინააღმდეგი 50-იანი წლების დასაწყისში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობა წასულა იმ მიზეზით, რომ ამ საკითხებზე მისი თანამშრომლები მუშაობდნენ და გამოცემასაც აპირებდნენ. მუშაობა კი გრძელდებოდა. — დღიურში აღნიშნულია „ღღესაც სტალინირის სიძველეებზე ვმუშაობ. ათას მანეთამდე ჩემი ფულიც მაქვს უკვე დახარჯული (მოგზაურობა, ფოტო და სხვა), მაგრამ ეროვნული საქმეა და მინდა დავასრულო“.

1953 წელს, მამაჩემი საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, მ. ზოდელავას, განცხადებით ატყობინებდა ლიახვის ხეობის მრავალი ისტორიული ძეგლის აუცილებელი ყურადღების მიქცევაზე, რომლის განადგურებაც დაწყებული იყო და სთხოვდა „დიდი ლიახვის ხეობის სიძველეების“ 10 ფორმიანი ნაშრომის რომელიმე გამომცემლობის გეგმაში შეტანას. შემდგომი ნაბიჯი 1955 წელს გადაიდგა, როდესაც ძეგლთა დაცვის კომისიას მიმართა შესწავლილი ძეგლების წარწერთა დასახუსტებლად ერთ-ერთიანი მივლინება მიეცათ და დახმარებოდნენ 1956 წლის რომელიმე საგამომცემლო გეგმაში შეტანაზე. არ გაჭრა იმანაც, რომ ნაშრომის ისტორიულ ღირებულებასთან ერთად, მითითებული იყო პოლიტიკურ აქტუალობაზეც.

ამ დავაში 1957 წელიც დადგა. რადგან ამ ეროვნული საქმისთვის თბილისელმა ჩინოვნიკებმა ვერ მოიცალეს, მამაჩემმა კვლავ სამხ-



რეთ-ოსეთის „სახელგამს“ მიმართა. ნაშრომი 1960 წლის სექტემბერში ცემლო გეგმაში შეიტანეს. აწყობის წინ, იგი სამეცნიერო — კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებს გადასცეს. მათ იგრძნეს რა ნაშრომის ეროვნული ხასიათი, თავიანთი რეცენზიებით გამოცემა შეაჩერეს. საბაბად ჯერ მოიტანეს, თითქოს ავტორს გამოყენებული არ ჰქონდა თოგოშვილის ბროშურა, რომელიც ნაშრომის გამომცემლობაში ჩაბარებიდან ორი წლის შემდეგ გამოვიდა. დანარჩენი შენიშვნებიც მხოლოდ ტექნიკურ მხარეს ეხებოდა. ამიტომ მამაჩემმა, წიგნის საგამომცემლო გეგმაში აღსადგენად მიმართა საოლქო კომიტეტის მდივანს ვ. კოზაევს, მაგრამ უშედეგოდ. სამართლიანობის აღსადგენად, ავტორმა საქართველოს ცკ-ის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგეს მ. გოგიჩაიშვილსაც მიმართა — აქაც დუმილი დახვდა. საკვირველი კი ის იყო, რომ ცნობილი მეცნიერები გ. ჩუბინაშვილი, ს. კაკაბაძე, ალ. კალანდაძე, ვ. კრაჩკოვსკაია ნაშრომს მალალ შეფასებას აძლევდნენ, ხოლო ჩინოვნიკური აპარატი კი წინააღმდეგობას მთელი ძალით უწევდა.

ამასობაში 25 წელმა განვლო. ნაშრომი 24 თაბახამდე გაიზარდა და ავტორმაც გამომცემლობა „ხელოვნებას“ მიმართა. წიგნის დიდი მოცულობის გამო, მისმა დირექტორმა დახმარებისთვის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტსა და სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ფ. სანაკოევს მიმართა. თითქოს, 1975 წლის აპრილში გადაწყდა კიდევაც გამომცემლობა „ირისტონში“ დასტამბვაც, მაგრამ 1976 წლის 3 ივნისს, მისმა დირექტორმა გ. ბესაევმა, წიგნის დიდი მოცულობის გამოცემის შეუძლებლობის საბაბით, ნაშრომი ავტორს ფოსტით სახლში გამოუგზავნა. სინამდვილეში კი უარი იმიტომ მოვიდა, რომ წიგნს „ლიანვის ხეობის სიძველეები“ ერქვა. მახსოვს, მამაჩემი ამბობდა, რომ სამხრეთ-ოსეთის ოფიცოზს შეუთავაზებია დაბეჭდვა, თუ სათაურად იქნებოდა „სამხრეთ-ოსეთის მხარის სიძველეები“. ამ წინადადებაზე მამაჩემი არ დათანხმდა — ეს სამხრეთ-ოსეთის კი არა, ლიანვის ხეობის ქართული სიძველეებიცაა. ასეთი იყო მისი პასუხი. ამიტომაც მეცნიერს 27 წლის ნალვაწი ნაშრომი შეუფერებელი პასუხით ფოსტით გამოუგზავნეს. უარის არგუმენტაცია იმდენად უსუსური და არაკორექტული იყო, რომ ავტორთან დალაპარაკებაც ვერ გაბედეს.

1976 წლის 23 ივნისს მამაჩემმა მიმართა საქ. მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს. 27 ივლისის პასუხში ნათქვამი იყო, რომ სა-



კითხი გადაწყდებოდა ნოემბერ-დეკემბერში 1977 წლის გამოცემის
 ბათა გეგმების დაზუსტებისას.

ასეთი თავ-გადასავლის შემდეგ, ნაშრომის პირველი ნაწილი 1984 წელს გამოცემლობა „საქართველომ“ დასტამბა. მეორე ნაწილი კი დღემდე გამოუცემელი იყო და მისი დარდი მამაჩემმა იმქვეყნად გაიყოლა. დღიურის ერთ-ერთ ჩანაწერში აღნიშნულიც ჰქონდა — საზღაპროა ჩემი საქმე, მთელი ძალ-ღონე სხვისი ნაშრომების გამოცემას მოვანდომე და არა მგონია ჩემსას ასეთივე პატრონი გამოუჩნდესო. საბედნიეროდ ასე არ მოხდა. ვინ იცის ეს წიგნი მკითხველამდე როდის მიაღწევდა, რომ ედუარდ შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების“ პრეზიდენტი, ნუგზარ ფოფხაძე სულგრძელად არ დამხმარებოდა.

გასულ წელს ბატონ ნუგზართან ინტერვიუსთვის მივედი. მან გულთბილად მიმიღო და საქმის გარდა სხვა საკითხებსაც გადავწვდით. საუბარი მამაჩემზეც ჩამოვარდა, რომელსაც იგი იცნობდა და გარდაცვალების გამო გულსიტკივილი გამოთქვა. ბატონმა ნუგზარმა, ვაიგო რა სადღეისოდ მეცნიერულად და პოლიტიკურად აქტუალური წიგნი გამოუცემელი იყო, უყოყმანოდ დახმარება აღმითქვა და უმოკლეს ხანში სიტყვა ვაჟკაცურად შეასრულა. ახლა საშუალება მაქვს, გაწეული ამავისთვის, ბატონ ნუგზარს, განსაკუთრებული მადლობა მოვახსენო და კიდევ მრავალი ეროვნული საქმის გაკეთება ვუსურვო.

დიდ მადლობას მოვახსენებ, მამაჩემის სიყრმისა და მთელი ცხოვრების მანძილზე უღალატო მეგობარს, პროფესორ ალექსანდრე დლონტს, რომელიც ცრემლმორეული, სიხარულით დამთანხმდა რედაქტორობაზე და წინასიტყვაობაც რამდენიმე დღეში გადმომცა.

მადლობას ვუძღვნი მამაჩემის მეგობრებს, დოცენტებს მიხეილ ცოტინაშვილსა და ნოდარ მესხრიკაძეს, რომლებმაც ცალკეული სპეციფიკური საკითხების დასაზუსტებლად კონსულტაცია გამიწიეს.

არ შემიძლია მადლიერებით არ მოვიხსენიო, ამ წიგნში დაბეჭდილ უმრავლეს ფოტოების ავტორი ბატონი მიხეილ მინდიაშვილი, რომელიც მამაჩემს წლების მანძილზე უანგაროდ ეხმარებოდა.

სამაჩაბლოში შექმნილი რთული პოლიტიკური ვითარების გამო ნაშრომის პოლიტიკური მნიშვნელობა მეტად აქტუალურია, რომლითაც უდავოდ დასტურდება ყოფილ სამხრეთ-ოსეთის ტერიტორიაზე არსებულ ძეგლთა ქართული წარმომავლობა. ეს გარემოება კი მეცნიერულად უარყოფს, სადღეისოდ ოს სეპარატისტთა მცდელობას,



თითქოს აღნიშნული ტერიტორია ოსების ისტორიული სამშობლოა, მხრივ მცდელობები არის. 1994 წელს, სანკტ-პეტერბურგში პოლიგრაფიულად მაღალ დონეზე გამოიცა წიგნი „ოსეთი და ოსები“, სადაც თანდართულ რუქაზე ჩრდილოეთი და სამხრეთი ოსეთი ალანის სახელწოდებით ერთ სახელმწიფოდაა წარმოდგენილი.

ვფიქრობთ, რომ ნაშრომის „სიძველეები ლიხვის ზეობაში“ ორივე წიგნი ყოველგვარ ეჭვებსა და სხვაგვარ მოსაზრებებს გაფანტავს და ხელს შეუწყობს ისტორიული სიმართლის დაცვას.

გუბაზ მეგრელიძე,

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი

[Faint, mostly illegible text, likely bleed-through from the reverse side of the page.]

ახტორის აპანი

ჩვენი ნაშრომის გამოქვეყნებული ნაკვეთებისადმი სპეციალისტების და რიგითი მკითხველის მხრივ დაინტერესებამ გვიკარნახა, რათა წინამდებარე წიგნის გამოცემული და გამოუქვეყნებელი თავები გაგვეერთიანებინა, გადაგვეხედა მეორადი პუბლიკაციის ნაწილისათვისაც ისიც დაგვეზუსტებინა, მასში დამატებითი ცნობებიც შეგვეტანა და უახლოესი ლიტერატურაც გაგვეთვალისწინებინა. რაზეც თავთავის ადგილებზეა მითითებული. ამგვარად, აქ წარმოდგენილია სხვა სამუშაოების პარალელურად სხვა დროს 35-ზე მეტი წლის განმავლობაში მიმდინარე კვლევა-ძიებისა და ნაფიქრ ნააზრევთა ერთი შედეგთაგანი, რაც კერძო ინიციატივითაა შესრულებული და არა სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯზე.

დაბოლოს მადლობით გვინდა მოვიხსენიოთ აწ განსვენებულნი: აკად. გიორგი ახვლედიანი, პოეტი აკად. გიორგი ლეონიძე და პროფ. სარგის კაკაბაძე, რომლებიც დიდი თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ამ საქმეს, ნაშრომის ცალკეულ თავებს გამოქვეყნებამდე კითხულობდნენ და შენიშვნებს გვთავაზობდნენ. აგრეთვე ხელი შეგვიწყეს აკად. ალ. ბარამიძემ, რომლის წარდგინებითაც წინამდებარე მონოგრაფიის რამდენიმე თავი გამოქვეყნდა აკადემიურ ორგანოებში („მოამბე“, „მაცნე“...), არქეოლოგ ალექსანდრე კალანდაძემ და ისტორიკოსმა გიორგი თოგოშვილმა, რომელთაც გაერთიანებული ნაშრომი წაიკითხეს და აზრები გაგვიზიარეს. გულთბილი გრძნობით ვიგონებთ ზემოდასახლებული ხეობების მცხოვრებ ქართველ და ოს იმ ადამიანებს, განსაკუთრებით — ლიანხვის ხეობის ზედა ნაწილისა და ფაწა — ჭეჯორის მდინარეებში მცხოვრებ იმ ოსებს რომლებიც ადგილებზე უანგაროდ გვიწყობდნენ ხელს ტექნიკურადაც კი სახიფათო სამუშაოების შესრულებაში.

გამოცემის ღირსება — ნაკლოვანებებზე სიტყვა ისევ ობიექტურ მკითხველს ეკუთვნის.

ოსებ მეგრელიძე

წინასიტყვაობა

პროფესორი იოსებ მეგრელიძე, გამოჩენილი ფილოლოგი, ენათმეცნიერი, ეპიგრაფიკოსი, ფოლკლორისტი, რუსთველოლოგი და ლიტერატურისმცოდნე იყო. მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლეს და მოღვაწეობას ცოდნის ამ დარგების განვითარებას შესწირა. დიდი დრო და ენერგია მოახმარა, კერძოდ, ძველი ქართული ეპიგრაფიკის შესწავლას. იმოგზაურა ზემო ქართლის რეგიონში და აღწერა ლიახვის, ფრონის, ფაწისა და ჭეჯორის ხეობათა სიძველეები, სამლოცველოები, ეკლესია-მონასტრების, თავდაცვის უძველესი ნაგებობანი, ციხე-კოშკები და მათთან დაკავშირებული ხალხური ლეგენდა — გადმოცემები.

მარი ბროსესა და ექვთიმე თაყაიშვილის შემდეგ, იოსებ მეგრელიძემ, პირველად მოინახულა ეს ქართული მიწა-წყალი და დაწვრილებით აღწუსა იქ დაცული ძეგლები და მათი ნანგრევები. გამოვლენილი მასალის ერთი ნაწილის გამოქვეყნება კიდევ მოასწრო ძვირფასი შენიშვნებით. ხოლო მეორე ნაწილი ახლა ისტამბულა. ფრამენტული სტატიების სახით კი 17 ნაწილად ადრე იყო დაბეჭდილი სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში, მაგრამ მთლიანად გამოსაცემად მომზადებული მასალა სხვა ხელნაწერებთან ერთად დარჩა მეცნიერის არქივში, რასაც თავი მოუყარა, შეაჯერა და სრული სახით პუბლიკაციისათვის გამართა მისმა ვაჟიშვილმა, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა, გუბაზ მეგრელიძემ, რითაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია არა მარტო სახელოვანი მამის ხსოვნას, არამედ მეცნიერებას საერთოდ. მთელი მასალა ქვეყნდება ავტორის მიერ რედაქტირებული პირების მიხედვით. მეცნიერის სწორებებში, დამატება — ცვლილებებში კორექტირება არ შეტანილა. დედანი დაცულია ხელუხლებლად. მკითხველი ამით გაეცნობა და შეაფასებს იმ დიდ შრომას, რომელიც იოსებ მეგრელიძემ ფასეული მასალის გამოვლინებისა და მზის სინათლეზე გამოტანისთვის გაწია.

იოსებ მეგრელიძემ აღწერა დიდძალი დასახელებული პუნქტი, სო-



ფელი, უბანი, ხეობა, დაადგინა მათი საზღვრები და კოორდინატები. ასევე აღნუსხა ხევეები, მდინარეები, წყაროები, მთები, ქედები, სავარგულები. ეს რეგიონი ასე დაწვრილებით აქამდის არავის შეუსწავლია. ამიტომ ავტორის ჩანაწერებს, ეპიგრაფიკულ ცნობებს, ციხე-კოშკების, ეკლესია-მონასტრებისა თუ სოფლებისა და ნასოფლარების ტოპონიმების, აგიონიმების, ორონიმების, ჰიდრონიმების აღწერილობებს უნიკალური მნიშვნელობა აქვთ. ბევრ რამეზე ჩააფიქრებს მეცნიერებს, შეეჭველია, ბევრი ახალი დასკვნების საფუძველი გახდება.

ნაშრომში შეგვრებულა ტოპონიმთა როგორც ენობრივი ნიშანთვისებები, ისე გეოგრაფიულ სახელთა გავრცელებულობა. აღნუსხულია ამა თუ იმ სოფელში გავრცელებული გვარები. ნაჩვენებია გვართა მიგრაცია და წარმომავლობა.

ავტორი, ვახუშტი ბატონიშვილისა და ექვთიმე თაყაიშვილის ტრადიციების ერთგულია და მის ჩანაწერებს ფასეული მნიშვნელობა აქვთ. მასალის დიდი ნაწილი ისტორიული სამაჩაბლოს მიწა-წყალს ეძღვნება.

პირველ წიგნში გამოცემული იყო დიდი ლიახვის ხეობის სოფლებისა და დაბების აღწერილობა. აქ კი იბეჭდება პატარა ლიახვის, ფრონის, ფაშისა და ჯეჯორის ხეობათა დასახლებული პუნქტების მასალები.

პატარა ლიახვის ხეობიდან აღნუსხულია: დიცი, ქორდი, მერეთი, კარბი, კოშკა, დისევი, ჭარები, ვანათი, ფრისი, ერედვი, გერი, წრუ, კიპასი, იკორთა, შერთული, მარანა, ტყვიავი, ტირძნისი და სხვა ისტორიული სოფლები, რომლებიც მუდამ მჭიდროდ იყვნენ დასახლებული და მრავალი ჭირ-ვარამის მომსწრენი იყვნენ. ნუსხები გამდიდრებულია სპეციალური ლიტერატურის ჩვენებით.

თავისთავად ამ უძველესი დასახლებული პუნქტების აღწერა, მათი სიძველეების შესწავლა და გაცოცხლება მნიშვნელოვანი წვლილია მეცნიერებაში. ავტორი არ კმაოდებდა რეგიონების მშრალი ფოტოგრაფირებით. იგი იცნობს ამ სოფელთა შესახებ საისტორიო და გეოგრაფიულ წყაროებში, სიგელ-გუჯარებში გამოქვეყნებულ მონაცემებს და სპეციალურ ლიტერატურას. ამ მდიდარი ინფორმაციის მოშველიებით მეცნიერი აფორმებს თავის დაკვირვებას, რომლებიც შეეჭველად ორიგინალური ხასიათისაა და ფართო ინტერესების შემცველია. ნაშრომში გასწორებულია სპეციალურ ლიტერატურაში გაპარული უზუსტობანი.



ფრონის ხეობაში აღწერილია კარგად ცნობილი ისტორიული სოფლები: წუნარი, ტბეთი, ავნევი, არკნეთი, თიღვა, ნული, ყორნისი, დოდოთი, რუსთავი, წორბისი. გაშიფრულია წორბისში აღმოჩენილი იშვიათი ეპიგრაფიკული ძეგლი და სწორადაა წაკითხული 880 წლის ძნელად გასარჩევი ასომთავრული წარწერა, რომელიც ძველი ქართულის ერთ-ერთი უძველესი, IX საუკუნის თარიღიანი ძეგლია. ამ წარწერის გაშიფვრა მკვლევარს დიდ სიძნელეს უქმნიდა. მან გონება მამახვილურად ამოხსნა რებუსული ქარაგმები და გვაჩვენა, თუ იმ ეპოქაში რა პრობლემები იდგა ქართველთა წინაშე. ძეგლი ზუსტადაა დათარიღებული. ცნობილია, რომ აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ მოიწონა იოსებ მეგრელიძის მიერ ქარაგმიანი წარწერის ამოკითხვა და პუბლიკაცია, რასაც სანიმუშო ანალიზი უწოდა. წარწერა ავტორმა ადრეც გამოაქვეყნა საინტერესო კომენტარებით.

ფაშისა და ჯეჯორის ხეობებში შეგვრებულია ისტორიული ადგილები, რომლებიც სხვა წყაროებიდან ცნობილი არ არის.

ყურადღებას იპყრობს ყორსევისა და ქოთანთოს, სოხთისა და ჯავისთავის, ერწოსა და ქასაგინის, ნადარბაზვევისა და ქვაისის, ლეთისა (მლეთის) და კობეთის, ნაქნეფასა და გულონთას, ჩასავლისა და მარიამ ჯვარის აღწერილობანი. ეს ადგილები პირველადაა შესწავლილი. რაც მთავარია, გამოვლენილია ბევრი იმისთანა ფაქტი და მოვლენა, რომელთა შესახებ საისტორიო სიგელ-გუჯარებსა და მიმოხილვებში კაცი ვერაფერს იპოვნის. ამ ცნობების საფუძველზე შეიძლება არა ერთი და ორი მოვლენის ახალი კრიტიკრიუმებით შეფასება.

ამ ნაშრომამდე სრულიად შეუსწავლელი იყო სამაჩაბლოს სოფლები: ქოთანთო და ჯავა, აღარაფერს ვამბობთ ჯავისთავისა და ერწოს, ქვაისისა და სოხთის შესახებ. ქვაისის რეგიონი მუდამ რაჭის საერისთაოში შედიოდა. ვახუშტი ბატონიშვილის შრომაში ეს მხარე მოკრძალებითაა დახასიათებული, თუმცა დიდ ისტორიკოსსა და გეოგრაფს მართებულად აქვს მითითებული, რომ იგი რაჭის ერისთავთა სამფლობელო იყო. ყოველივე ეს კარგად იყო ცნობილი, მაგრამ შემდეგ ქვაისის ზონის სოფლები ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ შემადგენლობაში შეიტანეს და ამით ისტორიული გზა გაამრუდეს. ამ გარემოებამ კი, როგორც ვიცით, დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს მთლიანობას.

იოსებ მეგრელიძემ ადგილებზე უშუალოდ აღწერა ამ მხარის მიწა-წყალი და აღადგინა ისტორიული სიმართლე, მეცნიერებას შეუნახა ძვირფასი ინფორმაცია რეგიონის ქართული დასახლების, ადგი-

ლობრივი ტობონიმებისა და ხალხური ტრადიციების შესახებ. ვენა მხარეში ოსთა ჩამოსახლების შემდეგ მომხდარი ცვლილებები. ამ მოპოვებულ ცნობებს, ბუნებრივია, პირველწყაროების ღირებულება ენიჭებათ.

ეს მხარე, თავის დროზე როცა აღწერეს მარი ბროსემ და ექვთიმე თაყაიშვილმა, მათ მხედველობაში ჰქონდათ მაშინდელი მდგომარეობა. ვინ იფიქრებდა, საუკუნის შემდეგ, ვითარება გართულდებოდა და შიდა ქართლს საფრთხე დაემუქრებოდა.

იოსებ მეგრელიძის ნაშრომი იმიტაცაა აქტუალური, რომ იგი ნათელს ჰფენს ზოგიერთ ბურუსით მოცულ საკითხს და წარსულის ირგვლივ თანამედროვეობას სწორ წარმოდგენას უქმნის.

ალექსანდრე ლლონტი

20. VIII. 1996.

თბილისი

თ ა ვ ი

**წარწერები და სხვა სიძველეები
პატარა ლიახვის ხეობაში**

მდინარე პატარა ლიახვის ხეობა იწყება იქ, სადაც ეს მდინარე დიდ ლიახვს შეერთვის (აქ მდებარეობს სოფელი შერთული) და მთავრდება პატარა ლიახვის სათავეებში გერმულისა და ს. ერმანის მთების აღმოსავლეთ ფენებზე. მთელი ეს ხეობა ადრე (საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე) გორის მაზრაში შედიოდა. ახლა (1957 წ.) იგი ადმინისტრაციულად გორის რაიონსა და ყოფილ სამხრეთ-ოსეთში შედის.

გორის რაიონისაა პატარა ლიახვის ნაწილი ს. შერთულიდან სათიხარის საზღვრებამდე, ე. ი. აქაა გორის რაიონის სათიხარის, ძევერის, ტყვიავის, ტირძნისის, დიცისა და მერეთის გამგეობები მათში შემავალი სოფლებითურთ¹.

პატარა ლიახვის მეორე ნაწილი შედის ცხინვალის რაიონში. აქ იგი იწყება ხსენებული სათიხარიდან და მთავრდება პატარა ლიახვის სათავეებში ს. ზემო ერმანის მთებზე (იხ. ერმანი) ამ ნაწილშია: არცევისა და გერის (გერის წყლის ხეობით²), სათიხარის, ვანათის და ფრისის გამგეობები.

ღ ი ც ი

ტირძნისიდან დიცი 3 კმ-ზე მდებარეობს.

ს. არბო, ერგნეთი და ქორდი, დიცის გამგეობაში შედიან.

1865 წელს ს. დიცში 46 კომლი სახლებულა. ახლა მასში გაცილებ-

¹ ამავე მიდამოების „წარწერები და სხვა სიძველეები იკორთაში“ იხ. ქვე-
მოთ.

² ს. ვანათთან ერთვის პატარა ლიახვს.



ბით მეტი ცხოვრობს. აქაური გვარებია: მარკოზაშვილი, მძინარაშვილი, ლაფაჩი, სოსიაშვილი, ყორანაშვილი, მინდიაშვილი და სხვა.

სოფელში შეიღწლიანი სკოლაა. აქ სიძველეთაგან ღვთისმშობლის გუმბათიანი ეკლესიაა, რომლის კუთხის ქვები თლილია, სხვა კი — გაუთლელი. ნაგებობის აღმოსავლეთ კედელში ერთი სარკმელია, რომლის ჩარჩოსაც გარემბრივ კბილებრივი ჩუქურთმა აქვს. შენობას სამხრეთიდან მთელ სიგრძეზე ახლავს ქვემოთ. მინაგები, კარიც აქედანაა და ამავე კედელში ორი სარკმელია მხატვრული ჩარჩოებით ქვაზევე.

შიგნით თალი სარტყელსაც უჭირავს. დუღაბი ძველებურია. კარიბჭესთან მხატვრულ ქვაზე იკითხება შემდეგი ეპიტაფია:

„შე უწყალო(,) სოფელო (,) რა უდრო(ო)თ მიგდე მახე,
მამაშორე წუთი სოფელს(,) შავს მიწაში დავიმარხე.
(სამხრ.)

კარგი ვერ ვნახე (,) დამრჩა დედ(-)მამა
მწუხარებითა (,) ასული ანტონა
შოშიაშვილისა³ პელაგია(,) 22 წლისა
(ჩრდ.).

გარ. 1898 წ. 8 მარამობისა.
წამკითხველო (,) შენდობას გველი⁴“.

მეზობელ ქვაზე სამხრეთიდან წერია:

„აქა განისვენებს ანდრია ბოლა(-)
შვილის მეუღლე ნინა(,) შობილ[გან]
21 წლისა
(ჩრდ.).

გარდავიცვალე ამა სოფლიდგან
გაუხარელი (,) დამრჩა ქმარი(,) დედა (,)
მამა მწუხარე (,) 1898 წ.“

აქაური სხვა ეპიტაფიები კიდევ უფრო ახლებია.

სოფლის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს დიციის მთავარანგელოზის ეკლესიის ნანგრევი. ამას იქით საკულტო ადგილს ლომისას უწოდებენ. იქ ნაგებობა აღარ არის, დგას დიდი კაკლის ხე.

³ ახლა სოსიაშვილებად იწერებიან.
⁴ ასიაი



ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ურნეო მუშაკი ზოგჯერ ერთი საქმის ხარჯზე მეორეს აფუჭებს. მაგ., დიცის ღვთისმშობლის ეკლესია თუნუქით (ყესტით) ყოფილა გადახურული. ვილაცეებს მოუხდიათ იგი და მეღვრეკისის (იხ.) ეკლესია გადაუხურავთ. ასე დაგვავაღესო!...

ქორდი

1865 წელს 31 კომლიანი ქორდი უკვე 300-მდე კომლს იტევს. გვარებია: ჯალაბაძე, ხაჩიური, ბადაშვილი, ქოქოშვილი, საღირაშვილი, ხშიადაშვილი, არჩვაძე, ლომოური, მეტრეველი, რაზმაძე, ტერაშვილი და სხვა.

სოფელში ძველი, შესანიშნავი, მაღალკედლებიანი ტაძრის, თუ ეკლესიის, ნანგრევია. მას სამხრეთიდან და დასავლეთიდან მთელ სიგრძეზე კარიბჭეები ჰქონია. ნაგებობას შიგნით თითქმის ისეთივე კედელი და სარტყელი (ჩრდილოეთით) აქვს, როგორც კუსირეთის ეკლესიას (IX ს.), თუმცა შეიძლება, ქორდის ეს ძეგლი საუკუნეებით გვიანდელიც იყოს, ვიდრე კუსირეთისა.

ძირითადი ნაგებობის სიგრძე — 12 მ, განი — 9 მ-ა. ყურადღებას იქცევს კედელში ჩატანებული უზარმაზარი ლოდები. მაგ., ეკლესიის სამხრეთი კარის თავზე ქვა 1,90 მ სიგრძისაა (კარიც მაღალია, 1,80 მ და განიერი, 1,05) დასავლეთი კარის თავის ქვა 2 მ., სისქე 20 სმ. კუთხისა და კედლის ზემო ნაწილი ირგვლივ (სახურავს ქვეშ) თლილი ქვისაა, სხვა — ყორე ქვისაა. ფიქლებით ყოფილა გადახურული.

უკანასკნელ ორ ნაგებობაზე წარწერა არაა. პირველზე — ღვთისმშობლისაზე კი შერჩენილია ერთი დაზიანებული წარწერა.

დასავლეთ კედელზე, კარს ზემოთ, წმიდა გიორგია გამოკვეთილი ღვინისფერ ქვაზე და იქვე წარწერაა მგლოვანი ასოებით. წარწერის მარცხენა ნაწილი ატყეცილია. ირჩევა:

„ქ შე სიპი.

... დპი ი გ⁵

... ? ? ? ?“

კუთხის ქვებში 1,5×1 მ ქვებიც ურევია.

დასავლეთ ფასადზე ჭვარიცაა გამოხატული.

აღმოსავლეთ სარკმლის ზემოთაც მხატვრული ჯვარია ქვაზე. სამხრეთ კარსა და აღმოსავლეთ სარკმელთან ჩატანებულია ქრელი ქვა (მარმარილოა შედუღებული ქვაში, თითქოს ნიჟარები იყოს შედუღებული).

ქორდის მეორე ეკლესიას წმინდა ბარბალეს უწოდებენ. იგი სოფლის გარეთ მდებარეობს. ამ ბაზილიკის (5,30×2,20 მ, სიმაღლე — 2,23) სამხრეთი კარის დასავლეთით მხედრული ასოებით წერია:

„დ(იღო) ანგელოზ(ო)
ისა სსლი საგ
ზრი სმ“.

იქვე, კართან მიწაზე ძვეს გატეხილი მხედრულ წარწერიანი 2 ქვა:ც; წარწერა დაზიანებულია.

აღმოსავლეთ სარკმელზე სამ ჯვარს ერთიანი მკლავი აქვთ ჰორაზონტალურად ისე, რომ განით დადებულ ფანჯრის ჩარჩოს ჰგავს.

სოფლის მესამე ეკლესია (7,62×5,65 მ) — მთავარანგელოზი სოფლის მოედანზეა. აქვს განიერი (3,05 მ) კარიბჭე. ბაზილიკა თლილი ქვითაა აგებული. აღმოსავლეთ ფასადის ვიწრო სარკმლის თავზე დიდი და პატარა (წრეში ჩასმული, ქართული) ჯვრები და კაცის ხელია (ალბათ ქტიტორი ეხატა) გამოსახული.

დასავლეთ კედელზეც (სარკმელს ზევით) დიდი ჯვარია ორ ქვაზე გამოკვეთილი ისე, რომ ჯვრის ზედა ნაწილი და მკლავები ერთ ქვაზეა მოთავსებული და ფეხი მეორეზე გადადის.

ბაზილიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს კოშკი, რომლის ჩრდილოეთით ფასადის მეორე სართულის ნაწილი კარის ირგვლივ აგურითაა ნაგები და გაფორმებულია მხატვრულად. კოშკი გაპყურებს პატარა ლიანხის ხეობას.

ომარ გიორგის ძე ჯალაბაძეს (1938 წ. დაბად.) გაუგონია თქმულება, ლეკიანობის დროს მთელი სოფელი იმალებოდა ამ ციხეში (კოშკში).

ა რ ბ ო

გორიდან 34 კმ-ზე, ცხინვალიდან 8-ზე მდებარეობს ს. არბო, მას აქ გერის ჯვრის უმცროს ძმას უწოდებენ და გერის გამო არბოც სახელგანთქმულია ქართლში (სურ. № 1).

არბოში 60 კომლი ცხოვრობს. აქედან იყო მწერალი ნიკოლოზი და აქვე იყო ერთ-ერთი ლომოურის ოჯახში დაბადებული მეზობელ სოფელ (პატარა ლიახვს ვაღმა) მერეთიდან (იხ.) ანტონ ფურცელაძე. ამის სასახლეში ახლა (1957) 8 წლიან სკოლაა მოთავსებული. ნიკო ლომოურის სახლში კი ნიკოს მემკვიდრეები: ძე იულონი (პროფ.), ასული თამარ (ისტორიკოსი, ესენი ზაფხულობით) და სხვები ცხოვრობენ. აქვეა დიდი სახლი მეფის რუსეთის გენერლის მაკარაშვილისა. მაშინდელი არბოს დეკანოზის ანდრია ყურულისა და სხვა.

ამავე სოფლის სხვა გვარებია: გვიმრაძე, ფიჩხანაშვილი, თითო-ოროლა ოჯახი დოკაძე, რაზმაძე, როინაშვილი და სხვა.

სოფელს ჩამოუდის აღმოსავლეთის მხრივ მდ. პატარა ლიახვი, ხოლო სოფელში გადის დიციის წყალი, ანუ, როგორც აქ მას უწოდებენ, დიციურა.

არბოს არქიტექტურულ ანსამბლს შეადგენს: 1. არბოს ეკლესია (ეს დიდი და მაღალი ტაძარია) წმინდა გიორგის სახელობისა (ე. წ. გერის უმცროსი ძმა. სურ. № 2).

2. პირველის სამხრეთი გვერდითვე მდებარე ბაზილიკა (X ს., 9,5×6 მ, სიმაღლე 5 მ. სურ. № 3).


3. ამასზე მინაგები მრგვალი კოშკი (XVII ს.)

4. მათთანვე აღმოსავლეთით, დციის მშობლის ბაზილიკა (XIX ს.).

არბოში 1865 წელს მხოლოდ 21 კომლი სახლობდა. ასეთ პატარა სოფელში დროთა განმავლობაში რამდენიმე ძეგლის აგება და ბოლოს უზარმაზარი ეკლესიის აშენება იმით აიხსნება, რომ არბოში დიდი სიწმიდე ეგულებოდათ. ამისვე გამო გახდა არბოობადი და სახალხო დღეობად (იხ. ქვემოთ).

როგორც ალექსანდრე გარსევანიშვილმა დაბეჭდა „ცისკარში“, ზოგიერთი ისტორიული ცნობისა და უფრო დაწვრილებით გადმოცემების მიხედვით, ფარსმან მეხუთემ (ბაკურის ძემ) 536 წელს შეირთო ცოლად აფხაზეთის დიდი თავადის თაქთარის ასული ზვარაზმმა. მას მოჰყვა მზითევში შექცდილი ნაწილი წმიდა გიორგისა (ხატისა), რომელიც პატარძლის ოჯახში მოიტანეს საბერძნეთის კეისარი იუსტინესაგან. ფარსმანი უშვილო იყო; მან წმინდა ნაწილი თავის გერს, ზვარაზმსას შეიღს უბოძა.

541 წელს სპარსელებმა კვლავ აიკლეს ქართლი. ხალხი ბარშეველარ დგებოდა და ფარსმანმა თავის გერს აჩუქა ხეობა, რათა ხალხს



თავი შეეფარებინა. ხეობის სათავის მთის წვერზე იმავე 541 წ. მანვე აღაშენა ეკლესია წმიდა გიორგის სახელობისა და სოფელს დიდი გიორგისა ეწოდაო (იხ. ზემოთ — გერი). აქედან ეკლესიას გერის თავი დაარქვა ფარსმანაო. ზვარაზშმა და პირველის გერი, მეორეს შვილი ვარასამად გარდაიცვალნენ, ადგილის სახელად დიდი გერი შერჩა, ხოლო ეკლესიას — გერის თავი, ხეობა საუფლისწულო გახდაო.

მეფეთ-მეფე თამარმა ქართლში მშვიდობა დაამყარა და აღაშენა არბო 1186 წელსაო. თამარის ბრძანებით აქ ჩამოასვენეს წმიდა გიორგის ნაწილი იმავე წლის აგვისტოში და ხატი შემდეგ არბოში ესვენაო⁶.

როგორც ჩანს ი. კ.-სათვისაც ასეთივე ცნობები მიუწოდებიათ. იგი გერისობის აღწერისას (გვ. 19) შენიშნავს, რომ თამარის დროს ჩამოიტანეს გერიდან არბოში წმ. გიორგის ნაწილი (МОШЬ), რომელიც იბერიის მეფეს მოუტანინებია ბიზანტიიდანაო. არბოს ეკლესია შვიდი წელია, რაც დასრულდა (1896 წ. გამოცემა). მისი შენება დაიწყო 50 წლის წინ დეკანოზმა იაკობ ლომოურმა. გერისობას ფართოდ აღნიშნავენ, იგი სამ კვირას გრძელდება (გვ. 20), მას ბაზრობის ხასიათი აქვს და შემოსავალს ელიან, თუმცა მლოცველები უპირატესობას ძველ ეკლესიას აძლევენო.

არბოს დიდი ეკლესია წლების განმავლობაში უშენებიათ და შეწირულებებით აუგიათ. იგი 1892 წ. უკუთრებიათ, ე. ი. ამ წელს დასრულებულა მშენებლობა. ზემოხსენებული პირი (ფსევდონიმით — არბოელი) წერილში „ხმა პროვინციიდან“ წერს, რომ რამდენიმე თვის წინათ აკურთხეს ახალი ეკლესია. მაგრამ ძველიც განაგრძობს მოქმედებასაო⁷. იგივე შენიშნავს, პატარა ეკლესიიდან ძველი ხატები ახალში გადაიტანეს. კანკელი მაინც ძველში დარჩაო.

მეორე სახის გადმოცემა, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილი იყენებს, არბოს აბოთბილელის საფლავის ადგილად თვლის. ვახუშტი წერს: „შერთულს ზეით არს ეკლესია არბო — წმიდისა, სასწაულთმოქმედი“ და სქოლიოში შენიშნავს: „ვგონებ აქა ტფილის წამებულის აბოს ნაწილსა და სახელსა ზედა მისსა აშენებულსა, და სასწაულისაც მის მიერ“⁸.

⁶ აღ. გარსევანოვი. არბოს ანუ წმიდის გიორგის ეკლესიის აღშენებისათვის. — „ცისკარი“, 1866 წ., სექტემბერი.

⁷ „მწყემსი“, 1892, № 18, გვ. 3.

⁸ ვახუშტი, აღწერა ხამფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 75.

ამასვე იმეორებს მარი ბროსე (1848 წ.) და ქვემოხსენებული არ-
ბოელი კორესპონდენტიც (1892 წ.), რომლებიც სახელწოდებ-
ბა არბოს აბოს-თან აიგივებენ და თვლიან, რომ წა-
მებული აბო თბილელი არბოშია დაკრძალულიო.

აკად. კ. კეკელიძის სათანადო მითითებამდე, აბოს წამების დღედ
790 წლის 6 იანვარს აღიარებდნენ. კ. კეკელიძემ დააზუსტა, არაბმა
აბომ რომ თავის რჯული უარყო და ქრისტიანობა მიიღო, არაბებმა
მას უკანასკნელი ველარ უარაყოფინეს და ამიტომ იგი 785 წლის 27
დეკემბერს ციხეში ჩასვეს, 786 წლის 6 იანვარს (ნათლილების, ანუ
წყალკურთხევის დღეს) გამოიყვანეს, თავი მოკვეთეს, გადაასხეს ნავ-
თი და დაწვეს, ხოლო გამურული ძვლები ცხვრის ტყავში შეახვიეს
და მტკვარში ჩაყარესო⁹.

ეს მოხდა მეტეხის ციხესთანო. შემდეგ მორწმუნეები მტკვარში
შევიდნენ, ამოიღეს აბოს გვამი, თითქოს, წაიღეს და ქართლში და-
საფლავეს.

სახელების აბოსა და არბოს გაიგივება სწორი არ ჩანს. თუ მართ-
ლაც ისე მოხდა, როგორც ეს ზემოთაღნიშნულ გადმოცემაშია თქმუ-
ლი, მაშინ აბოს საფლავი არა არბოშია საგულისხმებელი, არამედ
აბო წმინდაში, რომელი ეკლესიაც, როგორც ეს ჩვენ აჩაბეთის აღწე-
რაში გვაქვს აღნიშნული (იხ.) თირის მონასტრის მახლობლად მდებ-
არეობს.

„მწყემსის“ არბოელი კორესპონდენტი წერს 1892 წელს, რომ
არბოდან 10 კმ-ზე მდებარეობს ბელოთის ციხე. არბოს დე-
კანოზი ანდრია ყურული ამ ციხეში იულონ ბატონიშვილთან და თბი-
ლისში დარეჯანთანაც დადიოდაო. ა. ყურულს გასაქცევად შეექმნა
საქმე, იგი რუსეთს გაიპარა და თან არბოს ხატის ძვირფასი ნაწილი
თუ ბელოთის ციხის მაცხოვრის ეკლესიაში იოსე ქრისტეს ხატის
სიმდიდრე წაიღო, მოზდოკს შეეფარა, მაგრამ ვერც ამ დეკანოზმა და
ვერც ერთმა სხვამ, ვისაც ამ საქმეში წილი ედვათ, ვერ გაიხარეს და
ხატის ნაწილი ისევ არბოში ჩამოასვენეს¹⁰. ანდრიას შემდეგ დეკანო-
ზობობდა გიორგი გვიმრაძე, ნაწილის ჩამოტანას შეხვდა დეკანოზი

⁹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951, გვ. 113.

¹⁰ „მწყემსი“, 1892, № 18., გვ. 67.

იაკობ ლომოური და არბო კვლავ არბოდ დარჩაო. (სურ. № 4, № 5, № 6, № 7).

იგივე არბოელი ასახელებს ხატს არბოს ეკლესიაში ასომთავრული წარწერით:

„ჩვენ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ლუარსაბ ვახტანგის ძემან...“ და შენიშნავს, სხვა აღარ იკითხებაო (გვ. 4).

მისივე სიტყვებით, მეორე წარწერა ამბობს:

„ქ. ჩვენ, საქართველოს მეფემ ირაკლი მეორემ, შემოგწირეთ შენ, ჩვენს სასო წმიდა გიორგის არბოსას, ეს ვერცხლის ბარძიმ-ფეშუმ-კამარა ჩვენი სულისა და ხორცის მტერზე გასამარჯვებლად. მისხალი რვა, ქნსა უოვ“... (1786; იქვე, გვ. 4).

მარი ბროსე უფრო ადრე იყო აქ, მაგრამ იგი ხსენებულ მეორე წარწერას არ იხსენიებს. პირველის უფრო ზუსტი ტექსტი კი მ. ბროსემ შემოგვინახა: —

„ჩვენ ღვთივ გვრგვინოსნის მეფეთ მეფისა და მოწამისა ლუარსაბის ძე-მან ლევან, გამოვაჭედინე ხატი ესე, სალოცველად და მოსახსენებლად სულისა ჩემისა და ძმისა სადღეგრძელოდ“¹¹.

მარი ბროსე თავის იმავე „არქეოლოგიური მოგზაურობების“ მეექვსე რვეულში აქვეყნებს არბოს ვერცხლის ჯვრის ასეთ წარწერასაც:

„გავაკეთეთ ხატი ესე ჩვენ ერთობით მინდიაშვილებმა, და იყვნეს ამის მოთავენი ბეცია, გოგია და ბასილა, სულისა ჩვენისა სამეოხოდ, წელსა ჩყიზ“, ე. ი. 1817 წელს.

საქართველოს საეკლესიო კალენდარი (1948 წ. გამოც. გვ. 67) არბობას ხალხურ დღესასწაულებში ათავსებს და წერს:

„არბობა — გიორგობა. მარიამობის (ავვისტოს 15) შემდეგ სამკვირა დღეს, არბოში და გერში (ქართლი).

აღ. გარსევანიშვილი წერს, არბოს დღეობაა 23 მარიამობისთვის,

¹¹ M. Brosset, Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l' Arménie, II, St.—Pét., 1851, გვ. 64.

კვირაობით დღესასწაულობენ გერისთაობასა, „შეიკრიბებიან შარავნის
ნი ხალხნი: ქართლიდამ, იმერეთიდამ, თბილისიდამ და კახეთიდამ“¹²
და დღესასწაულობენო.

წინათ ამ დღეებში აქ ვაჭრობაც (იარმარკობა) იმართებოდა და
გასართობებიც ფართოდ იყო გამოყენებული.

1957 წლის 28 აგვისტოს ვიყავით ჩვენ არბოში. სიწყნარე სუ-
ფევდა. 31 აგვისტოს მე და ვასილ კონსტანტინეს ძე დოკაძე (ს. არ-
ბოში დაბადებული და აქაური მცხოვრები) ვანათში წავედით. მანქა-
ნები, ცხენები, ურმები და ფეხოსნებიც მიდიოდნენ ზევით. გავიკი-
თხე და გავიგე, რომ გერისთაობაა, გერში მიდიან სალოცავადო.

სალამოს არბოში დავბრუნდით და სოფელში ეკლესიის¹³ ირგვ-
ლივ ხალხს მოეყარა თავი, ერთო მრავალი კერა, ჩუხჩუხებდა ქვაბე-
ბი, იყო გამართული სმა-ჭამა და მოლხენა, ტაშ-ფანდურა და ცეკვა-
თამაში.

ეკლესიის ჩრდილოეთითვე მდებარე ვ. დოკაძის სახლში გავჩერ-
დი; ეს არბობა მთელი ღამე არ შეწყვეტილა. დილაადრიადად და-
ვინახე, ერთ გჯუფთან მისულიყო თეთრებში გამოწყობილი მონაზო-
ნი, დაელოცნა ისინი და ეუბნებოდა: — რა კი იჩქარით, თუ ამას
მართლა თქვენი საქმე მოითხოვს, წადით. ოღონდ აქედან წადებულნი
ხორცი (და საერთოდ პურ-ღვინოც) სახლში არ შეიტანოთ, აქვე ან
გზაში შეჭამეთო. ლოცავდა მათ: რაც ხატს შესთხოვეთ, აგსრულებო-
დეთო — და ზოგიერთ მათგანს ფულსაც სთხოვდა.

მე დილაადრე წამოვედი არბოდან, მაგრამ მითხრეს: არბოელებს
წყნარი ძილი მთელი კვირის განმავლობაში არ უწყრიათ, ძველი
მორწმუნეები ავლენ გერზე, იქიდან აქ ჩამოვლენ, ან პირდაპირ აქ
მოვლენ. ბევრი უსაქმო საბაბს შოულობს და სხვის ხარჯზე მოილ-
ხენსო.

¹² ალ. გარსევანოვის წერილი, იხ. 1866 წლის სექტემბრის „ცისკარ-
ში“, გვ. 3—4.

¹³ ახლა შიგ საწყობია, მაგრამ სახურავი არ შეუკეთებიათ! ეს საკითხი მაშინ-
ნაც აღვძარიო; შემდეგ მასწავლებელმა ვ. და ნ. დოკაძეებმა დაბეჭდეს
„ტაძარი შველას ითხოვს“ (გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1972 წ. 14 იანვარი,
№ 2, გვ. 4). მდგომარეობა კი უცვლელია! „წარწერები“ ქრება კედელზე. შდრ.
ა. გაჩეჩილაძის წერილი „პერსტატეს კვალზე“. — გაზ. „კომუნისტი“,
1973 წ. 2 ნოემბერი, გვ. 4. ამავე საკითხზე იქვე — ჯიშკარიანის წერილიც
დაიბეჭდა.

მ ე რ ე თ ი

მერეთის გამგეობისაა სოფლები: მერეთი, გუგუტიანთ კარი, ზარდიანთ კარი, კარბი და კოშკა.

აქაური გვარებია: გორგიშელი, ბათაძე, გუდაძე, ფურცელაძე, ტრამაქიძე, ჩალაური და სხვა.

მერეთში 300-მდე კომლი ცხოვრობს. არჩილ ალექსის ძე შერაზადაშვილმა (დაბ. 1907 წ.) დაუძახა თავის მეზობელ ვასილ კაკოს ძე გუდაძეს (68 წლის), რომელიც შესჩივის წარსულში მიწის სიმცირეს:

„ჩვენზე ნაკლები მამული არა სოფელში არ იყო. ისაია ფურცელაძემ გაგვანათლა, შექმნა (ვაშლის) ბაღი, მთელი ზაშილაური მისი იყო (სოფლის უბანია კარბისაკენ), უცოლშვილო კაცი იყო, ბაღში თორმეტ კაცს ამუშავებდა, ჩვენც გვირჩევდა, თქვენც შექმენით ბაღო, ნერგს უფასოდ გვაძლევდა, თქვენც რომ გექნებათ, უკეთესად იცხოვრებთ და მეც მეტი შემრჩებაო; თუ კი ძირებს გავიჩენდით, მით უფრო, მყნას არ გვამადლიდა.

რო(მ) წამოვიზარდე, — დასძენს ვ. გუდაძე, — დავრგე ვაშლი, მამაჩემი თავს იკლავდა, ე(ს) რა ჰქენი, სადღა ვთესოთო“...

მართლაც შესანიშნავია ესაიას ყოფილი ვაშლის ბაღი, რომელიც შემდეგ კოლმეურნეობის ჯახდა.

ახლა ვაშლის ბაღი აქ უკვე ბევრს აქვს, მისი შემოსავლით ზოგს კარგი სახლი აუგია და ავტომანქანაც შეუძენია.

მერეთში ახალი, მოზრდილი და მალალკედლიანი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაა (სურ. № 8).

ეკლესიის სამხრეთი კედლის კარს ზემოთ წარწერაა:

„მომიხსენიე (,) უფალო(,) საფლავსა ჰმასა
შინა მდებარე აღდგომელანთ რძალ(-)
ი ელისაფეთი (,) მიხილველნო (,) შენდო(-)
ბას ვითხოვ. ჩყკო“ (=1829 წ.)

(სურ. № 9).

ფორმა ე ლ ი ს ა ფ ე თ ი კილოური გამოთქმაა ისევე, როგორც ვარიანში (იხ. შენიშნული იაკოფ-ი, ნაცვლად იაკობ-ისა).

იმავე კედელში შემდეგ ქვაზე (სურ. № 10):

„გიორგი ნინიკ(ას ძე) გიორგი(-)
იშვილის ჩ(ა)გ(ო)ნებით განაშ(-)
უენიერა ტაძარი ესე 1898“ (9?) წ.

იქვე, ქვაზე ეპიტაფია: —

მომიხსენე(,) უფალო (,) ბაიაძე სოსიასშვ(-)
ილი ქიტესა (,) მხილველნო (,) შენდ —
ობას გთხოვ (!) ჩუკ? (182?)

კიდევაა იქვე კედელში ჩაშენებული ერთი საფლავის ქვის ნატე-
ხი, რომელზეც იკითხება:

„ქ. გორგიშ(ელი)
ესაია...“

ეკლესიის ეზოში მოთავსებულ საფლავის ქვებს შორის არის ან-
ტონ ფურცელაძის ქვა. ანტონი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეზო-
ბელ სოფელ არბოში იყო ჩასიძებული, მაგრამ არბოში მომაკვდავს
დაეზარებინა, მერეთში დამასაფლავეთო და ეს თხოვნა შეუსრუ-
ლესო (სურ. № 11).

აქ დგას ნაცრისფერი შუბლწათილი მარმარილოს ქვა-ბოძა,
რომელსაც აწერია:

„მე წილათა მხვდა ხვედრი მწარე (,) ძნელად საამო (,)
ჩვენს იარებსა და წყლულებში ხელების რევა (.)
მით წყლულს ვამტკივნებ მე სნეულთა და ამის გამო
შევიძინევი მოძმეთაგან ლანძღვა და წყევა (.)“

(გაგრძელება ქვის კედელზე:)

ანტონ ნიკოლოზის ძე

ფურცელაძე

1839—1913“.

იგი დაბადებულია აღნიშნული წლის 1 ნოემბერს და გარდაცვ-
ლილი 1913 წ. 3 ნოემბერს.

აღმართულ შავ გრანიტზე დასავლეთის მხრიდან ჯერ ჯვარი ხა-
ტია და შემდეგ წერია:

„გენერალ-მაიორი
მიხეილ ნიკოლოზის ძე
ფურცელაძე (.)“

დაიბ. 18 აპრილს 1884 წ.

გარდ. 10 აპრილს 1912 წ“.

(სურათი ამოვარდნილა).

იმავე ქვას აღმოსავლეთ მხარეზე აწერია:

«Идеальному мужу и отцу от жены и детей».

მიხეილის მეუღლე რუსი ქალი ყოფილა.

მიხეილი განჯაში მსახურობდა, შორს გარდაიცვალა და ჩამოასვენესო, — ამბობს ზემოხსენებული გუდაძე. ალექსანდრე, მიხეილი, კოტე (მეტსახელად — შავბალახა) და ანტონი ძმები ყოფილან.

მერეთში ერთი კოშკი სოფელშია, მეორე — მინდორში. უკანასკნელი ქორდის კოშკს ჰგავს.

ქორდი

აქ ქვის უგუმბათო ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიაა. კარი სამხრეთიდან და დასავლეთიდან აქვს.

კარბი

ამ სოფელში 200 მეტი კომლი ცხოვრობს (1865 წ. — 48 კომლი). ძირითადი გვარებია: გნოლიძე, გვიმრაძე, ციმაკურიძე და სხვები.

სოფელში, ტირიფონის არხს გარდა, ნიკრეულას წყალი ჩამოდის. ვაშლის კარგი ბაღებია. აქაა ესაია ფურცელაძის შესანიშნავი ბაღი, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, კოლმეურნეობის გახდა.

სოფელს სრული საშუალო სკოლა აქვს.

სიძველეთაგან აქ სამეზბის სახელობის თლილი ქვის გუმბათიანი ეკლესიაა (9×5 მ, სიმაღლე 7 მ-მდე). ჩრდილოეთ კედელში 2 მ მეტი სიგრძის (სისქე 6 სმ) ფიქალია. ეკლესიას ჩრდილოეთიდან უდგას დუღაბით აგებული ყორე-ქვის ძველი, პატარა თალიანი ეკლესია (5×4 მ). ამ საყდარს გალავანიც ჰქონია. ეზოში სოფლის სასაფლაოა.

მ. ბროსე ამ ეკლესიაზე მგლოვანი ასოებით შესრულებულ წარწერას ასახელებს („არქ. მოგზ.“, VI, გვ. 65), რომელიც ახლა აღარ ჩანს.

ეკლესიის სამხრეთ კარზე კუთხეში ჩასმული ძირბუდა ჯვარია.

ეპიტაფიათაგან ეკლესიის აღმოსავლეთით ერთ-ერთი ქვის სამხრეთ მხარეზე ასე იკითხება:

„აქა მდებარე ვარ ქიტესა[ს]
რჩეული მეუღლე მაშო (.)
(ჩრდ.)

ვითხოვ შენდობასა (.) ჩუპე-ს (.) ლო(-)
დი დამდო მშობელმა ჩემა¹⁴
სალუმა¹⁵ (.)
(წელი = 1875-ს).

იქვე ძვეს ქვა, რომლის წარწერიდანაც ვიგებთ, რომ
„ლოდსა ამისა ქვეშე მდებარე
ვანო ბარნაბის ძე კაპანაძე აღსრულ. 1893 წ.“
16 მარიამობისთვის, 27 წლისა.

სხვა ქვის წარწერა გვამცნობს:
„საფლავსა შინა მდებარის¹⁶
პელაგია შაქვს სახელი (.)
ყველა¹⁷ მიბრალეებს უბედურს(,)
ვინც კი არს ჩემი მნახველი (.)“

წარწერის შემდეგ აბნეული სტრიქონები იუწყება, ეს ქალი იოსებ გვიმრაძის მეუღლეაო, 1 წლის გათხოვილი გარდაიცვალა 16 წლისა 1889 წ. მარტის 15-ს.

სოფელშივე ერთი შესანიშნავი კოშკია (4×4 მ.), მაღალი, სქელკედლიანი (1,70 მ), შიგნით ასასვლელი კიბით, აგურის თალიანი სახურავით; კედლებს აქვს სათოფურები, კოშკშივე ყოფილა ქა, თორნე; კედელში თახჩებია და სხვა. მეორე სართულზე კარგი ბუხარიცაა.

კოშკიდან ჩრდილოეთით მაღალი ოთხკუთხედი ციხე (7×7 მ) დგას. კედლებს ბურჯები აქვთ.

ციხეს კარი პირველ სართულზე აღმოსავლეთიდან აქვს, შიგნითა კიბით მეორეზე აისვლება და დასავლეთის მხრივ აივანი აქვს.

ციხიდან დასავლეთით დგას ღვთისმშობლის სახელობის ქვის ეკლესია (8×4 მ, სიმაღლე — 3 მ).

ამას ჰგავს ამ სოფლის მესამე მარინეს სახელობის ეკლესიაც, სამების ეკლესიასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე სოფელთან.

¹⁴ ჩემმა.

¹⁵ ასულმა!

¹⁶ ასეა.

¹⁷ წერია მეორე სტრიქონზე.

კოშკა

ქ. გორიდან 28 კმ-ზე მდებარე სოფელია 50 კომლი მცხოვრებით. აქაური გვარებია: ტატიური, ხიზანიშვილი, სიმონიშვილი, ჩალაური, შავერდენიძე და სხვა. აქედან იყო ცნობილი მსახიობი ელისაბედ ჩერქეზიშვილი (წინაპრებით — კულბითელი).

სოფელს ჭარბებულა და დისევრა რწყავს. ვენახების ბაღებს შორის საყურადღებოა სახელწოდება აბილახტაური.

სოფელში ჩერქეზიშვილების კოშკი ყოფილა; ახლა კი გადაკეთებულია საცხოვრებელ სახლად.

ჰქონიათ ეკლესიები ღვთისმშობლისა და წმინდა გიორგის სახელობის (უკვე დანგრეული).

დისევი

სათიხარის გამგეობა მრავალსოფლიანია და დიდი ტერიტორია უჭირავს. მისი სოფლებია: ქსუისი, სათიხარი, ბერიჯვარი, გოჯითა, დისევი, დმენისი, ზემო და ქვემო ქერე, ზემო და ქვემო კორკულა, კულბითი, ნანიაური, ხუგასთა, სნეკვი, ხელჩუა და ჭარები.

კოშკიდან დისევამდე გზასთან კულბითია. აქ გორაკზე ქვის ლამაზ გუმბათიანი ეკლესია დგას (XVIII ს., 9,75×6 მ). კარები სამხრეთითა და დასავლეთით აქვს. მხატვრულ ქვებზე ადამიანისა და ცხოველის გამოსახულებებია (სურ. № 13).

დისეველი ვლად. იკ.-ძე ოქრობირიძე (4. VII. 1955 წ. 75 წლისა) იმეორებს ხალხურ გადმოცემას, თამარ მეფე ბრძანდებოდა დისევეში დავით მეფის მიერ აშენებული ეკლესიის სანახავად, მოეწონა კულბითის გორაკი და ბრძანა, მასზე ჯვრის დასმავ, ე. ი. ეკლესიის აშენება.

საფლავის წარწერათაგან ერთ-ერთი ჩიცი (1868) წელს გვიჩვენებს, მეორეზე წერია:

„მომიხსენე მე (.) უფალო (.) მიწა შენი იოსებ წიწას(-)
ძე ტატიური (.) აღვსრულდი უშვილოუძეოთ
ჩუპე წელსა“ (= 1885-ს).

სხვა ქვაზე: —

„მომიხსენე მე (.) უფალო (.) მხევალი ელისაბედ (.) სოსე
ტატიურის მეუღლე (.) გარდავიცვალე ჩუოზ წელსა აბ-
რილის ? დღესა“
(= 1877-ს).

ყოფილი მღვდელმთავარი (ბლალოჩინი) ალექსანდრე ბესარიონის ძე ოქროპირიძე ამბობს, რომ მას ძალიან კარგად და უეჭველად ზუსტად ახსოვს, პაპამისი დეკანოზი გაბრიელ ოქროპირიძე წერდა კულბითის შესახებო: «Кулбитская церковь построена при царе-вике Гоча, из тесанного камня».

იგივე ამბობდაო: იულონ ბატონიშვილი (ერეკლე II-ს ძე) იყო ერთხანს კულბითშიო.

ზემოაღნიშნული თქმა, რომ დისევის ეკლესია დავითის დროსაა აგებულიო, სინამდვილეს არ შეეფერება; ეს ბაზილიკური ეკლესია დავით აღმაშენებელამდეა (1089—1125) აგებული. იგი X საუკუნის ძეგლია (12×7 მ, კედლის სიმაღლე 10 მ-მდე, კედლის სისქე კარის წირთხლში — 1 მ). ეკლესიას მთელ სიგრძეზე თალიანა მინადგამი აქვს კარით აღმოსავლეთიდან, რომელსაც სამონაზნოს უწოდებენ. ეკლესიას სამხრეთიდან და დასავლეთიდან კარიბჭეები ჰქონია (სურ. 14).

მთავარ ეკლესიას კუთხეებში თლილი ქვა აქვს, კედლებში კი ყორე ქვა დულაბით.


ამ ეკლესიას ადგილობრივები ძ ე ვ ე ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ს უწოდებენ, რაც, უეჭველია, ხალხური გააზრიანებაა ნამდვილი სახელის ძ ე ლ ი ც ხ ო ვ ე ლ ი ს. (ძელიცხოველი ხეითში გ რ ძ ე ლ ც ხ ო ვ ე ლ ა დ გაუაზრიათ).

დისევის ძელიცხოვლის ეკლესიის აღმოსავლეთ ფსადზე, სარკმლის ზემოთ ვაზის ლერწზე ყურძნის მტევნებია გამოკვეთილი. ამის მარჯვნივ, მტევანს ქვეშ ირემი და მის ქვეშ ლომია გამოსახული, რომელიც ირმისაკენ მიილტვის. ირემი კი ფოთლოვან-ხილოვან ტოტს უდგას. ამ ქვის მარჯვენა ქვაზე პროფილით მდგომარე კაცის თავები შეიმჩნევა; აქვე ვერტიკალურად ორ-სამ ასო-ასოდ ჩამოწერილია 6—7 სტრიქონიანი ასომთავრულით შესრულებული (შიგ ლ ნუსხური) წარწერის კვალია, რომელიც შესწავლას მოითხოვს.

ირჩევა ასოები: **გს** (ლიგატურა — გიორგის?) **ო** (ან — **ე**) **პს / ნ ა** (ან **ე**) **ს ლ/სა** (სულსა) / **ჩემ** (მ თუ ვ?) **ა / სა**.

ალ. ოქროპირიძე ამბობს: დეკანოზ გაბრიელს (ოქროპირიძეს) საფლავი ეკლესიაში გავუთხარეთ; ფეხების მხარე საკურთხეველში შევიდა, შიგ ოთახივით „სარდაფი“ აღმოჩნდა, რომელშიც მიცვალებულების ძვლები ვნახეთო.

ეკლესიის დასავლეთ კედელთან მართლაც არის აკლდამის ნიშანი.



ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთ კუთხესთან საფლავის ქვაზე იქონი
 თხება:
 „ს ა ხ ს ო ვ რ ა თ ე ს ე ა რ ს ს ა ფ ლ ა ვ ი მ ლ ე დ ლ ი ს
 [ჯ ვ ა რ ი] ზ უ რ ა ბ ი ს ძ ე ბ ე ს ა რ ი ო ნ ო ქ რ ო პ ი რ ი -
 ძ ი ს ა [-]“

[ქვის სამხრეთ მხარეზე:]

გარდავიცვალე სამოცდა ხუთის წლისა (,)
 დამტოებელი მეუღლისა (,) ორისა ასულისა და ორისა
 ძისა (.)
 მაქვს იმედი ახლათ ნაკურთხისა ჩემის შვილის
 იროდიონისა“.

[ჩრდ.]

წავედი გულსავსეთ (,) რომ მაქვს იმედი მისგან
 მოხსენებისა (.)
 გარდაიცვალა 1884 წელსა ღვინობისთვის 1-სა დღესა (.)“

დისევიდან აღმოსავლეთით, წყაროდან მარჯვნივაც აღმოჩენილა აკლამა, რომელშიც 12 ქალა იყო. ამავე წყაროს ზემოთ, ნაცერცვალში (ასე ეწოდება ადგილს) აღმოჩენილა დიდი ქვევრები (ახლაც ჩანან). დისევის დასავლეთით კი სამარხი ჩანგრეულა და ლიახვის ჭალის ქვის კედელი იყო შიგ ამოყვანილი, — ამბობს ალექსანდრე ოქროპირის-ძე (29. VIII. 1957 წ.).

წინათ, ნ. ლ. ოქროპირიძე, კ. დონაძე, ვლად. ნიკორაშვილი და მე დისევიდან აღმოსავლეთით წავედით 1 კმ. ნახევარზე (4. VII. 1955 წ.). მუხნარში ივანე ნათლისმცემლის (ხალხი ივანე მახარებელს უწოდებს) ეკლესიასთან (5×4 მ) ვიყავით. ამისი დღეობა ძვ. სტ. 8 მაისს სცოდნიათ. დისევის ძელიცხოვლისა კი — აღდგომას. კულბითის ეკლესიის დღეობა აღდგომის ორშაბათს იმართებოდაო, ამბობს ნიკოლოზ ოქროპირიძე.

1. ბერიჯვარი სოფელია დისევის სამხრეთით, იქ არსებულ მონასტერში ბერებს უცხოვრიათ.
2. ფურთ სადგომს აქ საირმესაც უწოდებენ.
3. კვირაცხოვლის ნიში ახლაც არის კულბითის ზემოთ, ჭვრის ტყეა იქ.

სხვათა შორის შევნიშნავთ: ყოფილი მღვდელმთავარი ალექსანდრე ოქროპირიძე ამბობს, რომ კ ი რ ი ო ნ ი პ ა პ ა ჩ ე მ ი ს დ ის წ უ ლ ა

იყო; კირიონი სინოდალური კანტორის მდივანმა დავით დავიძემ (დავითაშვილმა) მოკლა იმიტომ, რომ დავიძოვი მექრთამე კატინაში კირიონი გახდა რა კათალიკოსი, მოხსნა დავიძოვი... დავიძოვი იბა-
ზდა, კირიონს მოვსპობო და შეასრულა კიდევცაო... (კირიონის მკვლე-
ლობაზე სხვა, უფრო საფუძვლიანი აზრიც არსებობს).


ზემოხსენებულმა ა. ბ. ოქროპირიძემ დისევივე გვიჩვენა ერთი გუჯრის ასლი, რომლის დედანი მცხეთის სიონის არქივში ინახებო-
და და ეს პირი დეკანოზ გაბ. ოქროპირიძემ გადაიღო. აქვე მყოფი მოხუცი ექიმი ბესარიონ ოქროპირიძე ამბობს: ჩვენს წინაპრებს მუ-
დამ საჩივარი ჰქონდათ, დისევი ჩვენ დავით აღმაშენებელმა გვიბოძა და ნურავინ გვერევა შიგო.

ალექსანდრემ გვიჩვენა პაპამისის განცხადების პირი, რომელ-
შიც ის მართლაც ჩივის: დისევი დავით აღმაშენებლიდან მოყოლე-
ბული ჩვენი, ოქროპირიძეების, იყო და საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგაც ჩვენ უნდა გვეკუთვნოდესო; ამ განცხადებას ხსენებული გუჯრის პირს ვურთავთ და გთხოვთ, ჩვენი ჩვენ მოგვახ-
მართო.

ჩანს, რომ რაღაც ასეთი დოკუმენტი მართლაც არსებულა, რად-
გან სიგელი მეფეთ-მეფე აფხაზეთისას, ხელმწიფე დავითსა და მის ძეს დიმიტრის ახსენებს. შემდეგ ეს სიგელი განუახლებიათ და მას ხელს აწერს მეფე ირაკლი მეორის კათალიკოსი ანტონი.

სიგელს ზემოდან აწერია „Копия“ და შემდეგ მოდის ქვემოწარ-
მოდგენილი ქართული ტექსტი:

„ქ. ნებითა ღვთისათა ჩვენ მეფეთ მეფემ აფხაზეთისათა აღმო-
სავალ-დასავლამდე მპყრობელ პატრონმა კელმწიფემან დავით და ძემან-ჩემან დიმიტრიმან ესე მტკიცე და უცილებელი შემოწირულო-
ბისა სიგელი მოგახსენეთ თქვენ ცათა სწორსა სასოსა ჩვენსა სვეტი-
ცხოველსა და მას შინა აღმართებულსა და კვართსა საუფლოსა და მირონსა წმიდასა შემოგწირეთ სოფელი დისევი თავის სამართლი-
ანის სამზღვრებით (.) ასე მოგვეხსენება და შემოგვიწირავს საქარე გზამდისინ, წურბელთ წყარომდისინ და სათიბის წვერამდისინ, ღრმა გზამდისინ, ბერიჯვრის წვერამდისინ და სათიბის წვერამდისინ, სათ-
სო გასაყარ გზამდისინ, იქით საიკორთო გზამდისინ, გახვრეტელ ქვამ-
დისინ, სასადილო წყალმდისინ, ფურთსადგომამდისინ, წითელ კოშ-
კამდისინ, ნასერლები, ჩხოკურის წყალმდისინ (.) მრგვლივ ტყემ-
დისინ და ტბამდისინ, კვირაჯვრის გზამდისინ, და ნაცარყანა ხე-
ვამდისინ, ზეით გზამდისინ და ქვევით შარამდისინ ეს სოფელი დი-



სევი მრგვლივ სამზღვრით შემოგვიწირამს ყოველის კაცის უტი-
 ლებლად და ულაპარაკოდ და გელშეუშლელად მოგვირთმევია და
 კაცი შემოგვიწირამს კეთილგვაროვანი ოქროპირიძენი მოსახლენი
 დავით და ნიკოლოზ და მალიაძე დემეტრე ესენი თავისის მითთა, ბა-
 რითა და აბილახტაური თავისი საწისქვლოთი, ეს ასრე მოგვიხსენე-
 ბია და შემავიწირამს თქვენ სვეტიცხოველსა და კვართსა კათალი-
 კოსსა დოსითეოსსა; შეიწირე მცირე ესე შესაწირავი, და ნაცვლად
 გვაგე დღესა მას განკითხვისასა, ხ[ოლო] დამამტკიცებელი და რო-
 მელმაც ამას შლად ჯელყოსს, რისხამს ღმერთი და ყოველნი მისნა
 წმინდანი და სვეტიცხოველი და ჩვენთა ცოდვათა მიერ განკითხვისა
 დღესა მას განკითხვისასა, ხოლო დამტკიცებული ამისანი ღმერთმან
 აკურთხოს.

დაიწერა გელითა მღვდელმონაზნის ეგნატისათა თვესა აპრილსა
 ივ ქან[ს] სდ (.) გელჩართული ესე არს. დავით მეფე ვამტკიცებ (.).
 ნებითა ღვთისათა ჩვენ ყოველის საქართველოს პატრონმა, მეფის
 ირაკლის შორის ძემან ანტონი დავით მკვიდრისამან გარდავა-
 წერინე წიგნი ესე წ(ინაშე) ჩვენისა სიონის დეკანოზის იოვანეს
 უმეტნაკლებოდ, რომელისაცა მკვიდრი ჩვენა გვაქვს“. (თარიღა
 1516 წ?).

(მღრ. თ. ჟორდანი. „ქრონიკები“, II, 334, № 1516).

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ოქროპირიძეები ჩიოდნენ, დისევე-
 ში ნურვინ გვეცილებათ. სიგელი ამათ კეთილშობილ გვაროვანს
 უწოდებს, მიძღვნილთ მცხეთის სიონისადმი. ოქროპირიძეების უმ-
 რავლესობა სასულიერო პირები ყოფილან. კირიონის (გ. საძაგლი-
 შვილის) შემდეგ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლეონიდე
 ოქროპირიძე (1918—1921) დისევიდან იყო.

ბესოსა და ალექსანდრე ოქროპირიძეების ცნობა და დეკანოზ
 გაბრიელ ოქროპირიძის განცხადებების შემონახული ასლები რომ
 იუწყებიან ოქროპირიძეების პრეტენზიების შესახებ დისევეზე, ეს
 შეიძლება იმითაც იყოს გამოწვეული, რომ 1789 წლის 20 მაისს ან-
 ტონ II კათალიკოსს გაუცია წყალობის წიგნი სარდალ იოანე გედე-
 ნიშვილის დისევის მოურავად დანიშვნის შესახებ¹⁸ და ამ გვარს ეს
 შემკვიდრეობით ჩაუბარებია. ხოლო საკვირველი ისაა, რომ ამათაც
 დიდი თხოვნისა და ძიების შემდეგ მიუღიათ ეს მოურაობა და ამისა-

¹⁸ დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, II, თბ., 1953., გვ. 146, დოკუმ.
 № 234.

თვის ხელთ ჰქონიათ სიგელი, რომელსაც ისევ ის ანტონ კათალიკოსი აწერდა ხელს, რომელიც ოქრობირიძეებსაც უწერს ხელს სტეფანოზე.

მასში თქმულია: ეს წყალობის წიგნი გთხოვთ თქვენ „ახნაურთა გედეონის შვილს სარდალს იოანეს, ძმის წულსა შენსა ერასტინა და გედეონს, შულსა შენსა დავითს და ვახტანგს და მომავალთა სახლისა თქუძნისათა ყოველთავე; — ასე რომ მოხუცდით კარსა პალიტისა ჩვენისასა და დისევის მოურაობას გვეაჯენით და ჩუენ უწუელილესის გამოძიებით და ჰქუძმარეტის სიმართლის განსჰსჯით გამოვიძიეთ და განვიხილეთ ამისთვის და ნეტარ ხსენებულის ბიძის ჩუძნის კათოლიკოსის ანტონის მიერ ნაბოძები წყალობის წიგნი და სიგელი ბეჭდით დამტკიცებული გქონოდათ ამ დისევის მოურავობისა და ჩუძნეც ვისმინეთ ვედრებითი თხოვა თქუძნი და აწ მეორედ განგიახლეთ და დაგიმტკიცეთ და გიბოძეთ დისევის მოურაობა ყოვლის კაცის უცილობლად და ჩამოუსარჩლელად, რომელიც სიგელი თუნეირ ამისსა გამოჩნდეს ვისგანმე, სიგელმან ამან გააბათილოს“¹⁹...

ჭ ა რ ე ბ ი


მდებარეობს პატარა ლიხვის შენაკადის ჭარებულას (სოფელს სამხრეთიდან ჩამოუდის) ხეობის ლამაზ ზეგანზე, ორბოძალას ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფენზე. სოფლის ჩრდილოეთით სნეკურა (სნეკვის წყალი) ჩამოდის.

ქვემო ჭარებში 15 კომლი რაზმაძე ცხოვრობს, ხოლო ზემოში 60 კომლია. მათგან სამი კომლი ისევ რაზმაძეა, დანარჩენი 57 გვარაუღაფაჩია. ამიტომ ქვემო ჭარებს რაზმაძეთ კარსა და ზემოს ლაფაჩებს უწოდებენ.

ცხინვალიდან ზემო ჭარებამდე 12 კმ-ია, ქსუთისამდე — 4 კმ. ს. სნეკვი ჭარებს ზემოთ 3 კმ-ზეა.

ახლა ამ მაღლობ ადგილზე ვაზი არ ჩანს, წინათ კი ბევრი ყოფილა; ვზის თხრის დროს მიწაში უზარმაზარი ქვევრები გამოჩენილა. ზემო ჭარებიდან აღმოსავლეთით მთაზე ციხე ჩანს. მეორე ციხეს ტყეში (მრგვალია, შიგ დიდი ხეა ამოსული) შამილეთს უწოდებენ. ეს ორი ციხე მთიდან მთაზე ერთმანეთს შეჰყურებენო, — ამბობენ აქაურები.

¹⁹ იქვე. გვ. 146.




1. არბო. წმინდა გიორგის ეკლესია


არქიტექტორი: მ. ბერიძე




2. არბო. წმინდა გიორგის ეკლესია



3. არბო. ბაზილიკა




4. ბელთის ციხე



5. ბელთის ციხის შიდა ხედი




6. ეკლესია ბელოთის ციხის შიგნით



7. ბელთი სამხრეთიდან. ხადურიათკარი



8 მერეთის საყდარი



9. წარწერა შერეთის საყდრის კედელში



10. წარწერა მერეთის ხაყდრის კედელში




11. შვერალ ა. ფურცელაძის საფლავი




12. კოშკი



13. დსეგეფს ეკლესიას მოზსე



14. დსევის ქვედა ეკლესია





15. ვახაშის კედლის



16. ვახაშის ციხე




17. ვახაშის ეკლესია



18. ფრისის ღვთისმშობლის ბაზილიკის სამხრეთ - დასავლეთის მხარე



19. ერედვის გალავანი



20. ერედვის წმ. გიორგის ტაძარი ჩრდილო-დასავლეთიდან



21. ერედვი. წმ. გიორგის ტაძრის დასავლეთ კედელში ჩატანებული
ჯვარი წარწერით.



სოფელში ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (ქვის გვიანდელი ნაგებობა). მისგან ჩრდილო აღმოსავლეთით მთავარანგელოზის საყდარია, სამხრეთ-აღმოსავლეთით ტყეში წმიდა გიორგის ეკლესიის ნანგრევებია.

სოფლის სამხრეთ-აღმოსავლეთით ს. გოგიაანთ კარში (ჭარბულას პირზე) გამოქვაბულს ასახელებენ და იქვე ჭარბულას შენაკადს ქვაბთა ხევა ეწოდებაო. ეს სახელწოდება და ჭარბის სამხრეთით მდებარე ს. ნაქალაქევი (აქაც ეკლესიაა) არქეოლოგიურ ინტერესს იწვევენ.

უფრო ზევითაც, ორბოძალას მთაზე, ს. გოგიაანთ კართან, მიქელ-გაბრიელის და ს. გრომსა, წიფორსა, ზონკარსა და აწრის ხევშიცაა საკულტო ადგილები და ნაგებობების ნანგრევები ან ნასაყდრალეები.

ჯერჯერობით ყველა ამათზე უფრო თვალსაჩინო, მნიშვნელოვანი და საინტერესოა ქვემო ჭარბის ბაზილიკური ეკლესიის (X—XI ს.) ნანგრევი, რომელსაც აქ მოკლედ ღვთისმშობელს ან რაზმანთ კარის, ან კიდევ ჭალის ღვთისმშობელს უწოდებენ.


ეს ეკლესია აგებული ყოფილა ღვინისფერი კარგად გათლილი ქვებით, ჰქონია კარიბჭეებიცა და სხვა. აქაური მოხუცი ძმები ვასილ და ბესო რაზმაძეები გვიამბობენ, 5—6 წლის წინათ იყვნენ აქ 1 კაცი და 2 ქალი თბილისიდან, სამი კვირა დარჩნენ, ეკლესიის ირგვლივ გათხრები აწარმოეს, ყოველი გზა გაზომეს და გასინჯესო.

რაკი ძეგლი შესწავლილი ყოფილა, ჩვენ მასზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით. მით უფრო, რომ აქ წარწერის კვალიც არ ჩანს. ვიტყვით მოკლედ, ეკლესია სამნავიანი ჩანს, ყველაზე დიდი (შუა ტანი) შიგნით ოთხბოძიანი ყოფილა, რომლებიც შეიძლება შემდეგაც იყვნენ აღმართულნი სახურავის გასამაგრებლად.

ეკლესიის დასავლეთ ფასადზე სხვადასხვა ფორმის 3 ჯვარია გამოკვეთილი ჩრდილოეთიდან კარიბჭის ბოძი მოგვაგონებს ნიქოზის მთავარანგელოზის (ესეც X—XI ს. ძეგლია) ასეთსავე ბოძს (იხ. ნიქოზის ჩვენი აღწერილობა).

ეკლესიის აღმოსავლეთით ქვის გრძელი სახლის ნანგრევია. საყდრის დასავლეთით სასახლე ყოფილა. აქვე, ამბობს ვასილ რაზმაძე, იმოდენა ქვევრი ჩანდა, რომ შიგ კამეჩი მობრუნდებოდაო.

ეკლესიის სამხრეთით სახლივით აღმართული კლდეა; იქ წყარო ჩამოდის და იგი თიხის მილებით ამ ეკლესიაზეც ყოფილა გამოყვანილი. ამ მილის ორი მუხლი ვასილ რაზმაძის ოჯახში ძვეს.



ბესო რაზმაძეცა და პატარა ლიახვის ხეობის მცხოვრებნი ერთი სხვა პირიც ირწმუნებიან (ეს მხოლოდ თქმულებაა), რომ ამ ეკლესიაზე იყო ქვა, რომელზეც ეწერათ:

„მე ვარ ბერი,
სტარშინელი (!).

ეს სობორო (!) იმ ფულით განაახლეთ, აქ რომ დამიფლავსო, და ბევრიც კიდევ დაგრჩებათო“.

ს ა თ ი ხ ა რ ი - ძ ს უ ი ს ი - დ მ ე ნ ი ს ი

სათიხარი ქარების დაბლა გორაკზე გაშენებული 85 კომლიანი სოფელია. დანგრეული პატარა ეკლესია სოფელშია, უფრო ძველის ნანგრევი (წმიდა გიორგი) სოფლის ჩრდილოეთითაა ტყეში. ერთ ნაშთს სოფლის აღმოსავლეთით ისევ ტყეში კვირაცხოველს უწოდებენ; აქ მოდის სოფელი და იკნაობას (7 ან 10 ოქტომბერს) დღესასწაულობსო, — შენიშნავს აქაური კაცი.

სოფელში მოზრდილი ციხე ძალიან მოხერხებულ (სტრატეგიულ) ადგილზე დგას.

სოფლის სამხრეთით ორბოძალას მთაზე გვირახს ასახელებენ.

ქსუისსა და დმენისში მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიებია. მათგან უფრო ძველი შუა დმენისისა (თლილი ქვისა, 7,20 მ X 4,70 მ). ამას სამხრეთიდან კარიბჭეც ჰქონია. აღმოსავლეთი სარკმლის თავზე ძველი ქართული ჯვარია გამოკვეთილი (XI—XII ს). ყურადღებას იპყრობს დასავლეთ კარის თავის ქვაც.

სოფელს დმენისებს უწოდებენ იმიტომ, რომ არის ზედა, შუა და ქვემო დმენისი.

შუა დმენისის აღმოსავლეთით კუნძულისებრი ტყეა, რომელსაც „ყველა წმინდას“ (ყოვლად წმინდა) ეძახიან.

ვ ა ნ ა თ ი

მდებარეობს ცხინვალიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 8—9 კმ-ზე. გზა ცნობილი არქიტექტურული ანსამბლის მქონე ს. ერედვზე გადის.

ვანათის გამგეობა მრავალსტფლიანია. მასში შედის: ვანათი, ორტევი, გუჩმაღლა, ჯოჯიანი, ძიცი, კოხათი, მარმაზეთი, ზემო და ქვე-



შო სარაბუჯი, საცხენეთი, დიდხევი, თლიაყანა და წყალწმინდა. ს. 25 კომლი ცხოვრობს.

ვანათის ეკლესიაში დასადგამ ქვაში ჩასმულ მარმარილოზე წე-
რია:

„სიკვდილმან მამწყლა უჟაშოდ(.)
 უცოდავთ გებული ძე, მღვდლის კანდ(-)
 ელაკოვისა კოსტანდინე სახელდებული(.)
 დედ(-)მამა დავტოვე ამა სოფელს(.) ვწუხ მათი
 მოშორებული (.) წამკითხველთა ვითხოვ შენდ
 ობასა ამ ლოდსა ქვეშე დებული(.) ჩ ყ ა ა წელ(-)
 სა მარიაშობის შ დღესა“.

(1861 წ. 8 აგვისტო).

სხვა ხელით:

„ლოდსა ამას ქვეშე ვართ მდებარენი
 ორნ(ი) ძმანი(.) კონსტანტინე(.) გეახელი
 შვიდის წლის ძმა (მრტ(?)) ხნის მიწევს,
 ვართ ამა სოფლის განუხარელი(.)“

ჩ ყ ა ბ დეკენბ. ით დღეს“.

(1862 წ. 19 დეკემბერი).

(სურ. № 15, № 16, № 17).

ფ რ ი ს ი

ცხინვალიდან აღმოსავლეთით 2 კმ-ზე მდებარეობს ს. ფრისი. მას გვერდითვე მდებარე ოს-ფრისიდან განასხვავებენ მით, რომ პირველს ძველს ან ქართულ ფრისს უწოდებენ. ძველ ფრისში არსებობს ბაზილიკური ეკლესია, დაახლოებით 6×5 მ. სიმაღლე 5 მ. იგი აგებულია ადგილობრივი (ერედვის) ღვინისფერი ტუფით (აღმოსავლეთი კედელი მთლიანად ასეთია, სხვა კედლებში რიყის ქვაც ურევია. სურ. № 18).

აღმოსავლეთ კედელში, ვიწრო სარკმლის თავზე, პატარა ყვავილოვანი ჯვრის გამოსახულებაა. დასავლეთი კედლის სარკმელიც თითქმის ამ ფორმისაა, მაგრამ იგი მალა, შედარებით გვიანდელ კედლის ნაწილში ჩანს ჩადგმული.

საყდარს კარები დასავლეთითა და სამხრეთით აქვს. უკანასკნელზე თალის დიდი ქვა ძევს და მასზე ჯვარი ოთხი სეფისკვერით არის გამოსახული (ჯვრის მკლავებს ზემოთ—ქვემოთ).



შიგნიდან ეტყობა, რომ აღმოსავლეთი სარკმელის ზემოთა ნაწილი მთელ სიგრძეზე და ირგვლივ შემდეგაა დაშენებული გუმბათოვან ნაგებობის წელში პილასტრია, რომელიც გუმბათს ამაგრებს (შდრ. კუსირეთი).

ეს მეორე ფენა ერედვის ტაძრის შეკეთების დროს კრამიტით გადაუხურავთ.

საკურთხეველში მთლიანი დიდი ქვის ტრაპეზი დგას და მის წინ, აღსავლის კარის მარცხენა მხარეს, ქვისავე სახატე დგას (ხატის ადგილი ჩაჭრილია, წინ სანთლების მისაკრავი ზოლი აქვს).

ამგვარად, საყდარს სამი ფენა გააჩნია — უძველესი (აღმოსავლეთი სარკმლისა და სამხრეთი კარის თაღის გასწვრივ), რომელიც X—XI ს. შეიძლება იყოს, ზედა თაღისებრი ნაწილი (XVII ს.?) და უახლესი სახურავი.

ეკლესიას სამხრეთიდან გალავანი ჰქონია. გალავნის კარის ორი დიდი ბუნებრივი ლოდი ახლაც დაუძრავია ადგილიდან. ჩრდილოეთ კედელთან ორი ბზა დგას.

საფლავის ქვათა წარწერებში ირჩევა სოფელში ახლაც მცხოვრებთა გვარები. საყდრიდან დასავლეთით საფლავის მხატვრულ ქვაზე ზემოდან იკითხება:

„ქვეშე ძეგლისა ამისა განისვენებს მხევალი ღვთისა
ანდრო ნიკორაშვილის მეუღლე ნატალია(.) დიმ(იტრი)
მეტრეველის ასული(.) შობიდგან ვიყავ კ ბ წლისა
(სამხრეთ მხარეზე).

„გარდავიცვალე ჩ ყ ო თ წელსა მარიამობისთვის ი ბ-ს
დღესა (.) აღმომკითხველნო, გთხოვთ, შენდობა გვიბა-
ნოთ(!)“

მაშასადამე, ეს ნატალია გარდაცვლილა 1879 წლის 12 აგვისტოს 22 წლისა.

„მონა მხვთისა სილომან სვიმონის ძე გაბოძე“ გარდაცვლილა კ ბ (22) წლისა. როგორც ჩანს, მისივე ძმის, ქვაზე წერია: „...სვიმონის ძე გაბოძე გარდავიცვალევი მ წლისა (40 წ.);“

„სოსიკა დათუას ძე (მ)ჭედლიძე“ შობიდან 90 წლის გარდაიცვალა 1908 წლის 27 თებერვალს, სოსიკას მეუღლე სოფიო კი — 1915 წელს.

ნიკორაშვილები ახლა ნიკორიშვილებად იწერებიან.

ცხინვალიდან ვანათისაკენ დიდსა და პატარა ლიახეებს შორის ზეგანზე მდებარეობს ფრისის (ახლა — ბერულის) გამგეობა. მასში გაერთიანებულია სოფლები: არგვიცი, ბერულა, ერედვი, მამისაანთუბანი, ფრისი. ცხინვალიდან 7 კმ-ზე ერედვის ცენტრში დაცულია ძველი ციხე-გალავანი (სურ. № 19).

გალავნის მიდამოებში მცხოვრებთა გვარებია: ბორცვაძე, ოზგებიშვილი, ყუყუნიაშვილი, ქრისტესიაშვილი; მათ მეზობელთა გვარებია: ბაციკაძე, ბეჟუაშვილი, ბუზალაძე, ვახტანგაშვილი, მაისურაძე, ტყარაშვილი, ფავლენიშვილი (ძველად — თავადი), ღამბაშიძე, ქასაყვი, ქელესხაშვილი, ქოქოევი, ხუბაევი.

ერედვის წმ. გიორგის ნავისებური დარბაზული ტაძარი 906 წელს არის აგებული (იხ. ქვემოთ) ე. წ. ღვინის ფერი ქვით. ძველი დათარიღებულია ლაპიდარული წარწერით. გალავანი X ს. შუასაუკუნეებშია ანაგები. ერედვის ბერისხევეზე „ბერის საყდარი“ X ს. ძველია; შიგ შემორჩენილია მოხატულობის კვალი. სოფელშივე მდებარე „ელიას საყდარი“ XVII ს. და ციხე XVII—XVIII ს. უნდა იყოს. მას ბერუანთ უბნის ციხეს უწოდებენ. სოფელშივე არის ე. წ. „წითელი“ საყდრის ნანგრევები და „ქვაბთა“ ეკლესია.

ს. ერედვი ზეგანზე მდებარეობს არბოდან ჩრდილოეთით და აქვბენ მის ღვინოს.

ერედვის ტაძრის შესახებ ცნობას ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი გვაწვდის: — ქციხილვანი გაღმა, აღმოსავლეთით „ასტყდენის მთა ტყიანი“, მის ძირს პატარა ლიახვისაკენ „არს ერედვის ციხე და ეკლესია. წმიდის გიორგისა“²⁰ (სურ. № 20).

ამ ტაძარს სამხრეთი ფსადის მრგვალ სვეტზე აქვს სააღმშენებლო წარწერა, რომელიც „გარშემო უვლის სვეტის მთელს ზედა ნაწილს, სვეტის საბრტყლიდან ვიდრე სვეტის თავამდე“²¹. (სურ. 21, 22).

ეს არის უძველესი თარიღიანი (906 წ.) და უმნიშვნელოვანესი წარწერა მთელს ამ მხარეში, თავისი მნიშვნელობით მას მხოლოდ დოდოთის (იხ.) წარწერა თუ შეედრება. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ ეს წარწერა ამ ხეობასა და ეპოქაში არ

²⁰ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 76.

²¹ რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი. — „ქართული ხელოვნება“, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები, თბ., 1955, ტ. 4, გვ. 111.

არის ერთადერთი; აქვე სხვა წარწერებიც გვხვდება. ასეთებშია: „სახეობის საბა-წმინდა (X საუკუნე), ერედვის ე. წ. ბერის საყდარი (X საუკუნე), ზემო-ნიქოზის მცირე გუმბათიანი ტაძარი (X—XI საუკუნეთა მიჯნა), დოდოთის „ცხრაკარა“ (X—XI ს. მიჯნა), ტბეთის დიდი დარბაზული ეკლესია (X—XI ს.) და სხვ.“²².

ეს წარწერები გვიჩვენებენ, რომ მდ. დიდი და პატარა ლიხხევის შუა წელის ტერიტორიის მოსახლეობა X—XI საუკუნეებში დიდი ეკონომიური და კულტურული აღმავლობის პირობებში ცხოვრობდა.

ერედვის წარწერას 906 წლისა ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძე ეხება 1885 წ. ერთ-ერთ გამოცემაში და 1032 წლით ათარილებს (რ. მეფისაშვილი, იქვე, გვ. 103).

იგი არსებითად პირველმა წაიკითხა, სწორად დაათარილა და გამოაქვეყნა ვ. თოფურიაშვილი (1924 წ.), ძეგლის კომპოზიციური თავისებურებანი შეამჩნია ლეონ მელოქსეთ-ბეგმა (1926), კიდევ უფრო არსებითად შეეხო მას გ. ჩუბინაშვილი (1937 წ.) და წარმატებით დაასრულა მის მიერვე წარგზავნილმა მეცნიერულმა ექსპედიციამ (1940, 1943). ამის შედეგად გამოქვეყნდა ზემოციტირებული, ამ საკითხზე უმნიშვნელოვანესი ნაშრომი რ. მეფისაშვილისა (წარწერა მანვე 1944 წელს გამოაქვეყნა; იხ. ციტ. „ქართული ხელოვნება“, ტ. 4, გვ. 111. შნშ. 2).

წარწერის ტექსტი შევიდა ივ. იმნაიშვილის სახელმძღვანელოში — „ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია“ (ტ. I, 2 გამოც. — თბ., 1970 წ., გვ. 16; შდრ. ჩვენნი 1952 წ. ნაშრომი, გვ. 263, იხ. ზემოთ — ცხინვალი). იგივე წარწერა გამოქვეყნებულია რიგ საისტორიო ნაშრომებში.

მას აქვე მხედრულ ასოებზე გადმოტანით და ქარაგმების გახსნით ვიმეორებთ:

ტექსტი აგრეა წაკითხული:

„სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა/წმიდისა ღმრთი/ს მშობელისაჲთა, შეწვენითა წმიდისა გიორგისითა, გელმწიფობასა ღმრთივ დამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფეჲ გააქცია და მუნით მშუილობით იქცა. ცისკრად ა/ლავერდს ილოცა, მწუხრი ბრეწას გარდაჰკდა. მეორედ კულა ავი-

²² იქვე, გვ. 101.

და, ვეჯინ/ისა ციხე დაღეწა. ქართლს შინა უფლობასაა ტბელისა ივანესა, მთავა/რებისკოსობასა სანატრელისა უესა²³, ჯუართა მისითა, განზრახვითა ნიქოზ/ელისა სანატრელისა სტეფანე ეპისკოპოსისაათა ძალითა (და) შეწევნითა მოყუას/თაათა, მე, თეოდორე²⁴ თაფლაჲს ძემან დავდე საძირკუელი. წელნი იყვნეს²⁵ ხფი ქრონიკა²⁶.

ჩვენ აქ ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები დაგვყავდა 1950—1954 წლებში; ვახერხებდით მხოლოდ სამხრეთი კარის მარცხნივ შიგნიდან სვეტის თავისუფალი ნაწილის წაკითხვას (სვეტის დიდი ნაწილი დაფარულია აღდგენილი კედლით, თავისუფალი კი შეთეთრებულია კირით). ბოლოს აქვე 16. III. 74 წ. ვიყავით ავთანდილ, ვლადიმერ და მიხეილ ცოტნიაშვილები, ისკანდერ დუდავერი და მე; მთლიანი ტექსტი ახლაც მიუწვდომელია.

ეს კი კარგად ჩანს, რომ ტექსტში ოპ(უ) ერთი ო—ასოთია წარღვენილი, რაც X საუკუნისათვის ჩვეულებრივია.

წარწერაში მოხსენიებული ივანე ტბელი რომ შავშეთის ტბეთს არ ეკუთვნის და იგი ცხინვალის დასავლეთით მდებარე ტბეთის უფალი (მფლობელი) იყო, ეს აზრი სწორი ჩანს (მდრ, ქვემოთ — ტბეთი, აგრეთვე — საბაწმინდა, — საქართველოს გარეთაც არსებობდა და ცხინვალი ხეითანაც არის. იხ. ზემოთ საბაწმინდა).

წარწერის ზოგიერთი სიტყვის პირობითობაზე თვითონ გამომქვეყნებული რ. მეფისაშვილი ლაპარაკობს (გვ. 113) და აღარ გავიგოვრებთ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ წარწერის წინადადება კონსტანტინემ „ცისკრად ალავერდს ილოცა“ (კახეთის ალავერდი) ასევე იკითხება „მატიანე ქართლისა-ში“: — „მოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს...“ (იქვე).

სახელი კონსტანტინე წარწერაში შემორჩენილი ნე — მარცვლის მიხედვითაა აღდგენილი...

წარწერაში მოხსენიებული ნიქოზელი ეპისკოპოსი სტეფანე, თთქოს, რაქდენის სახელობის ნიქოზის ეკლესიის წარწერაშიც იხსენიება (იხ. ნიქოზი).

ერედვის ტაძრის სხვა თავდაპირველი წარწერები გაბმულად არ

²³ ქარაგმა ჯერჯერობით გაუხსნელია.

²⁴ ადგილზე წერია თე; შეიძლება წაკითხულ იქნას, როგორც თე ვ დ ო რ — ც.

²⁵ ადგილზე იყვნეს წერიაო.

²⁶ რ. მეფისაშვილი, ციტ. ნაშრომი, გვ. 112; ივ. იმნაიშვილი. ციტ. ქრესტომათია, გვ. 16.



იკითხება, მათში ისტორიული პირები და თარიღები არ ჩანს! მაინც საინტერესოა ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში რელიეფური ჯვრის თავზე ამოკითხული „ქე (მ)ნა შნი თე“ = ქრისტე, მონა შენი თეოდორე“ (ან თევდორე) და გასაზიარებელია გამოთქმული მოსაზრება, რომ ეს თედორე დიდ წარწერაში მოხსენიებული თეოდორე თავლას ძე უნდა იყოს (იქვე, გვ. 17).

ერედვში წარწერების აღმოჩენა კიდევ მოსალოდნელია (სურ. № 23).

ბ მ რ ი

ჯავის რაიონის ს. ხეწესა და კროჟას (ოს. კროზ, აქ 1085 წელს აგებული ეკლესიის ნანგრევებია) ზემოთ, — გერის, როკის, ედისისა და ერმანის მიდამოებში, — წარწერებიანი სიძველეები იშვიათია. ეს გასაგებიცაა, — ამ მთიან ადგილებში ძველად უწიგნურობა სუფევდა. მაგრამ გვხვდება მატერიალური კულტურის ძეგლები: უმთავრესად ციხე-კოშკები, საკულტო ნაგებობები და სასაფლაოები, საინტერესო ტოპონიმიკური სახელები და ფოლკლორული მასალები (სურ. № 24).

კროჟიდან 4-5 კმ მანძილზე, მომადლო მთის კლდოვან მწვერვალზე, ქვის გალანნიდან ეზოში თალისებრი შესასვლელით, დგას თლილი ქვის ნაგებობა, გუმბათოვანი სამრეკლოთურთ. 12. VIII. 1954 წ. ამ ეკლესიიდან (მას მონასტერსაც უწოდებენ) ჩრდილოეთით, გუდისის ხეობაში, აქა-იქ კიდევ თოვლი იდვა. ეკლესიიდან მშვენიერი ხედია. სამხრეთი მხარე კირის კლდეების „კოშკებს“, ლარებსა და ღრეებს წარმოადგენს.

გერის წმიდა გიორგი და მისი ეკლესია (ოს. ჯერი-ძუარ), ს. გერთან (ოს. ჯერ), უძლიერესად ითვლებოდა ლიახვის ხეობის ქართლელთა და ოსთათვის. გერისობა²⁷ დიდი დღესასწაული იყო. გერის წმ. გიორგის უმცროს ძმად ითვლებოდა არბოს წმიდა გიორგის ეკლესია, პირველთან მრავალი რიტუალია დაკავშირებული²⁸.

²⁷ ვ. ბარდაველიძე შამაკაცის სახელ გორისა-ს გერის ჯვარს უკავშირებს. ამავე სახელს ეხება ა. შანიძეც. იხ. მისი „თეოფორული სახელები ქართულში“. — ჟურნ. „მაცნე“. 1972, № 2, გვ. 197.

²⁸ ზოგი რამ მის შესახებ იხ. ზ. ჭიჭინაძის „ოსეთის ისტორიაში“, თბ., 1913, გვ. 253—254. შდრ. გ. ფ. ჩურსინის წერილი. იხ. Труды Закавказской научной ассоциации. Серия I, თბ., 1925, გვ. 203.

მიუთითებენ იმ სარკმელზე (სურ. № 25), რომლიდანაც, როგორც ხალხური თქმულებების, ისე ნ. ლომოურის მოთხრობის — „ქაჯანას“ — მიხედვით, ბიჭი შეძვრა ეკლესიაში და ქაჯანასა და მის მხლებლებს დაუძახა, შინ წადითო, და ავადმყოფი თითქოს განიკურნა კიდევ (იხ. ქვემოთ).

ქსნის ხეობის ს. იკორთის წმ. აბოს [არბოს] ეკლესიაში (1848 წ.) იხსენიებს მ. ბროსე გერის დიდ ჯვარს, რომელზეც იკითხებოდა:

„შ ე მ ო გ წ ი რ ე მ ე თ ა ვ ე ყ ე ლ ა შ ვ ი ლ მ ა დ ა ვ ი თ, წ მ ი ნ დ ა ს ა გ ი ო რ გ ი ს გ ე რ ი ს ა თ ვ ს, ჩ ვ ე ნ ი ს ს უ ლ ი ს ს ა ო ხ ე ბ ო თ, ჩ ე მ ი ს შ ვ ლ ი ს ს ა დ ღ ე გ რ ძ ე ლ ო დ. ვ ა ი ნ ც წ ა ი კ ი თ ხ ო თ, შ ე ნ დ ო ბ ა ბ რ ძ ა ნ ე თ!“²⁹ (სურ. № 26).

ნიკო ლომოური გერის მონასტერს სათათურას წმიდის გიორგის ეკლესიას უწოდებს, რომელიცო, განმარტავს ავტორი, მდებარეობს კავკასიის მთის ერთ მაღალ მივარდნილ ციციბო ადგილას, პატარა სოფელ სათათურაში (სურ. № 27).

საყდარი მდებარეობს კოშკის მსგავს მაღალ გორაზე. ამბობენ, რომ ამ საყდარში „ასვენია თავის სარქველი მოხსენებულის (გიორგის, ი. მ.) წმიდანისა... გაზაფხულდება თუ არა, დაიძვრის ამის მლოცავი და საქართველოს ყოველი კუთხიდან მოდის აქ შესაწირავი“...³⁰ სოფელს რომ მლოცველები მოსძულდნენ, რადგან პურს თხოულობდნენ, ბიჭებმა ერთი ბიჭი გადააძვრინეს ფანჯრიდან საყდარში, და რადგან ქაჯანას მშობლები იცდიდნენ მანამ, სანამ წმ. გიორგი არ დაუძახებდა, წადითო, ბიჭმა დაიძახა „წადით, წადით!“ ეს ქაჯანამ გაიგონა, დამუნჯებულს ენა აება, „ვაიმე“ დაიძახა, გარეთ გამოვარდა და წამოიძახა: „წმინდა გიორგი დადის საყდარშიი!“³¹.

საკვირველია, რომ ასეთ სახელგანთქმულ ეკლესიას, ანუ, როგორც მას უწოდებენ, გერის მონასტერს, ანუ გერის წმინდა გიორგის. წარწერები არა აქვს (სურ. № 28).

საყდარზე შემდეგ სამხრეთიდან მინაშენებ სენაკის კარს ზემოთ ჯვარია გამოსახული თარიღით 1899. ე. ი. ამ წელს აუგიათ ეკლესიის ეს ნაწილი და მისი ეზო შეუკავებიათ (სურ. № 29).

²⁹ M. Brossel. Rapports sur un voyage archéologique dans la Géorgie et dans l'Arménie. V. VI, 1847—1848., ს.-პეტერბურგი, 1851., გვ. 64.

³⁰ ნ. ლომოური. მოთხრობები, თბ., 1951, გვ. 72.

³¹ იქვე, გვ. 75.



ეკლესიის აღმოსავლეთი კედელი 5 მ განისაა, მინადგამი 2 მ 57 სმ. — სულ 7 მ 57 სმ, განი 8 მ 66 სმ.

ძველი შენობაც რესტავრირებულია; ჩრდილოეთ კედელში ამ დროსაა (1899 წ.) ჩასმული ფანჯარა. აღმ. კედელში სარკმელია და მის ზევით ჩუქურთმებიანი ქვებიცაა (სურ. № 30).

საყდარში ერთი ჯვრიანი ქვა ძვეს. კედლის თაროში 45 პატარა-პატარა ზარია, რომლებიც სხვადასხვა დროსაა შეწირული.

გერის დიდი დღეობა — გერისობა — 5 ნოემბერს სრულდებოდა. მაშინ აქ მრავალ ცხვარს კლავდნენ. გერისობა, რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. ამიტომ აქ მოსაცდელი სახლებიც არსებობდა.

დაბრუნებულთაგან ზოგიერთნი არბოს მიაკითხავდნენ და აქ ამთავრებდნენ დღესასწაულს.

ისედაც, ვისაც გერში ასვლა არ შეეძლო ³² (სიშორის, გზის სიძნელისა და სხვა მიზეზის გამო), გერისობის დღეებს არბოში (არბობაში) ატარებდა, და ასეთებს, ვინაიდან არბო გერის უმცროს ძმად ითვლებოდა, მიაჩნდათ, რომ გერისობის ვალი მოხდილი ჰქონდათ. არბობა უფრო ფართო სანახაობითი ხასიათის იყო.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ გერსა და არბოში მლოცველები დღესასწაულის დღის (აღნიშნული 5 ნოემბრის) გარდა, ისედაც დადიოდნენ შაბათ-კვირაობით, ზოგიერთი ქალი ფეხშიშველი ადიოდა იქ და ლოცულობდა.

ცნობილია ისიც, რომ გერის ჯვარს შეშლილთა და გიჟთა „სამკურნალოდაც“ იყენებდნენ.

ვინმე ოსი ჩ-შვილი წერს, რომ ის თვითონ იყო გერის წმიდა გიორგის დღეობაზე. ხალხს ღამე იქვე გაეთია, დილით, დიდ ტრიალ მინდორზე (1 მცირე ფართობია, ი. შ.), გამართეს: თამაში, მარულა (!), კრივი და ჭიდაობა, უმღერდნენ ვასთირჯის (წმიდა გიორგის), ვაჩილას (წმ. ილიას) და სხვათ.

ორმა თოფიანმა ოსმა, — წერს ოსი ჩ-შვილი, — დილით აქ მოიყვანა მშვენიერი ოსი გასათხოვარი ქალი, რომელიც შეშლილი აღმოჩნდა. ის გაატიტვლეს, მაჯებში თოკი მოაბეს და გადაუშვეს კარ-

³² გ. ფ. ჩუ რს ინი წერს: გერის ძირში, წიფლის ხეზე ჰყიდია ორი-სამა ზარი და ვინც მთაზე ვერ ავიდოდა, აქაც შეეძლო ელოცათ (ციტ. ნაშრომი, გვ. 203).

წახებზე (ასეთი საზარელი კლდე აქ ბევრია, ი. შ.), ტანი სულ დაეკაწრა კლდეზე საწყალ ქალსა და ტიროდა იგი, კიოდა, მაგრამ არ შეიწყალეს, დასძახოდნენ მას ეზოდან: „მალე სთქვი შენი ეშმაკების სახელები“... იქვე მყოფი ქალის ძმაც გაიძახოდაო, ჰო, თქვას, თქვას სახელი, დავწეროთ ქალაღზე და დავწვათ, ავადმყოფი მორჩებაო; თუ არ თქვას, გადააგდეთ მაგ კლდიდანაო.

საცოდავი შეშლილი ყვიროდა და გასაგებს არაფერს ამბობდა. ახლა ქალაღლით დატენილი თოფები დაუშინეს ზემოდან ქალს, სხვები ხანჯლებს უღერდნენ და ზოგი თითქმის ჩხვლეტდა კიდეც, თქვი შენი ეშმაკის სახელი, თორემ მოგკლავთო; ზოგნიც უწმაწური სიტყვებით აგინებდნენ შეშლილს, რატომ არ ამბობსო. ბოლოს და ბოლოს ძალით ათქმევინეს: 1. ცოფრხან, 2. თოყმიზ და 3. ბეთრყან.

ქალი ამოიყვანეს, ერთმანეთს ულოცავდნენ, განსაკუთრებით — ძმას — აი, მორჩაო. თქმული სახელები ქალაღზე დაწერეს და დაწვეს... ნაწამები ქალი კი მეორე დღესვე გარდაიცვალაო³³.

ამის მსგავს სურათს აღწერს გიორგი ლიახველიც (საძაგლიშვილი, კირიონი), რომელიც, სხვათა შორის, იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ძველი ეკლესიის აღმშენებლად ოსები „თამარ წყნარს“ თვლიანო³⁴.

გ. საძაგლიშვილი მოითხოვს სულით ავადმყოფთა ასეთი წამების მთავრობის ბრძანებით აკრძალვას³⁵. ზოგიერთი ღონისძიება კიდევ მოუღიათ, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებს მაინც ჰქონდა ადგილი; ჩვენც აგვიწერენ მსგავს სურათებსა და გვისახელებენ ცალკეულ ავადმყოფს, რომელთა მორჩენაც აქ უცდიათ.

წ რ უ

კროქასა და გერს შორის, კიმასის ხეობის მარცხენა მხარეს. ს. წრტა. ამ სოფლის კახერის უბანში, რომელშიც გვარად ქოქოეეები ცხოვრობენ, არის ს. მსხლების მსგავსი ოთხკუთხოვანი კოშკი (7×7). მას კარი აღმოსავლეთი კედლის მეორე სართულზე აქვს ხის ჩარჩოთი. კოშკის კედლები ერთ დროს შეუღესიათ კიდეც. მის აღმოსავლეთ კედელში სამ ქვაზე ცალ-ცალკე ხაზებია, რომლებსაც

³³ გაზ. „დროება“, 1883 წ. № 77.

³⁴ იხ. „მწყემსი“, 1884, № 19. გვ. 7; შტრ. მისივე „ჩვეულების ძალა (ოსთა ზოგიერთი საზარელი ჩვეულება სოფ. გერში)“. — „მწყემსი“, 1886 წ., № 13.

³⁵ „მწყემსი“ 1886 წ. № 13, გვ. 4.



ორივე მხრიდან სხვა ხაზები (5 - 6) უერთდება და უფოთდის ტის შთაბეჭდილებას ტოვებს. იქვე, 5 ქვაზე ცალ-ცალკე წრეებია ამოკვეთილი და შიგ დაღარულია ისე, რომ წრეში რვა სამკუთხედი კეთდება. სამხრეთ კედელშიც ასეთი დახაზული 7 ქვაა.

ერთი ისე უჯრედად დასერილი ქვაცაა კედელში, როგორც კროვის ეკლესიის ნანგრევებში გვხვდება.

წრუს მეორე უბანში, რომელსაც შობათი-ყაუ (შობათის სოფელი) ეწოდება, ოთხკუთხი კოშკია (6,30×6,30 მ). მის კედელში, მიწიდან 1,38 მ, თაროა (სახატე) გაკეთებული, რომელზეც სანთლებს ანთებდნენ.

კედლები დაზარულია მეხისაგან, რომელიც მათ დასცემია 1954 წ. ივნისში. კოშკთან ყ უ ა რ (სალოცავი) ქვაა, რომლის დღეობას ნოემბრის ბოლოს მართავდნენ. სასაფლაოს ხ ა ს თ ა გ-ყ უ ა რ („ახლო-ჯვარი“) ეწოდება. კოშკის აღმოსავლეთით, კლდის ძირში, წყაროა, რომლითაც სოფელი სარგებლობს.

გუდისის წყლის მიერ ჩაჭრილი ხევის რკინოვანი კლდეები 20—40 მ სიმაღლისაა. მისი ზოგიერთი ზოლი ბოძივითაა აღმართული. აქ, კლდეებში ისეთივე ძნელად მისადგომი მღვიმეებია, როგორც საბანწმოდასა და ვანათშია. ამბობენ, ზოგიერთი მღვიმე ორსართულიანია და ზოგიერთიდან მეორეში გადასასვლელიცააო.

მღვიმეებს თაღისებური სახურავები აქვთ. ერთ-ერთ მღვიმეში ვერცხლის ფული უპოვიათ, რომელზეც ნახევარი მთვარე და ვარსკვლავები ყოფილა გამოსახული. ზარეთა ზაქ. ასული (26 წ.) ამბობს, რომ მან ეს ფული ცხინვალის მუზეუმს ჩააბარა.

მღვიმეების ძირში, ხენის დროს, უპოვიათ ოვალური ფორმის ბრინჯაოს ნატეხი, რომელზეც ხმალამოწვდილი ცხენოსანი და ცხენის ფეხებთან ქედმოსხრილი ლომი იყო გამოსახული. ხსენებულ ზარეთა ქოქოევას ეს ნივთი მხატვარ ტუგანოვისათვის მიუცია და მან ის ჩრდილო ოსეთში წაიღო.

ზემო წრუსში კოშკია (6,42×7,55 მ), რომლის დასავლეთი კედლის ერთი წითელი ქვა ორი ვერტიკალური ხაზითაა გადასერილი და ამ ჯვრის გამოსახულების კვადრატებში თითო პატარა ჯვარია ჩახაზული.

მესამე კოშკს წრუსში, მეორე სართულზე, 5 შავი ქვა ახლავს. რომლებიც შუაშია ჩაჭრილი და ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ მათში კოტები იყო შერჭობილი. მათზე, ალბათ, კოშკის აივანი იდგა.

ამ კოშკს ლეკვი თი-ყაუს უწოდებენ. წრუს სამივე
ორ-ორსართულიანია.

კოშკის წინ წინანდელი მღვდლის ერთი დიდი სახლია, რომელშიც
ახლა რვაწლიანი სკოლაა. შენობა 1893 წ. უნდა იყოს აგებული.
კედელზე ეს წელი და ცხენის გამოხატულებაა. თანაც სვ. ო. კ.
(მღვდელი გრიგოლ ქოქოშვილი წერია).

კ ი მ ა ს ი

წრუდან კიმასისაკენ ერთ-ერთ ეკლესიასთან ბზის ბუჩქებიც
გვხვდება, რაც იშვიათია ლიახვის ხეობაში.

კროყიდან ჩრდილოეთით, ხევს გაღმა კ ი მ ა ს შ ი (ოს, ჭიმას),
ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

„ჩ ყ ო ბ-ს ა წ ე ლ ს ა, ი ა ნ ვ რ ი ს . . . (მ ო ნ ა)
ღ ვ თ ი ს ა გ ა ბ ო ბ ი ბ ო ს ძ ე ქ ო ქ ო შ ვ ი ლ ი (.)
(ვ ი ნ ც) ა მ ა ს წ ა ი კ ი თ ხ ო ს (.) შ ე ნ დ ო ბ ა ბ რ ძ ა-
ნ ო ს“.

წ ა ი კ ი თ ხ ა ვ ს მაგიერ ნამდვილად წერია წ ა ი კ ი თ ხ ო ს.
თარიღი 1872 წელია.

მეორე ქვაზე წერია:

„1891 წ ე ლ ს . . . ი ა ნ ვ რ ი ს დ ღ ე ს ა გ ა რ დ ა ი ც ვ ა-
ლ ა მ ო ნ ა ხ თ ი ს ა კ ი მ ა მ ა ი ს უ რ ა ძ ე“.

ი კ ო რ თ ა

სოფელი იკორთა და იკორთის ტაძარი შედის ცხინვალის რაიონის
არცევის გამგეობაში. მისასვლელად მოკლე გზაა ტყვიავიდან
ფლავისმანზე გავლით, გინდ მეჯვრისხევიდან ზემო არცევზე ავლით.

„საქართველოს სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ არქიტექტურის
ბეგლთა სიაში“ (თბ., 1952, გვ. 62, № 400) იკორთის ტაძარი 1172 წ.
დასახელებულია ს. ზემო იკორთაში. არა, ტაძარი ქვემო იკორთაში
მდებარეობს. ზემოში მხოლოდ ნიშია და შორსაა პირველიდან, ტყე-
შია. მაღალია ქვემო იკორთაც (სურ. № 31, 32).

ვახუშტი ბატონიშვილი წერდა: „ორბოძლის მთის სამკრით არს,
მთის კალთასა შინა, ი კ ო რ თ ა ს, მონასტერი, დიდი, გუნბათიანი,
კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი“ (გვ. 70).

მთის სამხრეთ ფენს ვანათამდე გვერდის ძირი ეწოდება და იგი
უფრო მოსავლიანია.



იკორთიდან ისროლის ხევისა და ყამურის დასავლეთიდან საკენ მიემართება პატარა ლიახვის ხეობა; თვით იკორთა გერგობა ულად პატარა ლიახეს არც კი ეკუთვნის.

იკორთასთან მიახლოებისას ს. ფლავში იოანე ნათლისმცემლის სახელობის თავისებურად ნაგები ეკლესიაა (ორგვლივ 1 მ განის გვირაბისებრი მინავეები აქვს აგურისა).

თქმულებით, ფლავისმანის თავზე რომ წყაროა, იქედან მოდიოდა აქ წყალი, ლეკებმა მოუწყვიტეს ის ქვემოთ მცხოვრებთ და აიძულეს, ეკლესიიდან გამოსულიყვნენო.

სამსრეთიდან გარე გვირაბით (კარიბჭისებრი მინადგამით) გვირაბი დასავლეთით გადის (აგური 19×19 სმ).

ასეთი გვირაბია მთელ სამხრეთ და დასავლეთ გვერდებზე.

1873 წლის ცნობით, იკორთაში 22 ქართველი ოჯახი სახლებულა; ახლა 15 ოჯახი ოსი ცხოვრობს, ისინიც ბარისაკენ ილტვიან.

იკორთის ტაძარი აღწერილი აქვს დ. ბაქრაძეს. იგი შენიშნავს, რომ, ბროსეს აზრით, ეს ტაძარი 1172 წ. აუგიათო, მაგრამ ეს სწორი არ ჩანსო; აღდგენილია კი XVII საუკუნეში ქართლის მეფის შაჰნავაზის დროს, ქსნის მმართველი ესე ერისთავის მიერო.

იკორთის ტაძარი 1811 წლამდე საარქიმანდრიტო ყოფილა³⁶.

სხვა ცნობით, „ეს ტაძარი წმ. მთავარანგელოსის მიხეილის სახელობაზეა აშენებული მეექვსე საუკუნეში და 1817 წლამდის მონასტრად ითვლებოდა: აქვე იყო სასულიერო სასწავლებელი, — მონასტერს დიდძალი ადგილ-მამული ჰქონდა“... მასში „განისვენებენ წმ. გვამნი ბიძინა ჩოლოყაშვილისა და შალვა და ელიზბარ ერისთავთა, რომელთაც მიიღეს გვირგვინი წმ. მოწამეობისა სპარსთაგან 1660 წელსა“³⁷.

მართლაც, ეს ტაძარი ქსნის ერისთავთა განსასვენებელია (იხ. ქვემოთ).

იკორთის ეკლესიის ეზოში მარმარილოს ეკვტერის (საფლავის ძეგლის) ნაწილი ძვეს. სურათი აღარაა შიგ, მაგრამ სათანადო ამოქრილი აქვს.

³⁶ Д. З. Бакрадзе. Кавказ в археологическом отношении. — Записки Общества любителей Кавказской археологии, თბილისი, 1875, გვ. 73. აქვეა დასახელებული მაშინდელი სათანადო ლიტერატურა; შდრ. Графиня Уварова. Христианские памятники. — Материалы археологии Кавказа, ნაწ. IV, მოსკოვი, 1894, გვ. 154—158.

³⁷ ვაზ. „ივერია“, 1895, № 168.



ქვის პირველ მხარეს ახატია სამეფო გაშლილი სამოსელი გვირგვინი
 ნიო და აქვს წარწერა:

„აჰა, ესა ღმერთთი შემწე ჩემდა და
 უფალი შემწყნარებელი სულისა ჩემისა (.)
 აქა განისუფნენ (ებს გ) ³⁸ ვამი
 კნაჟნა (ხო)ფიასი.
 თავადის ბიძინა ერისთავის ასულისა (.)
 დაბადებულისა ჩუღე-ს წელსა აპრილის დ-სა (.)
 (ვარ)და ცუალე ბულისა ჩუპვ-ს წელსა
 ნოემბრის ვ-სა დღესა“.
 ასოებით აღნიშნული რიცხვები ციფრით იხ. ქვემოთ რუსულ
 ტექსტში.

«Княжна
 Софія Бидзиновна
 Эристова
 родилась 4-го апреля 1835 г. (.)
 Скончалась 16-го апреля 1886 г.»

გარეთვე, მარმარილოს მაღალი ძეგლის შუაში ჩრდილოეთ მხარე-
 ზე იკითხება:

„იდუმალ ქველის ³⁹ მომქმედი (.)
 მამაცი (.) ზრდილი ქართველი (.)
 ქირ-გადახდილი ამ ქვეყნად (.)
 ყველასთვის კარგის მძრახველი
 ბიძინა ერისთავის შვილი (.)
 მიხაილ სახელდებულ (.)
 აწ მოიხსენიე (.) უფალო (.)
 შენდამი მოწოდებულ (.)
 დაიბადა 12 თებერვალს 1828 წელსა (.)
 მიიცვალა 7 მაის 1894 წელსა“.

ამვე ქვის სამხრეთ მხარეზე: —

«Генераль Леитенантъ
 Князь
 Михаилъ Бидзиновичъ
 Эристовъ
 Родился 12 февраля 1828 года,
 Скончался 7 мая 1894 года».

³⁸ ამოტეხილია.
³⁹ იკითხება ქვედ • ს.

ისევე ტაძრის ეზოში უბრალო ქვაზე წერია:

„ესე საფლავი გოცადე გოგი (-)

სია (.) ვინცა წაიციოთხო (-)

თ (.) შენდობა მიბრძანეთ (ქვა ჩყ)“.

(1890 წ.)

იკორთის ეკლესიის აღმოსავლეთით, კედელთან თუჯის დაფა ძვეს⁴⁰, 1,42 მ-ია, განი — 70 სმ. იწყება გვირგვინის გამოსახულებით და შემდეგ ამ თუჯის დაფაზე მხედრული ამობურცული ასოებით წერია:

„სოფლისა გამხრწნელი

სიკვდილი (.) მოპოებული

პირველისა მამისა ჩვე (-)

ნისა ადამის მიერ შური (-)

თა ეშმაკისათა (.) მეწია

მეცა და დამდვა ქვე შე

ამა ეპიტაფიისა, რტო ჩი-

ნებულთა, გვამი კნეინა

ერისთავისა⁴¹ თამარ პა (-)

ატა აბაშიძის ასული (.) შო (-)

ბიდგან ოცის წლისა (.) აღმ (-)

ომკითხველთაგან ვითხ (-)

ოვ შენდობასა (.) ჩყ ბგ-სა წე-

ლსა ივნისის ბდღესა“.

(= 1883).

სამხრეთი კარის ქვემოთ, ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში თუჯის დაფაზე მხედრული ასოებით:

„აქა განისვენებს გვა[მი]...“

დავითის ძის ქნის ერისთავისა (.) გარდაცვალებ-

ბულისათ-სა სექდემბერს ჩყ აღ-სა წელსა (.)

ხოლო შობილგან ნა-ის წლისა.

ძემან მისმან ვ. დავით მწუხარებით უქმნა

სახსოვარი ესე“.

(თარიღი ციფრით — ქვემოთ).

⁴⁰ ადგილზე არაა, კედელზეა მიყუდებული. დარაჯი ბაგრატი ამბობს: ეგ ქვა გარეთ იდვა და შიგ შემოიტანესო. იგი წინათ შიგვე იქნებოდა ასეთივე თუჯის დაფის გერდით.

⁴¹ წერია ერისთავისა.

«Здесь покоится тело
князя Георгия Давидова
сына Эристова, скончавшегося 9 сентября 1864 года
на 51 году отъ рождениа.

Скорбящий сынъ его князь
Давидъ посвящаетъ сей памятникъ».

გიორგი ერისთავის საფლავის გვერდით შავ ქვაში ჩასმულ თეთრ მარმარილოზე წერია:

- (1) „ქ. მოსახსენებელსა ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე არს გვამი გარდაცვა-
- (2) ლებულის პოდპორუჩიკის და კავალერის თავადის იესე შანშეს
- (3) ძის ქსნის ერისთავისა (.) რომელი საზოგადოა ვა-
ლისა მიმცემი
- (4) შიეფარა მღელვარესა სოფელსა ამას შობილგან თვისით ღთ-სა
წელსა (39 წ.).
- (5) და დაუტევა მოწყლული მტკივნეულეებითა საყვარელი მეუღლე
- (6) თვისი ნინა მელიქოვის ასული და ჩჩვილი ძე თვისი ვლადიმირ.
- (7) აღმომკითხველთა ამისათა გთხოვთ შენდობასა ჰყოფდეთ
სულისა
- (8) ამა ლოდსა ქვეშე მდებარესათვის (.) ოკტომბრის კდ-სა დღესა
ჩემე-სა წელსა“.

(1845 წ. 24 ოქტ.).

სამხრეთი კარის წინ შიგნიდან შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს ქვა-
ზე (სიგრძე — 1,28 მ, განი — 0,60 მ) ლამაზი მხედრული ასოებით
წერია:

„ამა სახსოვარსა ქვეშე
განისვენებს (პო)ლკოვნიკის
თავადის გრიგოლ ერისთავის
მეუღლა: კნენა მა (რ) ი ა მ ი,
გენერალ ოტინფანტერიის
გიორგი ერისთავის ასული (.)
შობილი 1-სა ივლისსა 1818 წელსა
და გარდაცვალებული 6-სა იანვარსა
1882 წელსა“.



მარიამ ერისთავის საფლავის გვერდით, შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს დაფაზე ჯერ ყვავილებია გამოსახული და აქეთ-აქიდან მათზე ნისკარტმოდებული პირისპირ მდგარი ორი მტრედია გამოკვეთილი. შემდეგ წერია:

„სახელ სოლომონ ღუბერსკის სეკრეტარი

ივანე დავითის ძე (,) გვარად ქსნის ერ (ი) სთავი (,)

დედით თინათინ მაჩაბელთ ქალებით,

აპრილის შვიდსა სიკუდილსა შევწირეთ თავი (,)

ვითხოვ შენდობას, ვით ერთი მონართავი

(ფოთლოვანი ჩუქურთმა და შემდეგ —)

დავეფაღ აქა მონასტერ იკორთასა.

მშობელ მოყვასთა ვესტუმრე (,) ძმათა და დასა (,)

მშვიდობით მოველ ანგელოზთ ძალთა დასსა (,)

ნუ სტირთ (,) მოყვასნი (,) ცრემლს ნუ შევურთავთ ზღუასა (,)

ჩემს მეუღლესა ვაბარებ (,) ძმაო (,) და დასა (,)

ჩ ყ კ ბ-სა“.

(1822).

მონასტრის დასავლეთი ნაწილის სვეტთან დიდ მთლიან მარმარილოს ქვაზე გვირგვინიანი სამოსელი ხატია და მის ქვეშ წერია:

„აქა მდებარებს გუამი ღენერალ-ოტინჭა (-)

ნტერის ქსნის ერისთავის გიორგი (-)

ისა, როსხიის ორდენთა მქონე (-)

ბელის, ანდრია პირველწოდებული (-)

სა და სხუათა; გარდაცვალებული (-)

სა 4 ნოემბერსა 1863 წ. 103 წლისა; რო (-)

მელსა უქმნეს სახსოვარი ძეგლი

ესე ასულთა მისთა კნინა ქეთ (-)

ევან ორბელიასაგან და კნინა მა (-)

რიამ ერისთავისამან მხილველთაგან

წარსათქმელად: წმიდათა თანა ვა (-)

ნუსვენე (,) უფალო (,) სულსა მონისა ამის შენისასა“.

ეს გიორგი ერისთავი ქსნის ერისთავთა შთამომავალი და თავისი დროის სახელოვანი და პოპულარული პიროვნება იყო. წარწერაში აღნიშნულია, რომ ის 1863 წელს 103 წლის გარდაიცვალა. ერთგან



წერია, რომ მან 106 წელი (1759—1864) იცხოვრა⁴². უფრო სანთი პირველი რიცხვია. ცნობილია, რომ გ. ერისთავი 1802 წელს იყო რუსეთის არმიის ყაბარდოს მუშეკეტერთა პოლკის პოდპოლკოვნიკი; 1803 წელს ლეკებთან ბრძოლაში მან წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი დაიმსახურა; 1827 წლის 19 თქტომბერს სპარსეთთან ომში საოცრად მცირე რაზმით აიღო თავრიზი, პასკევიჩის წარდგინებით ახალი დიდი ჯილდო მიიღო, მოიპოვა ანდრია პირველწოდებულის ორდენიც და ისე გაითქვა სახელი, რომ შემდეგ მას ანდობდა ნოლმე რუსეთის მთავარსარდლობა ურთულეს სამხედრო ოპერაციებში.

გ. ერისთავი გახდა რუსეთის ფეხოსანთა არმიის მაღალი ჩინოსანი (генерал от инфантерии), სენატორი და ანდრეევის კავალერი.


აწ უკვე გარდაცვლილმა მსცოვანმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა გვიამბო: გ. ერისთავი იყო მრავალ ომში გამარჯვებული გენერალი, მისი დროის რუსეთში არ დაჩენილა არც ერთი სამხედრო ორდენი, რომელიც მას არ დაემსახურებინოს (საფლავის ქვაზეც სწერია: „როსსიის ორდენთა მქონებელი“, ი. შ.). იგი რომ პენსიაში უნდა გასულიყო, ყირგიზეთი იყო აჯანყებული. ვერ ჩააქრეს. გაგზავნეს გ. ერისთავი, მან აქაც მალე გაიმარჯვა და დააჯილდოეს რუსეთში მანამდე არარსებული ორდენით — Атаман казаческих войск.

პენსიაში გასვლისას იმპერატორმა ჰკითხა: რით დაგაჯილდოო, რას ისურვებო.

გიორგიმ უპასუხა: რასაც თქვენი აღმატებულება იწებებს, თანახმა ვარო.

იმპერატორმა უთხრა: გაემგზავრეთ კავკასიაში, იქ მიიღებთ ჯილდოსო. პეტერბურგიდან გ. ერისთავის თბილისში ჩამოსვლამდე მოვიდა ხმა, იგი მეფისნაცვლად დანიშნეს კავკასიაშიო. დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ამას ქართული საზოგადოებრიობა, ჩამოვიდა გიორგი

⁴² Б. С. Есадзе. Летопись Грузии, თბილისი, 1913, გვ. 286—287. გ. ერისთავი არის ავტორი თეოლოგიური ნაშრომისა: „მამისაგან შვლის დარიგება“ — ჟურნ. „ციცქარი“, 1862, № 10, გვ. 67—77; შდრ. ამბ. გაჩეჩილაძე, ბრძოლა რეალიზმის დამკვიდრებისათვის XIX ს. ქართულ ლიტერატურაში, თბილისი, 1957, 104—105. ამ ჩვენი გენერლის შესახებ აღნიშნულია: ასის წლისამ ქუთაის (23 სექტემბერს 1861 წლისა) ხილვა ისურვა მეფისაო... იხ. დიშ. ბერიევის ლექსი „ღენერალ ოტინფანტერის, თავადს გიორგი ერისთავზე“. — ჟურნ. „ციცქარი“, 1865, № 4, გვ. 47—50. ავტორი აქ წერს: „ლეკი, ჩაჩანი, ოსი, ჩერქეზი შენს ვაჟაკობას ერიდებოდაო“... (გვ. 48); „პერსიის დასჯა იყო საქირთო, შენ ავირჩია პასკევიჩმაო“ და სხვა.



და ზეიმით მიიღეს, მაგრამ ოფიციალური ცნობა კი არ ჩანდა...
 გ. ერისთავი ცხოვრობდა საკუთარ სახლში მუშტაიდის ბაღის მხარეს-
 ლობლად. გავიდა ხანი; ერთ დღეს რკინიგზის სადგურიდან ეტლით
 გიორგის ეწვია მისი ყოფილი აღიუტანტი ა. ი. ბარიატინსკი და
 უთხრა მას: Отец, его императорское величество соизволило
 меня назначить наместником, но без Вас я ничего не буду ре-
 шать, т. ч. править будете Вы, примите меня!..

გ. ერისთავმა უპასუხაო: ამაზე ქართველებს შესაძლებელი ანდაა
 გვაქვს: — ხან უღვაშია გრძელი და ხან წვერი, — დაგნიშნეს, შენვე
 მართე, მე ნურაფერს მეკითხებიო...

გიორგის კი მოსცესო ატენის ხეობა. მან მასში ოსები ჩაასახლა და
 ამ ხეობის ტყითვე გაკეთდა წიფის გვირაბიო, — დასძენდა ხოლმე
 ნეტარხსენებული ექვთიმე.

გ. ერისთავი უტეხი პიროვნება ყოფილა, მაგრამ, როგორც ქვემო-
 წარმოდგენილი შვილის საფლავის ქვის წარწერიდან ჩანს, იგი ერ-
 თადერთი ვაჟის ლეკების მიერ მოკვლას მოუტეხია.

18. ერისთავის გვერდით ქართული სამეფო გვირგვინის ნიშნის გა-
 მოსახულების შემდეგ იკითხება:

«Здесь покоится прахъ ея светлости
 царевны Г а й я н ы дщери царя Всея Грузии
 Георгія 13-го отъсея временныя жизни къ не (-)
 утешному прискорбию трехъ малолетныхъ
 своихъ детей и супруга преселившейся въ ве (-).
 чность 22-го іюля 1820-го года на 35-мъ году от
 рождения.
 Благочестивой сей царевне памятникъ сей соорудилъ,
 супругъ ея
 командиръ Кавказской резервной гр (-)
 енадерской бригады генераль майоръ и разныхъ.
 орденовъ кавалеръ князь Егоръ Евсеевичъ К (-)
 санскій Еристовъ, оплакивая чувствительней (-)
 шую и горестнейшую потерію незабвенной супруги
 своей (.)

- (1) უფალო(,) საზღაურსა დაუსაბამოსა არსთა მიზეზისა მიერ გან-
 დევნილი ზეცაით სატანა ბნელსა უფ(-)
- (2) სკრულსა, რომელი იქმნა ადამ მამისა ჩჴენისა მრ მთიებდა
 და დამთავრდა ამის სოფლისა, მან შური მიძია მაცდურებ(-)
- (3) ითა თჳსითა და მიმცა საშინელსა სიკვდილსა,

როლი ვიყავი ასული ს დ საქართველოს
მეფის გიორგი მეათცამეტისა გაია(-)

(4) ნია, რწვა დაუტევენ ფ დსა მწუხარებასა შ ა
ჩჩუნნი: ძე და ასულნი და მეუღლე
ჩემი ღენერალმაიორი და კა(-)

(5) ვალერი კნიაზი გიორგი ერისთავი(.) გვედრი,
აღმომკითხუშლთა, რათა ევედრნეთ
ყისა შემძლებელსა

(6) ღთსა, რათა საზავთო ესე მწუხარება, ესე ჩწნი
შეშსცუალოს საუკუნოდ შვებად და სიხარულად.

(7) აღვესრულე შობითგან წლისა 35-სა
ქეწს აქეთ 1820-სა წელსა თთჭსა
იჭლისსა. 22 დღესა“.

ამის გვერდით, უბრალო, მაგრამ კიდევში ირგვლივ ფოთლოვანი
ჩუქურთმის ოთხკუთხედში წერია:

„1815 წელსა ნოე(-)

ენბერსა კნენა

შანშე ერისთავი(-)

სა ელენე წლისა

30 განვეშორვე

საყუარელსა ჩემ(-)

სა ხუთთა ძეთა

ჩემთა და ასულსა.

მხილველთ შენდობა

მიტხოეთ“.

აღნიშნულის გასწვრივ, ტაძრის დასავლეთ მეორე ნახევარში, დიდ
ქვაში ჩასმულ დიდ მარმარილოზე ჯერ მეფის გვირგვინი უჭირავთ
ხელთ ორ ანგელოზს და შემდეგ წერია:

„თავადი აღექსანდრე ლევანის ძე ქსნის

ერისთავი გარდაცვალა ჩუა წელსა ივლისის

იბ-სა დღესა (,) შობიდან ლგ-ის წლისა“.

—:—

„აღმომკითხველნი(,) ვთხოვთ შეავედროთ

ღმერთსა და სთქუათ: განუსვენე(,)

თო(,) სულსა მონისა ამისა შენისასა, ხადაცა

მართალნი განისვენებენ“.

**Князь Александръ Левановичъ
Эристовъ скончался 12-го іюля 1861-го
года, имевшій от роду 33 года».**

წინა საფლავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდ შავ ქვაში ჩასმულ პატარა მარმარილოს დაფაზე იკითხება:

„...აჰა(,) აჟა ჟუჭუე ლოდისა ამის დაიდვა სხეული
სპარსთა ზედა ნადირშახსაგან ყულარ აღასად(,) ხოლო
ზემოა ივერისა მეფობისაგან ირაკლი მეორისა ქსნის ერისთავად
წოდებულისა ვიორგის ძისა პოდპოლკოვნიკისა და კავალე(-)
რიის ე ლ ი ზ ბ ა რ ი ს ი, საღმობიერად დამტევებელი
საყვარელის ტან-ფეხ ახალისა თვის ქვემოდა ივე(-)
რიისა მეფის სოლომონ... ასულის მარიაჰ(-)
ისა და სამთა ძეთა და ერთისა ასულისა შობიდეგან თვი(-)
სით წლისა ო, ე-ისა სადაცა ნიშნად დაუვიწყარებისა
დასდვა ეპიტაფია ესე მეუღლემან მისმან იტ...
წარუბლადველად ხსენებად მისდა ჩუ. შ. ი. კვ“.

(1826, 13.VIII).

პირდაპირ ამის გვერდით, ქვაში ჩასმულ დიდ მარმარილოზე გამოსახულია მეფის სამოსი გვირგვინითურთ; ტანსაცმელზეა გამოსახული ხელში დროშიანი კაცი (მარცხენა ხელი დოინჯზე აქვს შემოდგმული). ქვაზე წერია:

«Здесь покойтся тело
полковника гвардіи кня (-)
зя Григорія Ивановича Эристова (,)
имевшего от роду
57 летъ и скончавшего-
ся 23 іюля 1876 года».

ამის გასწვრივ კედელში ჩასმულ მარმარილოს ქვაზეც წერია:

«Здесь покойтся полковника гвардіи князя
Григорія Ивановича Эристова (,) имевшего от роду
(5) 7 летъ и скончавшегося 23 іюля 1876 года».

„მწუხარებასა შინა მყოფმა გენერალ(-)
ოტინფანტერის ვიორგი ერისთავის
(ა)სულმა მარიაჰმა დავსდევ რა მცირე(-)
დი ძეგლი ესე საყვარელსა მეუღ(-)
ლესა ჩემსა, დვარდიის პოლკოვნიკსა
გ რ ი გ ო რ ი ი ვ ა ნ ე ს ძ ე ე რ ი ს თ ა ვ ს ა, შობილ(-)

გან 57-ის წლისა მექონსა და აღსრულებ(-)
ულსა 23-სა ივლისსა 1876 წელსა. გთხოვთ(,)
ეპიტაფიისა ამის აღმომკითხველ(-)
თა(,) ჰყოფდეთ წმიდისა ეკკლესიისა
ლოცვასა ამას. განუსვენე(,) მხსნელო(,)
მონასა შენსა თავადს გრიგორის და(-)
უსრულებელსა ამას ნეტარებასა შინა შენსა“.

აღსავლის კარების წინ, მარჯვენა ძალიან დიდ მარმარილოს და-
ფაზე ქართული სამეფო გვირგვინია (ორი ლომი უკანა ფეხებზე
სდგომარე, მათ გვერდით ცალკე ოთხკუთხედში კაცს მარჯვენა ხელში
დროშა და მარცხენაში კვერთხი უჭირავს. დროშის ტარის გვერდით
ხმალია დარქობილი). შემდეგ წერია:

„სოფლის მოვალეობა გარდვისადე და საფლავად
მივეცი სარდალ ხალხთუცის მუხრანის ბატონის იოა-
ნეს, და მეუღლესა მისისა მეფის ირაკლის ასულის ქეთა-
ვანის, ასული ბარბარე თავადის თორნიკე ერისთავის მემ-
ცხედრე, დაუტევე მეუღლე და ორნი ასულნი(,) ელენე და
ნინო(,) წელსა 1843-სა ივლისის 24-სა(,) შობითგან 53-ს წლისა.
წარმოვგზავნე ჟუა ესე რუსეთით ნიშნად სამარადისოდ
ხსოვისა უძვირფასესისა მშობლისა ჩემისა, საყუარელმან
ასულმან მისმან, ქურივად მყოფმან ელენე პოპოვისამ,
უშდაბლესად მთხოველმან წამკითხუჭლთავან ამი(-)
სთა, რათა იტყოდეთ მისთვის შენდობასა და ცოდ(-)
უათა მითევებასა, რომელი მოელოდეს აღდგომასა
მკუდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნესასა.

ამინ.

Княгиня Варвара Ивановна Эримова (,)
урожденная княжна Багратион(-)Мухранская,
родилась 1790-го года октября 4-го дня,
скончалась 1843-го года июля 24-го дня.
Память останется до гроба
в сердце вашей дочери Елены Поповой».

ამის გვერდით შავ ქვაში ჩასმულ მარმარილოს მხატვრულ დაფაზე
თავის კუთხეებში 2 ანგელოზი ახატია. შემდეგ თალისებრ არეში კი-
დეც ორ დაჩოქილ ანგელოზს მეფის გვირგვინი უჭირავს ხელში; წარ-
წერა იკითხება:



„აქა დაფლული მართა, მეუღლე თავადის ალექსანდრე შანშეს შიშის
ერისთავისა და ასული თავადის სოლოვიისა, მყოფი ჭერეთცა

უუავი(-)
ლოვანსა ოცდაათსა წელსა შ ა(,)ველოდი რა დატბობასა
სატრფოსა

მეუღლესა და მცირეწლოვანთა შვილთა თანა(,) მაშინ
შესაძრწუნებ(-)

ელი იგი ემა საღმრთოებსა მსჯავრისა: ძველთა მშობელთა ჩვენთა
ცდომისა გამო განსაზღვრებული მოიწია ჩემზედა და შიშაქ(-)
ცია მიწაჲ მიწადვე 7-ს მარტს 1856-სა წელსა და დაუტე-
ვენ დედაჲ მოუწყვედელ ცრემლ მდინარე, შვილნი ო(-)
ბლადა(,) მეუღლე ღრმად მგლოვიარე, რომელმანცა სახსოვრად
სიყვარულისათვისა დასდვა ლოდი ესე მტვერსა ჩემსა ზედა(.)
აწ თქვენ(.)

წამკითხველნი(,) მხედავთ რა თქვენთანა ყოფისაგან მოკლებულსა
შენდობა ჰყავთ ჩემთვის“.

მის გვერდით, შავს ქვაში ჩასმულ მარმარილოს დიდ დაფაზე ჯვა-
რი ხატია და შემდეგ აწერია:

„მოიხსენე უფალო სასუფეველსა
შენსა ამა ლოდსა ქვეშე მდებარე მო(-)
ნა შენი თავადი გიორგი ალექსანდრეს ძე
ერისთავი, აღსრულებული ქალაქს
პარიუსა შინა 12 სექტემბერსა 1878 წელსა,
ხოლო აქა დასაფლავებული 26 ოკტო(-)
ნერსა 43, ამავე წელსა, რომელმანცა 28 წლი-
სა ახალგაზრდამ დაუტევა მწარეთ მგლო(-)
ვარენი და მტირალნი: მამაჲ და მოხ(უ)ცე(-)
ბული დიდი-დედაჲ თვისი“.

ამის გვერდით ისევ ქვაში ჩასმულ კარგ მარმარილოზე, რომელ-
ზეც თავში მეფის გვირგვინს ქვეშ შეომარო დგას დროშითა დ ხმლით,
მარმარილოს ქვის კიდევებს ვაზის ღერო მტევნებითა და ფოთლებით
აქვს გამოკვეთილი.

ქვაზე წერია:
„თა რევაზ გიორგის ძე
ქსნის ერისთავ მეუღ(-)

43 ასეა.

ლევ(.) მეფეს ირაკლის
ასულის ანასტასიასი.
გარდაიცვალა 1814-ს
წელსა მარტში 61-ის
წლისა“.

მარმარილოს დიდი დაფა, ამოკვეთილი ვითომც ჩარჩოში მდებარე, იწყება სამეფო გვირგვინისა და ტანსაცმლის გულზე გამოსახულ დროშოსან-ხმლოსან მეომართ.

შემდეგ წერია ერთ დასაღვამ მარმარილოს ქვაზე:

„აქა მდებარებს თ'დ
დავით თარხნიშვილის ასული
კნინა

მართა(.) თავად გიორგი
ერისთავის მეუღლე(.)
დაიბადა 1824 წელსა,
გარდ. 16 აპრილს 1908 წელს“.

ტაძრის ცენტრში ისევ მარმარილოს ქვაზე, მეფის გვირგვინის ქვეშ გაშლილ მოსასხამზე, ამოკვეთილია დროშა, ფარი, ხმალი და სხვა იარაღები.

იკითხება წარწერა:

«Здесь покоится прахъ
Александра Павловича князя Эристова
Флигель-адъютанта и полковника
Бывшего предводителемъ дворянства
Горийского уезда тридцать три года.
Род. 1811-го года. Скон. 1883-го года 20-го Апрелья (.)

აქა განისვენებს გვაში

ფლიგელ-ადიუტანტისა პოლკოვნიკისა თავადი
ალექსანდრე შანშეს ძისა ერისთავისა,
რომელიც ოცდაცამეტი წელიწადი განაგებდა გორის
მაზრისა თავად-აზნაურობის წინამძღრობასა.

დაიბადა 1811-სა წელსა

და აღსრულდა 1883-სა წელსა აპრილის 20 დღესა.

შენსას სასუფლის შვებასა“.

მარმარილოს დაფაზე იკითხება:

(1) «Здесь покоится тело полковника князя Захарія Георги (-)



- (2) ева сына Эристова(,) убитого лезгинами в Закавказье
- (3) густа 1851-го на 35-м г. от рождения:
Безутешный отецъ Генераль
- (4) Отинфантеріи князь Георгій
- (5) Јесеевичъ со слезами полагает
- (6) камень сей надъ могилою един-
- (7) ственного своего сына».

„ამა(,) ჩემდაცა მოიწია ბრძანებამან შე(-)
მოქმედისამან და დამდეგს მე მიწა
მიწასა შინა თავადის ბიძინა ერისთ(-)
თვის კნენინა თამარ, თავადის იოსებ
მელიქოვას ასული, დაუტევე რა
კარგი ქმარი და შვილნი და განვეშორე
მათ საუკუნოდ(,) ხოლო ნიშნად
დაუფიწყარს სიყვარულსა შვი-
ლთა ჩემთა დამდეგს ღოღი ესე
გულსა ჩემსა: სულმან მისმან
კეთილთა 'შა განისვენოს და ნათე-
სავემან მისმან დაიმკვიდროს ქვეყა(-)
ნა: აღვესრულე 1876-ს წელსა
აპრილის 7-ს დღესა“.

გვერდით მარმარილოს ქვეს თავში ჯვარი ახატია და განდაგან
წერია:

„ყოველთა კაცთა თანა წარუხდომელმან ვალმან
სიკვდილისამან მეცა მისტუმრა და მიმაქცია მიწადვე.
თავადი ბიძინა რევაზისა და მეფის ირაკლის ასულის
ანასტასის ძე ერისთვიშვილი, შობილგან ოვ წლისა, რომელსა(-)
ცა 6-თა ძეთა ჩემთა აღმიჭურვეს სახსოვარი ესე(,)
აღვესრულდი სეკდემბრის 17-სა დღესა 1876-სა წელსა“.

ამის გვერდით მარმარილოზე ვაზის ფოთლებისა და ყურძნის მტევ-
ნების გამოსახულებით იწყება ძირქობრბულა დიდი ჯვარი და შემდეგ
წერია:

„საფლავსა ამას მდებარე არს
მონა ღვთისა თავადის ქსნის
ერისთავის რევაზის და ბატონის(-)
შვილის ანასტასიას ძე შალვა,
რომელიცა გარდაიცვალა 1894

წელს აგვისტოს 13-სა დღესა.

მხილველთ გვედრით შენ(-)

დობასა“.

ამის გვერდით მხატვრულ მარმარილოს დაფაზე განდგან წერია:

- (1) „ამა საფლავსა შინა მდებარე ვარ კნენა თავადის იოანე ერის-
თავისა თინათინ(,) თავადის გიორგი
- (2) ამილახერის ასული, ხოლო ლოდი ესე დაუვიწყარის
სიყვარულისათვის დამდვა გულსა ჩემსა ასუ(-)
- (3) ღმან ჩემან კნიაჟნა ანნამ (.)
აღმომკითხველთაგან ვითხოვ შენდობასა (.)
ჩ ყ ო გ-სა წელსა მაისის ი ე-სა“.
- (4) «Подъ симъ камнемъ покоится княгиня
Ивана Эрнстова Тинатина (,) скончавшаяся
(5) 1873 года мая 15 дня».

ამავე საზზე (ჩრდილოეთი კედლისაკენ) მარმარილოს ქვაზე ჯერ
ორ პირს დიდი ჯვარი უჭერია და შემდეგ იკითხება:

- (1) „საფლავსა სამას მდებარე არს ტომობით
დიდ გვარის პოლკოვნიკის და კავალერის
თავადის ელიზ(-)
- (2) ბარ ქსნის ერისთავისა და იმერთა მეფის
დიდის სოლომონის ასულის მარიამის ძეი
- (3) იოანე(,) შობიდაგან 70 წლისა აღესრულა დეკემბერის 15 1841
წელსა(.)
- (4) მანათობელი კერძოისა ამის ქართველთა მემამულეთა შორის
უპირ(-)
- (5) ვილესი ბრძენი და განმარტებელ საღმრთოისა წერილისა და
ფილოსოფურთა
- (6) საგანთა, მტკიცეთ მცველსა საღმრთოთა მცნებათა და მოყვა-
რულ მოყვასთა თვისთა უკ(-)
- (7) ანასკნელ უამაძღე მყოფროდ განმატარებელ დროისა სახლსა
შინა თვისსა
- (8) ნუგეში და სასუება საყვარელის მეუღლისა(,) სამთა ძეთა და
შვიდთა ასულთ(,)
- (9) რომელთაცა ქრისტიანებრივის სწავლით აღზრდიდა(,) დაუტევა
ესენი დაუღვენელსა

(10) ვაებასა შა(.) ჰეპიტაფია ესე შეადგინა მეგობარმან მისმან თავადმან

(11) სვიმონ მაჩაბელმა⁴⁴.

შემდეგ იგივე წერია რუსულად.

საკურთხევლის გვერდით ჩარჩოში ჩასმულისებრ მარმარილოს დიდ დაფაზე („ჩარჩო“ ვაზის ლერწით შემოვლებული ყურძნითა და ფოთლებით) იწყება ჯვრით. შემდეგ — წარწერა:

- (1) „მოიხსენე(.) უფალო(.) ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა, აქა მდებარე
- (2) თავადის იოანე ერისთავის ასული მარიაჲ, რომელი სიყრმიდ(-)
- (3) გან ჰეშმარიტისა სიბრძნის მოყვარებითა თვისითა შეგეტკობ შენ
- (4) ნაგევად შემრაცხტემლი⁴⁵ საწუთოისა ამის ცხოვრებისა და შა შენთა მო(-)
- (5) ისწრაფა მტიციითა (sic) სასოებითა მინიჭებასა ზედა მისდა შენ ტკბი(-)
- (6) ღსა იესოსგან უოხტნოაბსა ცხოვრებისა(.) თუმცა მოკლებამან მისმან
- (7) მოსწყლა მწუხარებითა მშობელი ამისი(.) გარდაიცვალა შობით(-)
- (8) გან კე-ს წლისა ჩ ყ ნ თ-სა წელსა სექტემბრის ი ბ-სა დღესა“.⁴⁶

იგივე, რუსულად — 1859 წ. 12 სექტემბრისავე თარიღით.

იქვე ჩადგმულ მარმარილოს ქვაზეა:

„საფლავსა ამას მდებარე ვარ

ერისთავის ასული,

სახელწოდებით დარია(.) საღმრთო

ს(ა) წილად ასული.

ვერ უძღვე მშობლის სიკვდილსა(.)

უმსხვერპლე თავი და სული(.)

ამისთვის ვიქმენ ამ სოფლით თექვსმე(-)

ტის წლისა გასული.

⁴⁴ დამატებით იხ. ლეილა ნაწი ტაშვილი. ჟურნალ „ცისკრის“ პოეტები, თბ., 1967, გვ. 48—49.

⁴⁵ ასეა.

⁴⁶ ლ. ნაწი ტაშვილი: ციტ. ნაშრომი, გვ. 50—52.

ესე არს უმანკობის გვირგვინი. ნაცვლად
დადების(.)

მეკმარვის(,) რადგან სხეული ახლოს მშობლისა იღების.
სასურველთ და-ძმათ შეტკობილთ

ესრეთ ვაებით სცილდების(.)

ვიცი, ჩემთაცა ნათესავთ თვალთ ცრ(-)
ემლი დაედინების“.

ამის უკან მოკლე მარმარილოზეა:

„ვგოდებ ტკბილს ასულს(,) ამიერ გასულს(,)

ეპიტაფიებრ ცრემლ მიჩქეფრად დასხმულს

ანასტასიას(,) ჩემს გულსა და სულს.

ვითა მშობელსა და მზეებრ დასულს

ვითხ(ოვ)(,) ავედრებდეთ მარადის

მის სულს.

Подъ симъ камнемъ покоится дев(-).

ерь князя Ивана Еристова княжна

Анастасія (,) скончавшаяся 1870 г.

апреля 19 дня».

საკუროთხევის სამხრეთ მხარეში მარმარილოს ქვაა, დასაწყისში
ღრმად ამობურცული დასადგმელი ჯვრით, რომელიც 2 ანგელოზს
უჭირავს; ჯვრის ფეხზე ქუდივით მოგრძო ფოთლებია, ხოლო ჯვრის
თავზე მეფის გვირგვინია მასზე ჯვრით, ჯვრის ქვევით აკეცილი ფარ-
დებით. ტექსტი ძალიან ძნელად საკითხავია (კიდე დაცემენტებულია).

ორჩევა:

„მხევალმან შენმან...

ასულმან თავადის თამაზ ჯანბაკურ-ორბელიანისა

და მეუღლემან თავადის... აღვასრულე ვალი ჩემი...

ოცისა წლისა ჩევზ-სა წელს“.

(1826)

შემდეგ იკითხება:

(1) „აჰა(,) ესერა ხმა უფლისა მოიწია ჩემზედაცა(;)“

მიწა ხარ და მიწადვე მიიქეც(!)

(1) შვილო ჩემო(,) საყვარელო(,) სიამოვნევა(,) რისთვის

დამგმე მე შენა(.)

(3) მწუხარების მძიმე ლოდნი, მტკიცედ(,)

მყარად გულსა ჩემსა მეშენა(.)

- (4) ცრემლნი ცხელნი(,) მომდინარე წამწამთაგან(,) ისრის მსგავსად მეშენა(.)
 - (5) მსურის ჩავსწვდე ბნელს საფლავსა გვერდით შენსა(,) მსწრაფლ მელოდე მე შენა.
 - (6) თვალთა ნათელი, დათა დიდებაჲ, მამის გვირგვინო(,) ესე ყოველი
 - (7) სრულად მიგველო(,)
 - (8) მზე მიგვეფარა, ბნელმან დაგვეფარა(,) შვება განქარვდა, უბე(-)
 - (9) დობისა კარი განგველო(,)
 - (10) მე მამა შენი ვფუცავ, მზესთ ძალსა უძლოსა, დაჭკნა შვების
 - (11) ყვავილი, ვით წალკოტსა უწყლოსა,
 - (12) მე მაშინ მივიწიო სიხარულსა უცხოსა(,) როს ვახილავ მე
 - (13) შენსა სასუფლის შვებასა“.
- დასავლეთი კარის თავზე იკითხება:
 „...ა: შე...
 ...როდამ დიდ...
 ...ცოლყ(ო) ფილმან...
 ...თის თავ-მან იესე ვიგულის-მო[დგინე]
 [დვთაებისაგან]:⁴⁷ ეს მთავარ-ანგელოზს
 გელ-აჟლად გელ-(ვ)ყ(ა)ვით: ჩვენ ვითაც და...⁴⁸
 ოთხი: სამჯრო გავაკეთეთ(,) შეინით სახლები...
 ერებოდა: სამრეკლო ძირკვლით გავასრულეთ...
 თა აღვაშენეთ სულისა ჩვენისა საოხრად(,) ძეთა ჩვენთა...⁴⁹
 [საღღე]გრძელოდ(,) შეიწირე⁵⁰ წმინდანო(,) მთავარანგელოზო(,) მცირე⁵¹ ეს სამსახური: ⁵²

⁴⁷ აღდგენილია მ. ბროსეს წაკითხვის მიხედვით, კედელზე ახლა ეს სიტყვა აღარ იკითხება (იხ. M. Brosset. Rapports sur un voyage archeologique... Vi, გვ. 66).

⁴⁸ მ. ბროსე — ვითაც დიძ...

⁴⁹ იქვე — სასულიარ...

⁵⁰ იქვე — შეიწირეთ.

⁵¹ იქვე — მეორე.

⁵² იქვე — ესე მსახური...

მეოხ გვეყენით დღესა მას დიდსა განკითხვისასა:

ამასვე: ქკსა ტა (1613 წ.)

შანაოზ მეფე“...

საკურთხეველის სამხრეთით:

„აშა(,) უფალო(,) დამბადებელო(,) დაუსაბამო(,) დაუსრულებელო
და მიუწვედომელო ღ-თ-ი, რომელმა(ნ)

შექმენ კაცი თხზაგან და განაცხოველე საღთოსა სული(-)

ით შენით მცნებისა გარდამავალმან პლმან მამამან

დაამკვიდრა (?) დასითა სიკვდილითა და მიიქცა იგი მიწა მიწადვე
სულისაგანი ნებისა (?) შორისა ქვემდებარებმან მხეველმან შენმან
ასულმან

...თავადის თამაზ ჯანბაკურ ორბელიანისა და მეუღლემან თავადისა...

...ნინ ამ აღვასრულე ვალი იგი საღთოსა ბძანებისა შენისა დადე-

ბულ და უწ...

...მსხდ იქმნა... ჩემსა

უქამოდ დაჰყო ლოდსა ამასა

...დროებისა ამასა საწუთოსა ოცი წლისა ჩყკ-სა წელსა

დ... და დამდვეს მე აქ მტვერი მტვერადვე საფლავად(,) რომელნცა

დავუტევე ერთგული მეუღლე, დამწუხრებულნი მშობელი(,)

ძმანი და დანი(,) საუკუნოდ სიხარული(.)

წარწერილი ეპიტაფია ესე ჩემი(,) ამომკითხველნო და მხილველნო(,)

მომიხსენოთ ჩემებრ მოგზავნი (?) გთხოვთ ყოველთა(,) რათა

ჰყავდეთ ჩემსა“...

ქვემოთ ოთხი სტრიქონი აღარ იკითხება.

იკორთის კედლის წარწერებში ფრესკასთან საკურთხეველში მთავ-
რული ასოებით:

„მ (ე უ) ფ ე ო დ (ა ვ ი) თ (,)

ს ი ბ რ ძ ნ ე (-)

ს ა წ ი ნ ა

მ (ო) ძ ღ (ვ ა) რ ო


მ ე ც ნ ი ე რ“.

იქვე მდებარე წოწოლას ციხის დაფა ციხეზე აღარ ეკიდა.
ძირს ეგდო და ტაძარში შევიტანე. მას აწერია:

„წოწოლა ციხე

არქიტექტურული ძეგლი

დაცულია სახელმწიფოს მიერ“ და სხვ.



იკორთაში 28—29/VIII—1957 წელს შევამჩნიე ქართული მგლო-
ვანი ასოებით შესრულებული წარწერა; აღმოსავლეთი კედლის
სარკმლის ქვეშ იკითხება:

„ქ(რისტ)ე(!) შ(ეიწყალ)ე იგნ(ა)ტი სლინი⁵³

აღმოსავლეთ კედელზე მზის საათის ნახევარი წრეა ქართუ-
ლი აზნანით.

იკორთას არ ეხება, მაგრამ ქსნის ხეობაზეა ლაპარაკი.

ლუბაძე ფარიშვილმა სოფრომ მგალოზლიშვილის
უბის წიგნაკში მიგვითითა ჩანაწერზე: პატარა ლიახვის ხეობაში
ერთ-ერთი ციხის კედელზე წერიაო:

„შენია, ქსნის ერისთავო,
ბენოს ციხე და წინ კიბე,
ვინც იმას შემოგეცილოს,
მოსჭერ თავი და მიჰკიდელ!“

(ლიტ. მუზეუმი, № 15677, გვ. 84) წარწერა ადგილზე არ გვინახავს.

შ ე რ თ უ ლ ი

სოფელ ძევერიდან მდ. ლიახვისაკენ მდებარეობს ს. შერთული.
აქ ერთდებიან მდ. დიდი და პატარა ლიახვები. ამიტომ ჰქვია ამ სო-
ფელს შერთული.

სოფელში 60 კომლი ცხოვრობს. ს. შერთულში მრგვალი, სამსარ-
თულიანი მსხვილი კოშკია ლეკიანობის დროისა. მას დადიან-ერისთა-
ვის ციხეს უწოდებენ. შიგ შეისვლება კედელში აყვანილი ქვის კიბით.

კოშკთან „ყურძნის საქაჩავი“ (საწურავი) დიდი, ზედაპირდასერი-
ლი ქვა ძევს.

კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით ღვთისმშობლის ეკლესია დგას
(სურ. № 33, № 34). მის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ საფლავის
ქვაზე ვკითხულობთ:

**„ნიკოლოზ დადიანის ძის
მეუღლე ეფემია... ჩ ყ ნ ა“ (= 1851 წ.).**

დადიანიძეები ახლაც ცხოვრობენ ამ სოფელში.


სხვა ქვაზე, რომელზეც მამაკაცის გამოსახულებაა, წერია „ჩ ყ ა ზ“
(= 1867 წ.).

ს. შერთულში ვნახეთ ლიზა ზაქარიას ასული გოგებაშვილი-დადი-

⁵³ შინაარსით უნდა ეწეროს „...იგნატის სული, ამინ“.




22. ერედვის წმ. გიორგის ტაძრის შესახველელი




23. ერედვი. შერეთის გადასახვევში მდებარე საგვარეულო კოშკი




24. სოფელი გერი. ხედი გერის მონასტრიდან.



25. გეროს მონასტრის აღმოსავლეთი კედელი.



26. გეროს მონასტრის ახალი ჯვარი.




27. გერის მონასტრის გალავნის შესასვლელი




28 ი. შერედიძე და ე. ნიკორიშვილი. გერის მონასტრის
გაღების შესახებ




29. გერის მონასტრის სამრეკლო.




30. ი. შერელიძე და ე. ნიკორიშვილი. გერის მონასტრის
შესასვლელთან




31. იკორთა




32. იკორთა. ი. შეგრელიძე ცხიველის პედინსტიტუტის
თანამშრომლებთან.



33. შერთულის ეკლესია




34. შერთულის ეკლესიის ფრეზგმენტი




35. მარანას ეკლესია




36. კვირაცხოვლის ეკლესია



37. ტევისაჲში ერისთავის ციხე-კოშკი




38. ტირძნისის სამრეკლოს წარწერა




39. წუნარი




40. წუნდარის ტაძრის ზარი



41. სოფ. ტბეთი. „ბოცვის ჯვრის“ ეკლესია. სამხრეთ
დასავლეთის ხედი.



42. სოფ. ტბეთი. ხევის ჯვრის ეკლესიის აღმოსავლეთის ხედი



ანძისა (ი. გოგებაშვილის ძმისწული⁵⁴, დაბ. 1873 წ., ს. ვარიანში) იგი გვიამბობს (14.VII.1954 წ.): გამათხოვეს 20 წლისა; ქმრის დადიანიძეების ოჯახში გამოვინათ, რომ ს. შერთულის დადიანიძეების წინაპარს, გიორგი დადიანს, სამეგრელოში კაცი შემოვკვდომია. ამის გამო გიორგი სამეგრელოდან გორში გამოქცეულა. აქ ის მაჩაბელს უნახავს, მიწა უჩუქებია და დადიანიძის გვარით ს. შერთულში დაუსახლებია. ამ გიორგის თაობათა ვაგრძელება ახლანდელი დადიანიძეები ს. შერთულშიო. აქვე სხვა გვარებიც ცხოვრობენ.

ლ. ზ. გოგებაშვილი-დადიანიძისა შენიშნავს, რომ ჩემი ქმარი — მიხეილ დადიანიძე — ლარიზი კაცი იყოო. ის მეგობრობდა ლადო კვციხოველს. 1905 წელს მოჰქონდა ლადოს ჩემ ქმართან პროკლამაციები. მე წერა არ ვიცოდი კარგად, მაგრამ კითხვა კარგად შემეძლო და ლადოს მოტანილ პროკლამაციებს ვუკითხავდი აქაურებსო. სიფრთხილის გამო, წაკითხვის შემდეგ, პროკლამაციებს ვწვავდითო.

პოლიციამ ეს გაიგო. ამის გემო დევნა დაგვიწყესო და იძულებულნი გავხდით, აქედან ატენის ხეობაში გადავსახლებულიყავითო. ვცხოვრობდით ჯერ ს. ბობნევიში და შემდეგ ს. ბიისში. უკან დაბრუნება მხოლოდ 7 წლის შემდეგ გავბედეთო.

მ ბ რ ა ნ ა

ტყვიავის გამგეობაში შემავალ ს. მარანაში დგას ოთხკუთხი კოშკი, რომელსაც კედელშივე აქვს სქელი ბურჯები. კოშკის მახლობლად ჩრდილოეთის მხრივ დგას ეკლესია (პატარა ბაზილიკა). უკანასკნელის ირგვლივ სასაფლაოა. აქ ერთ-ერთ საფლავის ქვაზე (14.VII.1954 წ.) ვკითხულობთ (სურ. № 35):

„ამა ლოდსა ქვეშე განისვენებს კაცი(.) არი ინი ძე(?)
 ტატივეი(.) დაბადებიდგან ი-ს(.) აღმომკი(-)
 თხველ(ნ)ო(!) შენდობა გვიბრძანეთ გარ(-)
 დაცვალეხულსა ჩყნთ წელს(.) ქრისტიშობისთვის კე“.
 ჩყნთ = 1859 წ., კე = 25 დეკემბერს.
 ეკლესიის სამხრეთით საფლავის ქვაზე წარწერაა:
 „აქა სამარხოვანსა დაიდ(-)
 გა გუამი აწნაურთაგანის მღუდ(-)

⁵⁴ უფრო ვრცლად იხ. ი. მეგრელიძე, იაკობ გოგებაშვილი და ახალი ქართული ენა, სახელმძღვანელოები, გრამატიკის საკითხები, თბ., 1973, გვ. 76—77.

ლის იოანე მამუჩოვის მეუღლისა ქე(-)
თევანისა (.) რომელიცა აღესრულა შო(-)
ბითგან წლისა ნთ(-)ს(.) ამისთა აღმო(-)
მკითხთაგან შენდობისა (!?) ჩყნგ წელ(-)
სა(.) იანვრისა ვ დღესა“.

ნთ=59-ს, ჩყნგ=1853 წ., ვ=6-ს.

ს. მარანას მცხოვრებნი აღნიშნავენ კვირაცხოვლობას და ამ სახელობის ეკლესიის ნანგრევები (კვირაცხოველი) არის ამავე სოფელში, მდ. პატარა ლიახვის ნაპირზე (სურ. № 36).

სოფელში მეორე კოშკიცაა.

ტყვიავი

ს. ტყვიავი იყოფა ზემო და ქვემო ტყვიავად. ქვემო ტყვიავში 80-მდე კომლი ცხოვრობს.

ხალხური გადმოცემით, აქ მადანი მოიპოვებოდა და ტყვიას ამზადებდნენ, ტყვიავი ს ა ტ ყ ვ ი ო ს ნიშნავსო. ამ ხალხურ ეტიმოლოგიას მეცნიერული ეტიმოლოგიაც უჭერს მხარს (ტყვიავი, თელავი; ა. შანიძე).

სოფელში არის ღვთისმშობლის ეკლესიის ნაგებობა, მაგრამ ის 1791 წ. 15 ოქტომბერს ზაქარია ჩიქლაძის მიერ იულონ ბატონიშვილისადმი ბოძებულ სიგელში (არზაში)⁵⁵ არ იხსენიება და, მამასადაამე, მაშინ ეს ეკლესია ან არ არსებობდა, ან ახალაგებული უნდა ყოფილიყო.

ტყვიავში დგას ლუარსაბ ერისთავის ოთხსართულიანი (ეტყობა ნეხუთე სართულის კვადრატ) ციხე კოშკითურთ (ერთ ნაგებობად), ლეკიანობის დროისა. ეს სიმაგრე აუგია ლ. ერისთავს ცოლის მშობლებში მიღებული ფულით (სურ. № 37).

ამ ციხის წარწერიანი ქვა წაუღიათ და მოუქცევიათ ციხის მახლობლად მდებარე კოტე ქარელის სახლის კედელში (ვნახეთ 15.VII.1954 წ.). მასზე ვკითხულობთ:

„ქ. თამაზ ქ(ა)რე(-)

ლ(ი.) ქ(რონი)კ(ონ)ს უ მ ბ“ (= 1754 წელს).

იქვე მეორე ქვაზე წერია:

⁵⁵ დოკუმენტები საქ. სოც. ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1953, გვ. 162, დოკ. № 259.

„ქ. ქარელმა თამაზამ ⁵⁶ დგნა [დიანბერგმა] აღაშენა ციხე ესე
ქ(რონიკონ)ს უ მ ბ ⁵⁷ (=1754 წელს).

გადმოგვცემენ, რომ ციხის კედელში წარწერიანი სხვა ქვაც იყო,
რომელზეც ეწერაო: ცოლის მზითვით აღვაშენე, ამდენი კვერცხი
დაიხარჯა ამ ციხის აშენებაზეო და სხვა.

ციხის ერთ-ერთ ჩუქურთმიან ქვაზე სომხური ასოების კვალიც
ჩანს ⁵⁸, მაგრამ აღარ ირჩევა.

ტყვიავის ღვთისმშობლის ეკლესიასთან ⁵⁹ საფლავის ქვაზე ირჩევა
ჩ.ჟპბ (=1882 წელს).

სასადილოში შესასვლელთან, კარგ ჩუქურთმოვან საფლავის ქვაზე
სომხური წარწერის კვალი ჩანს. ეს ქვა ძელიჭეშმარიტის ეკლესიის
წანგრევებიდან ყოფილა მოტანილი.

მაღაზიის წინ ძევს საფლავის ქვა წარწერით:

„ამა წუთისა სო(-)

ფელსა რა მო(-)

ვინანო(.) ვებ(-)

. დარე

ტ“ (=1612 წ.).

ამავე ქვას მეორე მხრიდან აწერია:

„როგორც

გამოველ ქვეყნა(-)

და(.) შევიქენ ავათ(.)

მდებარე...

სოფიო სოსოს“...

ქვის მესამე მხარეზე ვკითხულობთ:

„სარქის

გიგუაშვილის

მეუღლე გარდ.

⁵⁶ თ მზატერულია.

⁵⁷ ბ შეიძლება ე-დაც იქნას წაკითხული და მაშინ გამოდის 1757 წელი.

⁵⁸ XIX საუკუნის ბოლოს აქ რომ სომხის რამდენიმე ოჯახი ცხოვრობდა,
ამას ადასტურებს ალალო თუთაევის სტატია: 1880 წელს ქართლში ჰირნახული
კალიამ მოსპო; ქართველები და სომხები შიმშილით იზოცებოდნენ; აზნაურმა ისე
ფაფლენიშვილმა გახსნა თავისი ბეღელი და გლეხებს ხორბალი დაურიგაო. — ქურნ.
„იმედი“, 1882 წ., № 2, გვ. 33—39.

⁵⁹ მას გუმბათიანად და XIX ს. დასაწყისიდანაც იხსენიებენ. იხ. ი. კ. — Обзор-
рание карталинских церквей, თბ., გვ. 21.

8 თიბათვის ჩყ... (წ).

შობ. 28 წ.“.

ჩყ (= 1800 წ.)

ამ ქვაზე გამოხატულ მანდილოსანს ჰხურავს ლეჩაქი, აქვს ქოლგა და ხელები წელზე აქვს შემოწყობილი.

ტი რ ძ ნ ი ს ი

ცხინვალისკენ გორის რაიონის უკანასკნელი დიდი სოფელია ტირძნისი. სოფლის ცენტრში (გზიდან მარჯვნივ) ღვთისმშობლის ტაძრის უგუმბათო¹ ნაგებობაა. მისი ძირითადი ნაწილი ქვისაა; შემდეგ კედლები აგურიით აუმაღლებიათ. სიმძიმის გაძლებისათვის ჩრდილოეთი კედლისათვის ორ ბურჯი მიუდგამთ. აღმოსავლეთ კედელზე მიშენებულია სახლი, ხოლო დასავლეთი მხრიდან მიდგმულია სამრეკლო, — ოთხკუთხი კოშკისებრი ნაგებობა, რომელიც ჩამოშავს ცხინვალის ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის დასავლეთ მხარეს.

ტირძნისის ტაძრის სამხრეთი კედლის შესავალს კარიბჭეა, რომლის სარკმლის ქვა ეკლესიის დიდ სიძველეზე მეტყველებს. ეკლესიას ჰქონია გრძელი და მაღალკედლებიანი გალავანი კუთხეებში ოთხი კოშკით. უკანასკნელთან გადარჩენილია ჩრდილო-დასავლეთი კოშკი და გალავნის ჩრდილოეთი ნაწილი.

ადგილობრივი ვასილ გიორგის ძე სამადაშვილის (დაიბ. 1905 წ.) ცნობით (16.VII.1954 წ.), აქედან წაუღიათ ორი წარწერიანი ქვა, რომლებიც ეკლესიაში ინახებოდა და ძველი კედლის იყო. ერთი წარწერა (აღმოსავლეთი კედლის გარედან) მოქცეული ყოფილა გაჯის ქვეშ, კედელი შეუღესავთ მასზე ნაგებობის მიდგმის გამო.

ეკლესიას ახალი (1830 წ.) გუმბათი აქვს. დასავლეთი კედლის ჩრდილოეთი კუთხის პირველ ქვაზე უბრალო ჯვრის გამოსახულებაა. მის ზევით — მეოთხე ქვაც, უფრო საინტერესო დასადგმელი ქართული ჯვარია.

სამრეკლოს დასავლეთი კედლის ერთ მთლიან ქვაზე წარწერაა:

„1830 წ. აღვაშენე ტაძარი

ესე მე დავით ივანე ძე (sic.)

სულხანოვმა“ (სურ. № 38).

ეს ივანე სულხანიშვილი ადგილობრივი თავადი ყოფილა. ამისი შვილი 1889 წლით დათარიღებულ ჩვენ მიერ გამოცემულ ნიქოზის

ღვთაების ტაძრის რუსულსა და ქართულ წარწერებში იხსენიება, როგორც „გორის მაზრის მარშალი ივანე დავითის ძე სულხანიშვილი“ (Сулханов)⁶⁰.

ტირძნისის ეკლესიის აღმოსავლეთი კედლის ზემო (აგურის) ნაწილში ისეთივე დიდი ჯვარია გამოსახული, როგორც ცხინვალის ჯაფარიძის ქუჩაზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის ნაგებობის აღმოსავლეთ კედელზეა. ეს ორი ნაგებობა, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, სხვა მხრივაც (სამრეკლოთი) წააგავს ერთიმეორეს.

ტირძნისის ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე (სარკმლის ზევით) არჩევა:

„...მეუღლე მარიამი... ჩ ყ პ (ვ)“.

ქვემოთ ციფრით წერია: „1886 წ“.

ტირძნისის სკოლიდან სამხრეთ-დასავლეთით კვირაცხოვლის უღებუბათო ბატარა ეკლესიაა. მასთან მდებარე საფლავის ერთ-ერთ ქვათაგანზე ვკითხულობთ:

„მომიხსენიე(.) უფალო(.) საფლავსა ამას მდებარე გი(ო-)

რგი ივინაშვილის ძე ბესარიონ(-) აღმომკითხვ(-)

ელნო(!) შენდობას ვითხოვ(!) ჩ ყ ო მ წელსა, გიორგო(-)

ბის ა“ (= 1878 წ. 1 ნოემბერი).

საყდრის ჩრდილოეთით ღვინიაშვილის ქვას აწერია ჩ ყ პ (= 1880 წ.), ხოლო მის მახლობლად მდებარე ზაქარ ღვინიაშვილის ასულის ქვა დათარიღებულია ციფრით 1887 წელი.

სოფელში მესამე ეკლესიას სამეზას უწოდებენ. ნაგებობა ვიწრო, მომალლო და ნავისებურია.

⁶⁰ ცხინვალის პედინსტიტუტის შრომები, ტ. 1, ცხინვალი, 1952, გვ. 287, ცალკე გამოცემა (1952 წ.), გვ. 47; იხ. გვ. 317 — ნიქოზი.

თ ა ზ ი ი

ფრონის ხეობა

წუნარი

ნიქოზიდან ცხინვალს ასვლამდე ჩვენ აქ, წინამდებარე ნარკვევში, ვამჯობინეთ, ჯერ ნიქოზის მეზობელი ფრონის ხეობის¹ სოფელთა სიძველეები მიმოვიხლოთ.

ნიქოზს შემდეგ ფრონის მარცხენა ნაპირზე მდებარე ს. (მ)ტილიანიდან (იხ. ყორნისი) მდინარის მარჯვენა ნაპირზე აღმართულია არქეოლოგიურ ლიტერატურაში ცნობილი ივანე დოღლაძისა და მისი ძმების ციხე-გალავანი, გომი და საცხოვრებელი სახლები.

სოფელი წუნარი მდებარეობს ცხინვალიდან დასავლეთით 8—9 კმ-ზე. 1865 წელს იგი 24 კომლით სურამის უბანში ირიცხება. მასში 250 კომლი (1970 წ.) ცხოვრობს (გუცაფევი, ლოხოვი, მამიფევი, ნართიკოფევი, ხეთაგუროვი, ჯიოფევი...).

ვახუშტი ბაგრატიონი ჭოლიბურისხევის შესართავად წუნარისხევის იხსენიებს და იქვე შენიშნავს: „წუნარს არს ეკლესია გუმბათიანი აწ უქმი“ (გეოგრაფია, გვ. 79). იგი აგებულია თლილი ქვით; არის მაღალი და აქვს მაღალი გუმბათი, თარიღდება XIII საუკუნით. ძველი წარწერები არა აქვს; კედლებში რამდენიმე ჯვარია გამოკვეთილი, დასავლეთ კედელზე არის მზის საათი (სარკმელთან — დიდი, ქვემოთ — პატარა. სურ. № 39).

ნაგებობა 1887 წელს შეუკეთებიათ და შიგნით შეუთეთრებიათ კიდევ. ეს თარიღი სამხრეთი კარის თაღის დიდი ქილის ჯვარზეა განოკვეთილი.

ეკლესიასთან ჰკიდია დიდი ზარი, — რუსული წარწერითა და თარიღით 1895 წელი (სურ. № 40).

ეს ეკლესია უნახავს მ. ბროსეს: წარწერები აქ ვერც მას უპოვია

¹ ს გ რ ი მ ა კ ა ლ ა თ ი ა, ფრონის ხეობა, თბ., 1963.

და ამბობს: მუქი ქვით აგებულ ამ ტაძარში აგურის ისეთივე ზომაებზე და სამკუთხოვანი ნიშნები არის, როგორიც კუმურდოში (მოგზაურთა ბანი, VI, გვ. 56).

მ. ბროსეს თანამშრომელი და კორესპონდენტი დიმიტრი მეღვი-ნეთხუცესიშვილი იძლევა დამატებით ცნობას: წუნარის დიდი მონას-ტრის აღმოსავლეთის გუმბათი მოზაიკურია და ჩრდილოეთ კედელში წარწერის კვალიც ჩანს, რომელიც არ ირჩევიაო. ამავე ეკლესიას ბაქ-რაძეც იხსენიებს².

ტაძართან არსებულ საფლავის ქვათაგან ზოგიერთზე წარწერაა. მაგ., ტაძრის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქვაზე იკითხება:

„მომიხსენე უფალო...

ბისო მამისაშვილის ძე...

(ქვის სამხრეთიდან)

ჩ ყ ჟ დ წელსა(,) თებერვლის ბ

დღესა(,) წამკითხველნო [შენდობას გთხოვთ].

(= 1894 წ. 2 თებერვალი).

იქვე ერთ საფლავის ქვაზე სწერია:

(ზემოდან)

„მომიხსენე მე უფალო(,) ლოდსა ამასა ქუეშე მდებარე

ნინა სვამონ მამისაშვილის ასული(,) გარდავიცვალე

მარიობისთვის 3 დღესა 1889 წ. შენდობა ბრძანეთ(!)“

1904 წ. გარდაცვლილა 28 წლის „ნინო სოლომან ბედელურის მეუღლე და რაჟდენ გოგაშვილის ასული“.

ეკლესიის აღმოსავლეთით ერთ-ერთ საფლავის ქვაზე ზემოდან ქალის გამოსახულება და წარწერაა —

„ღმერთო(,) მეც ღირსი გამხადე(,)

(სამხრეთიდან)

მამყოფე(,) სადაც სამოთხე შენია(,)

რადგან სიკვდილი ძნელია(,) მოწამენი ვარ(,)

(ჩრდილოეთზე)

უფალო(,) სიკვდილი სულის მტერია(,)

სალომე არჩევან ფარასტაევის ასული(,)

სიმონ ჯიოშვილის მეუღლე

1902 წ.“

² Дм. Бакрадзе. Кавказ в древних памятниках христианства. — Записки Общества любителей Кавказской археологии, кн. I, Тифлиси., 1875, стр. 19 და შემდეგი.

ერთ-ერთ ქვაზე შემორჩენილია —

„მე ჩ ყ ლ ე ფ თ ლ კონსტანტინე“ (1835).

ეკლესიის ჩრდილოეთით ერთ-ერთ ქვაზე ზემოდან —

„1901 თებერვლის 2

(სამხრეთით)

არკვეან ლევანის ძე

ლოხოშვილი(.) დამრჩა სუ-

ლის მოსახსენებლად 2 ვაჟი.“

უფრო გვიანდელ საფლავის ქვებს, როგორც სხვაგან, ისე აქაც, გვარები რუსული ფორმით აწერია: „ქსენია დავით თე დ ე ე ვ ი“ გარდაიცვალა „1908 წ. ქრისტიანობის(თ)ვის 15 დღესა“, „ვანია დავითა(ს)ძე თე დ ე ე ვ ი“ ჯიოევ (1914) და სხვა.

აქვე ერთ-ერთი გვიანდელი წარწერა რუსული ასოებით იწყება სიტყვით „ხ ც ა უ“... (ღმერთო!)

1954 წელს ტაძარს დაცვის რწმუნებული არ ჰყავდა. შემდეგ დანიშნეს ზაურ ლოხოვი (დაბად., 1927 წ.). 1974 წ. 13 აპრილს აქ საშუალო სკოლაში ყოფნისას ვნახეთ ის და მივუთითეთ, რომ სახურავიდან წვიმა ჩამოდის...

ს. ხოდთან სამწყაროს სიძველეს გარეთა ქვები მოცლილი აქვს ისევე, როგორც ტბეთის ნასაყდრალს...

წუნარის გამგეობის ს. ხოდაში, სასოფლო-სამეურნეო მიწის სამუშაოთა წარმოების დროს, ქვაკუბოები აღმოჩენილა. ამის შესახებ 1954 წ. 8 ოქტომბერს აგრონომ პეტრე მინდიაშვილს შემოეთვალა გაზ. „საბჭოთა ოსეთის“ სასოფლო-სამეურნეო განყოფილების მაშინდელი გამგის არტემ ალიბეგაშვილისათვის, რომელმაც ეს ჩვენ გვაცნობა, რომ ადგილზე ცხინვალის მუზეუმისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები გაავაზნებინეთ. მათ მოიტანეს ამბავი: ჩვეულებრივი ქვის კუბო და დაშლილი ძვლები იყო, სხვა არაფერი.

ესეც საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამავე სოფელსა და მის მიდამოებში დაზვერვითი არქეოლოგიური ძიება იწარმოოს. თვით წუნარის ეკლესიის დაწვრილებითმა შესწავლამაც შეიძლება ახალი ფაქტები გამოავლინოს.

ტ ბ ე თ ი

ცხინვალიდან 5 კმ-ზე ტბეთის მინდვრის ბორცვზე მდებარეობს „მოზრდილი ზომის (12,60 X 7,0 მ.) დარბაზული ეკლესიის გაშიშ-

კვლეული კედლები“, რომლის პერანგი ყოფილა თლილი და ჩუქურთმით
თმოვანი ქვები რამდენიმე წარწერით (სურ. № 41).

საქართველოს სიძველეთა დაცვის „ბიულეტენში“ (№ 2, თბ.,
1925 წ., გვ. 25) აღნიშნულია: „ტბეთის ეკლესიის ნანგრევები სამი
კომპლექტით“. ეს ეკლესია 1848 წელს მ. ბროსეს დაუთვალიერებია და
წარწერები გადმოიღვია (ზემოთ ციტ. „არქეოლოგიური მოგზაურო-
ბანი...“, რვეული VI, გვ. 56—57).

მ. ბროსე მას ბოძიჯვარს უწოდებს. მის ნაანდერძე წარწე-
რებშიც ოთხჯერ იხსენიება ჯრო ბოცსო — ჯუარო ბორცისაო,
ანუ ბორცის ან ბორცვისა ჯვარი (გვ. 57—58). ადგილობრივი
მცხოვრებლები ბოციჯვარს წარმოთქვამენ; აღნიშნულია ფორმა
ბო(რ)სი ჯვარიც. ვ. თოფურიას 1924 წელს მხოლოდ ნანგრევ-
ებისათვის მიუსწრია და ამბობს: ამისი ქვები შარშან ცხინვალში წა-
ულიათ და აბანოს მშენებლობაზე გამოუყენებიათ³.


ავტორი ყურადღებას აქცევს, რომ ბაგრატ IV გუჯარში მოხსენი-
ებულია ბორცოის ჯუარი — ბორცუის (ბორცის) ჯუარი, ანუ
ბორცვის ჯვარი, მაგრამ მაინც შეიძლება დაეუშვათ, რომ მას
ბოძის ან ბორცის ჯვარი ერქვა და სიტყვა შემდეგ ბორცვად
გააბზრიანეს.

ამავე ეკლესიას რ. მეფისაშვილი, ვ. თოფურიას მიხედვით, ბორ-
ცვის ჯვარს უწოდებს, იძლევა საინტერესო ცნობას, რომ ცხინვალის
„მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება საბუთი აბანოს მშენებლო-
ბაში ტბეთის ძეგლის ქვების გამოყენების შესახებ. 1929 წლის სა-
ბუთში მითითებულია, რომ წარწერიანი ქვები, რომლებიც აბანოს
კედლებში არ ჩაუტანებიათ, გადატანილ იქნა პედაგოგიური ტექნი-
კუმის ეზოში. ჩვენ შევეცადეთ ამ აღნიშნული ქვების მონახვას, მაგ-
რამ მათ კვალს ვერ მივაგენით“⁴.

რ. მეფისაშვილი ასახელებს ხსენებული აბანოს კედლებში ჩატა-
ნებულ 7 ორნამენტარებულ ფრაგმენტს (იქვე, გვ. 115); ჩვენ 1949
წელს მეტი გვინახავს, მისი ჩუქურთმიანი ფრაგმენტები გამოვაქვეყ-
ნეთ კიდეც (ცხინვალის პედ. ინსტ. შრომები, ტ. I, 1952 ;, გვ. 258),
მაგრამ ამ ნაგებობის წარწერიანი ქვები ცხინვალში ვერ აღმოვაჩინეთ.
ადგილზე კი ბორცვის ჯვარის ნაგებობის სამხრეთი პორტალის ჩუ-

³ კრებ. „საისტორიო მოამბე“, წ. II, თბ., 1924, გვ. 132, 134.

⁴ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომები. — „ქართული ხე-
ლოვნება“, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 114.



ქუროთმოვანი და წარწერიანი დიდი ქვა (2,7×0,62 მ) 1923 წელს ვერ დაეძრათ და 1949 წელსაც ძეგლის სამხრეთით იღო. მცხეთის ცხინვალის მუზეუმს, შემდეგ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, ვ. თოფურიასა და ირ. სონღულამვილითან ერთად, ველაპარაკეთ გ. ნ. ჩუბინაშვილს, მაგრამ მიუხედავად უკანასნელის მონდომებისა, არაფერი გამოვიდა, რადგან ცხინვალში ერთ პასუხისმგებელ პირთან ეთქვა: მაგ ქვის ადგილიდან დაძვრა ანტირელიგიურ პროპაგანდას ეწინააღმდეგებაო!..

შემდეგ ბორცვისჯვრის წარწერიანი პორტალის ქვა გადაუტანიათ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ინვ. № 444). მისი წარწერის ვ. თოფურიასეული პუბლიკაცია შეავსო და გამოაქვეყნა რ. მეფისაშვილმა (ზემო ციტ. ნაშრომი, გვ. 114). მკვლევარი ამ ქვას ბალავარს უწოდებს (წარწერის მიხედვით), მაგრამ იგი, როგორც ეს ვ. თოფურიასაც აქვს აღნიშნული, და ადგილზე მისი კარის თავზე ნაღების კვალიც აშკარად ჩანს, სამხრეთი კარის თალი ყოფილა. მისი ორსტრიქონიანი წარწერა ჩვენ 1949 წელსავე გადმოვწერეთ. იგი, ჩვენგან დამოუკიდებლად, რ. მეფისაშვილმა გამოაქვეყნა.

წარწერის მხედრული ასოებით ტრანსლიტერაცია (შემოკლებულ სიტყვათა ფრჩხილებში გახსნით) აგრე წარმოგვიდგება:

„ქ. სახ(ე)ძლ(ი)თა ღ(მრთისაი)თა ესე ბ(ა)ლ(ა)ჰვე(ა)რი მე(,) ტბ(ე)ღმ(ა)ნ პ(ე)ტ(რი)კმ(ა)ნ ძ(ე)მ(ა)ნ ქ(ა)ვთ(ა)რ(ი)ს(ა)მ(ა)ნ⁵ დ(ა)ვღ(ე)ვ ს(ა)ლ(ო)ც(ველა)დ ს(უ)ლისა ჩ(ე)მ(ი)სა და შვ(ი)ლთა ჩ(ე)მთ(ათ)ენ(.)⁶ ჯ(უ)არო⁷ ბ(ო)რცო(ისა)ო(,) ⁸ მ(ე)ოხ(მე)ქ(მე)ნ“.

აქვე ისევ ვ. თოფურიას წაკითხვის შემდეგ ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილიც ბეჭდავენ (იქვე, გვ. 96), გვხვდება წარწერები:

2. დასავლეთი კარის თავზე:
„ქ. სახელითა ღუთისათა ესე ბალავარი⁹ დავდევ“.

⁵ ვ. თოფურია — პეტრკმან — პეტრიკმან (პატრიკმან); ასევე — რ. მეფისაშვილთან. ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი — პატრიკმან. იხ. საქართველოს მუზეუმის მოამბე, XIX ა, 1957, გვ. 96; ესენი ღმრთისა-ს კითხულობენ ღუთისა, დავდე-ს — დავდეთ.

⁶ რ. მეფისაშვილი — ჩემთან (იქვე, გვ. 115), აგრეთვე — ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი (იქვე, გვ. 96)! უნდა წავიკითხოთ ჩემ-თათვის.

⁷ რ. მეფისაშვილი — ჯვარო.

⁸ წაკითხება ბორცუისაო (ბორცუსაო).

⁹ ადგილზე წერია ბალაჰვარი.

3. სამხრეთ სარკმლის თავზე —

„ქ. ადიდე ოქროპირი(,) ძე ტბელისა(,) ამინ“.

4. „ქ. უფალო(!) განუსუენე სულსა ცოტაჲსსა (ცტსა).

5. აღმოსავლეთის შუა სარკმელთან —

„ჯარო ბორცუსაო(,) ადიდენ შვილნი მათნი(;) ოქროპირი, სპდლდ(?), დავით, ქავთარ“.

იქვე. „ქ. განუსვენე სულსა ტბელისასა (ტბლსა), ეპრაქსის(?) დასა (დედასა?) მისსა“.

6. მეხუთეს მარცხნივ: —

„ქ. და ძენი მისნი ივანე და ქობულ“.

იქვე — „ჯუარო ბორცუსაო(,) ადიდე აბაზა“.

მ. ბროსეს ცნობით, ამ წარწერებში იხსენიებიან: ოქროპირ ტბელი, ძენი ვახტანგისანი — მიქელი და სარმე; ვილაც ეპიფანე, მაქსიმე, გარდაცვლილნი: ატა, თეკლა (შდრ. კუსირეთის წარწერა), ისევ ოქროპირი, მიქელი, სამა აბლა (მ. ბროსე — აბელა), კაბალ და სხვა (ციტ. არქეოლოგიური მოგზაურობანი, რვეული VI, გვ. 57—58).

პორტალის წარწერის პეტრიკმნ ჩვენ 1949 წელს წაგვიკითხავს პეტრიკმნ — პატრონმან, მაგრამ 24.V.1952 წელს კვლავ მივსულვართ ძეგლთან და ეს სიტყვა შეგვისწორებია აგრე — პეტკმნ. ვინაიდან აქ ვ. თუფურიას სახელი პეტრიკმან (პატრიკმან) უწერია და თანაც აღნიშნულია, რომ პეტრიკი იხსენიება ამავე დროის, უკეთ — 1085 წლის ეგნატისეულ ანდერძში (ნ. ბერძენიშვილზე დაყრდნობით) და იგივე სახელი გვხვდება ათონის ივერიის 1074 წლის აღაპშიც (რ. მეფისაშვილი, გვ. 115), ჩვენ ვბეჭდავთ მხოლოდ ფორმა პეტრიკს (შდრ. პეტრე, აგრეთვე პატრიკ). შემოკლებათა გახსნის შესახებ ვ. თუფურია შენიშნავს: „წარწერა გვიანდელია და ამიტომ საშუალო ქართული ნორმების მიხედვით ვხსნი ქარაგმებს“ (იქვე, გვ. 133, შწმ. 1).

ეპიგრაფიკაზე ეს „სიახლე“ შეიძლება, აგრე ადრე არ გავრცელდეს. ხსენებული ისტორიული პირების მიხედვით, ეს წარწერა XI ს. დასაწყისის ჩანს. პეტრიკ ქავთარის ძე ტბელი ივანეს შემდეგი თაობა უნდა იყოს. ტბეთის, ნიქოზისა და მეზობელი სოფლების მცხოვრებნი ტრადიციულად კვირაცხოვლობას დღესასწაულობდნენ. სხვათაშორის შევნიშნავთ, ტბეთს ნიქოზელები თავიანთ ყოფილ საძოვრებად თვლიან. საინტერესოა ტბეთის უბნების სახელწოდებები: ბიბილასანი, ბადიასანი, ღრუბელა (ადგილობრივთა გამოთქმით — ღრუმბელა) და ცხინვალიდან ახლანდელ ქოქოანთ

უბანთან მიახლოებისას, გზიდან მარცხნივ მდებარე ყორღანის ფორმის ბორცვი, რომელიც ფორმით ცხინვალის ნაცარგორას (იხ. ცხინვალი) მოგვაგონებს. გზის მარჯვნივ კი, პატარა ხევის გაღმით, ეკლესიისა და მისივე გალავნის ნანგრევებია სასაფლაოთურთ. ამ ადგილს ტბეთის მაცხოვარს (ოსურად — მაცხვარ) უწოდებენ. ეს თლილი ქვებით აგებული ეკლესია ბორცვისჯვრის ტიპის ყოფილა (სურ. 42). ოსურად ე. წ. ქოქოანთ უუარის ნანგრევების დასავლეთით (იქვე) დგას პატარა ორსართულიანი კოშკი, რომელიც, პირველთან შედარებით გვიანდელია (სურ. № 43).

მაცხოვრის ღვთისმშობლის ეკლესიასთან შედარებით, აგრეთვე გვიანდელი ჩანს იმ საყდრის ნანგრევებიც (პირველი მუქი ქვისა, მეორე — მოყვითალო), აქ რომ ბიბილანთ ღვთისმშობლის სახელითაა ცნობილი. მის ნანგრევებში ორ ქვაზე 1949 წ. ნუსხური ასოებიც შეგვხვდა; 1952 წ. არც ერთი ეს ქვა აღარ ჩანს!

ისევ ქოქოანთ უბანში შემოხსენებული პირველი საყდრის ჩრდილო-დასავლეთით ხევის თავზე მაღალი (10—12 მ) კოშკი დგას. მის ძირში წმინდა გიორგის სახელობის, შედარებით კარგად შენახული, ბაზილიკაა. შიგ ფრესკებიცაა შემორჩენილი. საყდარს სამხრეთიდან (მეორე სართულად) სამრეკლო ჰქონია, რომელიც აგრეთვე ფრესკებით ყოფილა შემკული. ამ წმინდა გიორგის (ვასტერჯს) ოსები მასე ქკომ უუარსაც (ციხის ჯვარს) უწოდებენ. ამბობენ, საყდრის დღეობა 4 მაისს იწყებოდაო, ხალხი საღამოს შინ ბრუნდებოდა, საყდართან მიტანილი სურსათის მცველად ორი კაცი რჩებოდა, სხვები მეორე დღეს ბრუნდებოდნენ და აგრე ერთ კვირას აგრძელებდნენ ღვინსაო.

ეკლესიასთან არსებულ ხეებს არ ჭრიდნენ, ამ ტყიდან შეშა არ გაჰქონდათ და მასში არ ნადირობდნენ.

ა ბ ნ ი მ ი

წუნარის ტაძრიდან სამხრეთ-დასავლეთით, (მ)ტილიანის ხევის (ადგილობრივთა წარმოთქმით — ტილიანას ხევას) მარცხენა ნაპირზე, ყორღანის (ყოფილი ზნაურის) რაიონში, მდებარეობს ს. ანევი და მისი ღვთისმშობლის ეკლესია, რომელსაც 1924 წელს ჯერ კიდევ ციხე-გალავანი ჰქონია¹⁰, მაგრამ ახლა ეს სიმარე აღარ ჩანს¹¹ (სურ. № 44).

¹⁰ სიძველეთა დაცვის ბიულეტენი, 1925 წ., № 2, გვ. 25.
¹¹ ანევი და მისი ეკლესია სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ საქართველოს კულტურის ძეგლთა სიაში აღარ იხსენიება! იხ. 1959 წ. გამოცემა.

სოფლის დასავლეთით, მდ. ფრონის მარჯვენა ნაპირზე ჩანს ზემო-
ხსენებული ნულის ციხე (სურ. № 45).

ავნევის ეკლესია ჯვრის ფორმისაა (10 X 8 მ, სიმაღლე 5 მ-დე).
მის დასავლეთ და სამხრეთ კედლებში ჩუქურთმიანი ქვებია ჩაშენ-
ებული. წარწერები არ ჩანს (სურ. № 46).

ავნევის ერთ-ერთი უფრო ძველი საფლავის ქვის წარწერა ამბობს:
„მომიხსენე უფალო(,) ლოდსა ამასა ქვეშე მდებარე მაგდან(,)
დავით გვარამაძის მეუღლე და ასული სოლომან ერგემლიძისა. ამავე
ლოდსა ქვეშე მდებარე ვარ დავით ზაქარიას ზე გვარამაძე(,)
აღვსრულდი 1878 წ. 24 იანვარს(,) მაგდანი აღსრულდა 1906 წ.
20 დეკემბერს“.

1715 წელს შედგენილ რუისის სამწყსოს დავთრის მიხედვით,
ავნევი დიდი სოფელი ყოფილა. მასში ცხოვრობდნენ საეკლესიო
გლეხები გვარად ბათხაძე, ბეგიაშვილი, ბეჟუაშვილი, ბერიკაშვილი,
დათუაშვილი, ზუმბულიძე, კოზმანიშვილი, კოხაჯელი, მაისურაძე, მა-
ქარაძე, მდინარაძე, მონდობილაშვილი, ნადირაძე, ომანიძე, სალარიძე,
სიქთურაშვილი, სულიაშვილი, ჩხერელაშვილი, ყუზაშვილი. სიაში
35 კომლი ირიცხება¹². მამინდელსავე ნულში კი, რომელშიც თავ-
დაცვის საშუალება — ციხე-კოშკი იყო, 30-მდე კომლი იხსენიება.

ა რ კ ნ ი თ ი

ყოჩნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონის ავნევის გამგეობაშივე მდებ-
არეობს ს. არკნეთი (ზოგი ოსის წარმოთქმით — არჭნეთი; დავათვა-
ლიერე 17.IV.1955 წ.), რომელშიც სოფლის სამხრეთ ნაწილში, მდინა-
რის მარცხენა ნაპირზე, დგას ქვის უგუმბათო ეკლესია (თლილია კუთ-
ხის ქვები, შელესილია); მას დასავლეთი მხრიდან გვიანდელი ფანჩა-
ტური აქვს.

ეკლესიის წელის სარტყელი კუსირეთის ეკლესიის ნანგრევების
ასეთსავე სარტყელს მოგვაგონებს.

ფანჩატურის ახალ კედელში დასავლეთიდან ძველი ქვის ჯვარი
ჩაშენებული.

ეკლესიას წარწერები არა აქვს.

არკნეთის ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა. ერთ-ერთ საფლავის
ქვაზე (ეკლესიიდან სამხრეთით) ვკითხულობთ:

¹² ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. 1,
თბ., 1907, გვ. 136—137.

(ზემოდან)

„უფლისა ნებითა გარდავიცვალე მონა

(სამხრეთიდან)

ღვთისა იაკობ წინიას ძე ბასილიშვილი(.) დავტოვე თვალ-
ცრემლიანი მეუღლე და ძეთა, სამი ვაჟი და სამი ასული.“

(ჩრდილოეთით)

ვიყავი მოამაგე სახლისა(.) გარდავიცვალე 1884 წელსა

მკათათვის 15-სა დღესა(.) მხილველნო(,) შენდობა მიბრძანეთ(!)“

იქვე უთარილო ქვაზე იხსენიება გიორგი ლაზარეს ძე პაპაშვილი, ივანე ლაზარეს ძე პაპაშვილი, ჩყოჭ (1878 წ.), თევდორე გიორგის ძე... და სხვა.

1715 წელს არქნეთში იაღანაშვილი, კობახიძე და სხირტლაძე იხსენებინან¹³. მეზობელ სოფელ ერკნეთში კი იხსენიება გვარები: ბასილაშვილი, გაჩაშვილი, დათაშვილი, ზარიძე, კუპრაშვილი, ნინაშვილი, პაბალაშვილი, ჭავჭავაძე¹⁴.

თ ი ღ ვ ა

სოფელი თიღვის ტაძარი ს. რუსთავის უახლოეს სიძველეთა მორის ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია. იგი ცხინვალიდან 30 კმ-ზე მდებარეობს ფრონის ხეობაში (სურ. № 47).

წიგნი — „საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა“ გვიჩვენებს, რომ თიღვა შედის არა ცხინვალის, არამედ მისი მეზობელი ყორნისის (აღრინდელი ტყისუბანი?) რაიონში. ამავე წიგნის 1949 წლის გამოცემით, ყორნისის გამგეობის სოფლებია: ოქონა, (ყოფილი ზნაური), ალიბარი, ახალსოფელი, მულრისი, ნაბაკევი, ნედლათი, სამწყარო, თიღვა, ზუნდისუბანი, შინდარა და იკოთი. მათ 1960 წლის ასეთსავე წიგნში ემატებათ საჯვარე, ოქონა, ბადაანი, იონჩა, ოსაკაუ, სუნისი, სხლითი და ხალეზაანი.

თიღვის ახლანდელი ოსი მოსახლეობის წინაპრები აქ ღიახვის ხეობის სათავეებიდან ჩამოსახლებულან უმთავრესად მეცხრამეტე საუკუნის 70—80-იან წლებში. უფრო ადრე კი, მაგ., 1815 წელს, აქ ორი ოსი — ოთია და ლაზარე იხსენიება.

იმდროინდელ აქაურ ქართველ კომლთა გვარებია: ბურნაძე, წერეთელი, კობაძე, ძამუკაშვილი, ბეჭიტაშვილი, გოდერძიშვილი, ბე-

¹³ ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. ციტ. ნაშრომი, 138—139.

¹⁴ ი ქ ვ ე, გვ. 141.

გიაშვილი, სეხნიაშვილი, მუმლაძე, ხიხაძე, ჩარეჭიშვილი, კილაძე, ჩუბინიძე და სხვა¹⁵.

1865 წელს თიღვაში 31 კომლი ცხოვრობდა¹⁶.

ამ სოფელში მდებარეობს მიძინების სახელობის დიდი და ლამაზი გუმბათიანი ეკლესია (წინათ — მონასტერი)¹⁷. იგი თლილი ქვითაა ნაგები და 1152 წლით თარიღდება¹⁸. მის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი წერს: „თიღვას ჯვარის მონასტერი აღაშენა ასულმან აღმაშენებელისამან თამარ“¹⁹. ეს თამარი შარვან-შას (აღსართანის გიორგი მესამის დისწულის) თანამეცხედრეა²⁰.

არსებობს ლ. რჩეულიშვილის მონოგრაფია — „თიღვა. შარვანის დედოფლის თამარის აღმშენებლობა...“ (თბ., 1960). ამიტომ ამ ტაძარზე სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ აღბანეთი არაბების მიერ VIII ს. დარბევის შემდეგ შარვანად (შირვანად, შემდეგ — აზერბაიჯანი) და დაღესტნად გაიყო. შარვან-შას აღსართანის გარდაცვალების შემდეგ დაქვრივებული დედოფალი თამარი ქართლში დაბრუნდა, აღაშენა თიღვა, მასშივე აღიკვეცა მონაზნად და „ქრონიკონსა სამას სამოცდა თხუთმეტსა“ (375 + 780) = 1155 წ. გარდაიცვალა²¹, იგი თიღვაშივე უნდა იყოს დაკრძალული.

თიღვის მონასტრის ჩრდილოეთი ფსაადის სარკმელთან არსებობს ძველ-ქართული (ლაპიდარული) ასოებით შესრულებული წარწერა.

იგი საგანგებოდ გაფორმებული ტიმპანის არეზე დეკორატიული კუთხოვანი ასოებით არის წარმოდგენილი და შუაში მოთავსებული ჯვრის გამო, ორად იყოფა (სურ. № 48).

წარწერის მხედრული ასოებით ტრანსლიტერაცია, ქარაგმების გარეშე, ასეთია:

„ქმნლბ

ცმსა

მწ რი აქა

ქს ღთა

¹⁵ ე. თაყაიშვილი. არქეოლოგიური მოგზაურობანი, 1, თბ., 1907, გვ. 150—151.

¹⁶ Документы по истории Грузии, под ред. Ш. Чхетия, 1954, გვ. 773.

¹⁷ საქართველოს კულტურის ძეგლები, თბ., 1959, გვ. 145.

¹⁸ იქვე.

¹⁹ ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა (ქვემოთ გეოგრაფიად ვასახელებთ. — ი. მ.), თბ., 1941, გვ. 80.

მარი ბროსე ამ თამარს ერთგან დავით აღმაშენებლის შვილიშვილად (დემეტრეს ასულად) ასახელებს! იხ.. მისმ Histoire de la Géorgie, II, 1956. Additio-n—IX, გვ. 623—624. მეორეგან კი „Rapports sur un voyage archéologique“—ში (ნაწ. VI, გვ. 106) — დავითის ასულად.

სა სოფლისმნ:
სხუსა მიღს დწუ
ბა ყფდისა: მქმ
დებთა: შნ ზა ჳრ

რისა მირთ
უსა: მს შმწე მე
ქმენ 22. მსხრსა შნ
სა თამარს:

ამ წარწერის სხვადასხვაგვარი წაკითხვაა ცნობილი. უფრო ზუსტი ჩანს ა. შანიძის წაკითხვა. იგი მხედრულ ასოებზე გადმოტანით აგრე იკითხება:

„ქმნილებაჲმან რაჲ აქმსა სოფლისამან
სხუსაჲ მიიღოს დაწყება ყოფადისაჲ
მოქმედებითა შენ ჴედა ჳვარცმულისა
ქრისტჳს ღმრთისაჲთა, რომლისა მიმართ უამსა
მას შემწე მექმენ მსახურსა შენსა თამარს“²⁰.

ეს წარწერა 1953 წელს გადმოვწერეთ, მ. ბროსეს გამოცემაში არშესული სტრიქონებით შევავსეთ და ტაძრის ირგვლივ სხვა ნაგებობათა ბალავრების ნაშთებიც აღვწუსხეთ. უკანასკნელთა შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს: თიღვის მონასტრის გარემოს არიანო „შენობანი მრავალნი, და აწ ხუტის ამარა“ (გეოგრაფია, გვ. 80).

მონასტერს გალავანი ჰქონია და ნაგებობანიც — შიგა და გარეთაც. მაგ., ჩრდილოეთის მხრივ მონაზონთა საცხოვრებელი და სხვა სახლებიც არსებულა (შდრ. ლ. რჩეულიშვილი), ასე რომ, აქ არა ერთი ძეგლი, არამედ არქიტექტურული ანსამბლია წარმოდგენილი (სურ. № 46).

თიღვაში სოფლის გარეთაც ყოფილა მცირე ეკლესია, რომელიც უვაროვას დროს (აღწერა გამოიცა 1894 წელს) ჯერ კიდევ არსებულა და მას ჰქონია ქტიტორული წარწერა. იგი უვაროვასა და ალ. ხახანაშვილის მიერ გაუმართავად გამოქვეყნებულა. ლ. რჩეულიშვილის მიერ აღდგენილი ეს ტექსტი, ისევ ქარაგმების გარეშე და მხედრული ტრანსლიტერაციით, ასეთია:

„ოო, დო შე სლი გი მროელ ებკსაჲ რლნ აღაშენა წა ესე ეკლესიაჲ“.

ეს სრულად ასეა წაკითხული:

²⁰ ქართლის ცხოვრება. მ. ბროსეს გამოცემა, ტ. I, ნაკვ. II (პეტერბურდი, 1860), გვ. 290; ს. ყაუხჩიშვილის გამოც. (თბ., 1955), გვ. 334, 366.

²¹ ქართლის ცხოვრება. I, 1955, გვ. 366.

²² ლ. რჩეულიშვილი. თიღვა... დაბეჭდილია ქლენი გვ. 35.

²³ იქვე, გვ. 38.

„უფალო ღმერთო, შეიწყალე სული გიორგი მროველ ეპისკოპოსისა, რომელმან აღაშენა წმიდა ესე ეკლესია“.

ამ მროველ ეპისკოპოსს გ. ჩუბინაშვილი თვლის რუისის ტაძრის (X—XI ს.) ჩრდილო ეკვდრის აღმშენებლად (იხ. ლ. რჩეულიშვილი, იქვე, გვ. 40). ამას გარდა თვით თილვის ტაძარსაც ჰქონია სხვა წარწერა, რომელიც აღარ ჩანს.

აქვე უზარმაზარი ქვევრები (ასევე ყორნისა და რუსთავშიც) ჩანან.

„თილვის მცხოვრებნი გადმოგვცემენ, — წერს ლ. რჩეულიშვილი, — აქ ძველად მარანი ყოფილა, მრავალი ქვევრით. მათივე ცნობით, სწორედ ამავე მხარეს ზეთის სახდელი ქვაც დებულა; უკანასკნელი უვაროვასაც უნახავს“ (ციტ. თილვა..., გვ. 9).

ამ ქვის შესახებ ჩვენც გვიამბეს 1953 წელს, მაგრამ ვერ გვიჩვენეს. მოხუცთა აღწერით, ის ისეთივე დოლაბისებრი ფორმის დიდი ქვა ჩანს, როგორც დგას მანგლისის ტაძრის ეზოში. პირველსაც საბრუნავი კეტის ისეთი ჩასადები და დოლაბისქვეშა ორეული ჰქონია, როგორც მანგლისის ზეთის სახდელს აქვს. ცხადია, თილვაში კაკლისა და თხილის გარდა, ზეთოვანი სხვა კულტურაც ექნებოდათ, თორემ ზეთის დიდი სახდელი არ დასჭირდებოდათ.

ყორნისი

ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონშივე თილვის ჩრდილოეთი მეზობელი სოფელი ყორნისი გაშენებულია (მ) ტილიანის წყალზე. მას ზოგი დოდოთის²⁴ (შენაკადის) წყალს უწოდებს, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონი — ყორნისის წყალს (სურ. 49).

ვახუშტი ასახელებს ამ ყორნისს და განმარტავს: ნულის ციხეს ზევით, ნულის ხევს „მოერთვის აღმოსავლეთიდან ყორნისის ხევი, გამოდის ძარის მთას. ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კომკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა“ (გეოგრაფია, გვ. 79). ახლა ეს ქვაბნი (მღვიმეები) აღარ ჩანან, კომკოვანაც ბევრი უკვე დანგრეულია. ზოგიერთის მაღალი კედელი ისე დგას, რომ ლამის ჩამოწვეს.

1925 წლის ცნობით, ყორნისში არსებობს მარინეს თუ კვირაცხოვლის ეკლესია, სამების საყდარი, რვა კომკი (1953 წ. 6 დგას. —

²⁴ იხ. საქართველოს 5-ვერსიანი რუკა ანდა Д. Д. Пагирев. Алфавитный Указатель к пятиверстной карте..., თბ., 1913, გვ. 243.



ი. მ.), ე. წ. გვერდის ეკლესია და „ურისის საყდარი“²⁵ სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ „საქართველოს კულტურის ძეგლების“ წიგნში (თბ., 1959) ეს სიძველეები აღარ იხსენიება...

6. VIII. 1953 წ. სოფელში ჯერ კიდევ იდგა ეკლესია, რომლის დასავლეთი კარის თავის დიდ ქვაზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოკვეცილი წარწერა იკითხებოდა: (სურ. № 50).

**„ესე ეკლესია აღაშენა
რუსი იმპერატორი...“**

თავისი სიდიდითა და სიმაღლით გამოირჩევა სოფლის სასაფლაოს დასავლეთით მდებარე შვიდსართულიანი კოშკის ნანგრევი. მის გვერდით სამსართულიანი კოშკიც დგას (სურ. № 51, № 52).

კოშკთა სიმრავლით ეს სოფელი მესტიას, გინდ შატილს მოგვაგონებს. ყორნისის კოშკებიც რომ არა მხოლოდ თავდაცვითი, არამედ საცხოვრებელიც იყო,²⁶ ამას მოწმობს აქაური შვიდსართულიანი კოშკი, რომელსაც, ფართო კარის გარდა, აივნები, ბუხრები, წყალსადენი და საჭირო სხვა ადგილებიც აქვს²⁷ (სურ. № 53).

ყორნისელი მოხუცი ოსები, ციხე-კოშკებს გარდა, ხერხაულიძისად ასახელებენ სოფლის აღმოსავლეთით ხევის პირას მდებარე სასახლის ნანგრევს და შენიშნავენ: აქ ისეთი დიდი ქვევრები იყო რომ ერთ-ერთ მათგანში ხარი ჩავარდა, ვერ ამოიყვანეს, შიგვე ჩაჰკლეს და ნაჭერ-ნაჭერ ამოიღესო. იქვე ხის უზარმაზარი საწნახელიც იდგაო.

ყორნისელი იაგორ ფირუზის ძე ხოსიევი (1953 წელს 76 წლისაა) და შოთა გავიევი ამბობენ: ამ სოფლის შვილები ყორნებივით დაუნდობელი იყვნენ ბრძოლებში და ამიტომ სოფელს ყორნისი უწოდესო.

ეს, რა თქმა უნდა ხალხური ეტიმოლოგიაა. მებრძოლთა ყორნებთან შედარების გარეშეც, ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხარეებიდან მალალი ტყიანი მთებიდან ყორნების ჰაერში ფრენაც შეიძლებოდა გამხდარიყო ამ სახელის საბაბი. მით უფრო, რომ ყორნისის მახ-

²⁵ საქართველოს სიძველეთა დაცვის ბიულეტენი, 1925, № 2, გვ. 24.

²⁶ შდრ. ზემოთ — საბაწმინდა.

²⁷ С. В. Безсонов. Крепостные сооружения в бассейне большой Лиахви. — Изв. Юго-Осетинского НККр, 1933, гв. 278. შდრ. Н. Закарая, Крепостные сооружения Картли, 1968.



ლობლად არსებობს სოფ. ვორბისი (ორბისი), რომლის ძირიც ტყეა ორბია (პირველს შდრ. საყორნია — გორა საჯევანო-ჩოხატაურს შორის, საყორნია — მთა ბახმაროსთან და სახელ ყორნიდან ნაწარმოები სხვადასხვა ტოპონიმი საქართველოში) ²⁸.

1865 წელს ყორნისი სურამის უბანს ეკუთვნოდა. მაშინ ამ სოფელში 73 კომლი სახელმწიფო და დროებითვალდებული გლეხი ცხოვრობდა. ყორნისის თემის სოფლებად იხსენიება: ხტანა (14 კომლი), რუსთავი (19 კომლი) და ვორბისი (22 კომლი).

ზემოთ თიღვაზე ითქვა, რომ მას ტყისუბანი ეწოდებოდა ძველადო. საფიქრებელია, რომ ეს სახელწოდება ყორნისსაც შეიცავდა, რადგან 1815 წლის სათანადო გლეხთა სიებში ყორნისი არ წერია, ხოლო თიღვის შემდეგ ოქონასთან ერთად ტყისუბანი იხსენიება და მათში ცხოვრობენ ქართველები: გოგიბაშვილი, ტოლონაშვილი, შუკაკიძე, ნაკაშიძე, სულიაშვილი, სალარიძე, მემარანიშვილი, მეფარიძე, დათუნაშვილი, მიროტაძე და სხვა.

შემონახულია ცნობა, რომ 1750 წელს ყორნისში მეფეთა ბანაკი არსებულა. ადგილი მართლაც სტრატეგიულია.

1751 წელს ქრცხინვალ-აჩაბეთს და 1758 წელს თვით ყორნისში აღმოსავლეთ საქართველოს მეფეს ეხმარებოდა იმერეთის მეფე დაღესტნელთა ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში ²⁹.

აქაური ოსები (გადმოცემათა მიხედვით, 1970 წელს) ამბობენ: ჩვენი წინაპრები 100 წლის წინათ დასახლებულან აქ ალდარ (თავად) ხერხაულიძეების მიწებზე. ამ თავადებს უხდიდნენ ისინი საყანესაბალ-ბოსტნე მიწებისა და ტყე-საძოვრების ბეგარასაო. პროფ. ს. ვ. ბეზსონოვიც აღნიშნავს, რომ ყორნისი ხერხეულიძეებს ეკუთვნოდათო ³⁰.

ცხინვალელ ქართველ მოხუცთა გადმოცემითაც ხერხაულიძეები

²⁸ შდრ. ავარიული სიტყვა — წუნ, დიდოური ცეზ, რაც ორივე ენაზე არწივს ნიშნავს და დიდოელს აღნიშნავს. დიდოეთი ავარიულად წუნ დად იწოდება და ნიშნავს არწივთს, საარწივოს.

²⁹ „ქართლის ცხოვრება“, II, დ. ჩუბინაშვილის გამოც., პეტერბურდი, 1854, გვ. 489.

³⁰ ს. ბეზსონოვი. დასახ. ნაშრომი, გვ. 266.

ზოგი ხალხური გადმოცემაც ხერხეულიძეებს მესხად თვლის. იხ. დ. ქორიძე, ცხრა მძა ხერხეულიძე ქართულ ფოლკლორში. — გაზ. „თბილისი“, 1958 წ. 22 ნომბერო, № 263, გვ. 3.



(ხერხეულიძე) ყორნისელებია და მათი განშტოებაა ერგნეთში მცხოვრები ეს გვარი.

ა. ფურცელაძის პიესა „დიდ მოურავში“ ბააკა ხერხეულიძე მოქმედებს. ყორნისელი ოსების გადმოცემებში ლაპარაკია სააკაძის თანამებრძოლ ბააკა ხერხეულიძეზე. გადმოცემებითვე, 9 ძმის უფროსი პაატა იყო. სახელი პაატა ვერ მოგვეცემა ოსთა ქართულ თქმაში ბააკას; იგი ბააკას ფონეტიკური სახეცვლილება უნდა იყოს.

ისტორიულად ცნობილია, რომ შაჰ-აბასის წინააღმდეგ ბრძოლას 1625 წელს 300 დუშელ გლეხთან ერთად 9 ძმა ხერხეულიძემაც შესწირა თავი.

ი. გოგებაშვილი ამ ცხრა ხერხეულიძეს მარაბდელებად თვლის, მაგრამ იცის, რომ ისინი ბუდით ზემო ქართლიდან იყვნენ (იხ. მისი „ცხრა ძმა ხერხეულიძენი“).

ვახუშტი წერს:

„ხერხეულიძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას“; აქ „არს მოსვლა მისი შემდგომად გაყრილობისა“ (გეოგრაფია, გვ. 25).

საინტერესოა ყორნისის ტოპონიმებიც. ოსთა გამოთქმით, აქ ერთ მინდორს ეწოდება ციციკარა ან ციციკარა (ქართული — ცისკარა), ერთს უკვე უვენახო ადგილს — ბაღი, ტყეს — ბოჯირი (ქართული — ბოგირი), ერთ წყაროს — კოღი, საყდრის ერთ ნანგრევს — გიორგიწმინდა და სხვას სხვა ასეთი სახელები. აქვეა გორაკი კასრეთი (იხ. რუსთავი, კასრეთობა).

ყორნისის სასაფლაოზე ერთი საფლავის ქვის წარწერიდან ვგებულობთ, რომ „სტეფანე გრიგოლის ძე კოდოშვილი“ ჩუბდ (1884) წელს გარდაცვლილა; იქვე, მეორე ქვაზე ვკითხულობთ:

(ზემოდან)

„ნორჩი ყრმა ვიყავ ჯერეთ(,) მომისწრო უდროით სიკვდილმა(,) სამი ვაჟი დავტოვე და დედ-მამა მწუხარე(,) სწორ(-)

(სამხრეთით)

ამხანაგებს მოვშორდი(,) ფუჭათაც განვლო სწავლამ(,) სახელი დედ-მამისა სანატრელი სიხარულს აღარ მიველი(,) ცოლ-შვილზე ამალებინა ხელია(,) წამკითხველო(,) შენდობა

(ჩრდილოეთით)

ს გევედრით(,) ვარ ციცო კოდოშვილი ჰიბოს ძე(,) ვიყავ 34 წლი-
სა(,) ჩ ყ პ ე წელსა იანვრის 4 დღესა გარდავიცვალე“ (ე. ი.
1885 წ.).

(წარწერაში ყოველი სიტყვის შემდეგ წერტილია).

„...ჰიბოს ძე ჯიოშვილი ჩ ყ ო თ-ს წელს მარტის 5 დღესა“ (1879),
სალომე — ციცო ჯიოშვილის მეუღლე, სიმქოზაშვილის ასული —
1887 წელს, ნინო ეგაძე-გაბარაშვილი — ჩ ყ უ ბ-ს (1892), ...თეიმურა-
ზიძე ჩუტიშვილი — ჩ ყ ბ ე-ს (1895), მარია შავლაგა ჯიოშვილის
ასული — 1898 წელს, ალექსი ებას ძე კაჯაშვილი — 1898 წელს და
სხვა სხვა წელს გარდაიცვალნენ.

ერთ-ერთ საფლავის ქვაზე (ზემოდან) წერია:

„ღმერთო(,) მეც ღირსი გამხადე(,) სადაც

(სამხრეთით)

სამოთხე შენია(,) იქ მაინც ნათლათ მამყოფე(,)

რადგან სიკვდილი

ძნელია(,) მიწა, შენი ვარ, უფალო(,) სიკვდილი

სულის მტერია(,) ³¹.

ვარ როსტომა ლევანას ძე

(ჩრდილოეთიდან)

თედევი(,) აღვსრულდი ღვინობისათვის 20-ს დღე-
სა 1897-სა

წელსა(,) წამკითხველნო(,) შენდობა მიბრძანეთ(!)

От роду 28 лет“.

აქაც რომ ლექსის წყობა სტრიქონებში დარღვეულია, ვიმე-
ორებთ, ეს ეპიგრაფიკულ ძეგლებში ჩვეულებრივია.

თვით დოდოთში სხვათა მიერ ნაპოვნ არქეოლოგიურ ნივთებზე
აქ ცალკე არ მივუთითებთ, მათ შესახებ ზეობის სოფელთა შემაჯამე-
ბელ სტრიქონებში აღვნიშნავთ (იხ. რუსთავი).

დოდოთი

ცხინვალიდან დასავლეთით 7—8 კმ-ზე, (მ) ტილიანის ხეობაში,
უორნის—რუსთავს შორის, მდებარეობს ს. დოდოთი და მისი ძველი

³¹ წარწერაში ლექსის წყობა აგრეა დარღვეული.



ეკლესიის — დოდოთის ცხრაკარას ნანგრევები. ს. დოდოთის მიერ (და ბეჭდილია დოდეთი) 1865 წელს 16 კომლი ირიცხებოდა (სურამის უბნის სოფელი, სურ. № 54).

ვახუშტი ბაგრატიონი დავით გარეჯისა და ნათლისმცემლის შორის იხსენიებს სხვა დოდოს მონასტერს, რომელიც „ქმნა მამამან წმიდამან დოდომ“, მოწაფემ დავით გარეჯელისა და „დაფლულია იგი მუნვე“ (გვ. 90).

მაშასადამე, სახელი დოდო ძველადვე ყოფილა საქართველოში და ჩვენი ტოპონიმიკური სახელწოდებაც დოდოს სახელს შეიძლება დაუკავშირდეს, მაგრამ არა გარეჯის დოდოს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ზემოხსენებული დოდოთის ცხრაკარას ეკლესია.

ცხრაკარას სახელწოდებით რამდენიმე სიძველეა საქართველოში ცნობილი. მაგალითად, ზემო ალვანში არსებობს ცხრაკარას სასახლე (გვიან შუასაუკუნეებისა), მატანის ცხრაკარას მონასტრის ანსაბლი, V—VI ს. ბაზილიკური ეკლესიით, ოჟორის ცხრაკარა, დოდოთის ცხრაკარას ცხრა კარი ჰქონდაო და ამიტომ იწოდება აგრეთ (შდრ. ცხრაწყარო, მეგრული — ჩხოროწყუ).

დოდოთის ცხრაკარას სამხრეთ კართან არსებული ნუსხურნარევი მრგლოვანი წარწერა სხვადასხვა დროს იქნა წაკითხული და დაზუსტდა³². იგი, ქარაგმების განხნით, აგრეთ იკითხება: (სურ. № 55).

„ქ. სახელით(-)
ა ღმრთისათა³³ ივანე ე(-)
[რისთ] ავმან ტბელმან
აღაშენა³⁴ ესე წმიდაჲ ე(-)
კლესიაჲ სალო(-)
ცველად მისთუ(-)
ის³⁵ და ხუთთა ძე(-)
თ[ა მისთ] ³⁶
ათუის“

³² ამ ეკლესიისა და წარწერათა შესახებ იხ. ნ. შოშიაშვილი და ვ. ციხკარიშვილი. სოფელ დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. XIX-ა. 1957, გვ. 91—99; შდრ. რ. მეფისაშვილის წერილი კრებულში „ქართული ხელოვნება“, 4, თბ., 1956, გვ. 115 და სხვა. ცხრაკარა ნათ. ბრუნვა ცხრაკარის არ იქნება, უნდა ცხრაკას(ი).

³³ რ. მეფისაშვილი — ღმრთისათი! გვ. 115. წარწერები, სიტყვის ბოლოს წერია ი, მაგრამ ა-ღ უნდა წაიკითხოთ.

ივანე ტბელი ქართლის უფროსად (უფალი) ერედვის 906 წლის წარწერაშიც იხსენიება. დოდოთის ივანე ერისთავი³⁷ კი X ს. ბოლო მეოთხედში ცოცხალია. მაშასადამე, ეს ორი ივანე ერთი და იგივე არ ჩანს (სურ. № 56).

ერთ-ერთ ქვაზე იკითხება:

„ეხე ეკლესიაა ს(ა)ხლი...“

დოდოთის ეკლესიის დასავლეთი კარის თაღზე იხსენიება მეორე ისტორიული პიროვნება — ქავთარი — (სურ. 57).

„წმიდაო ნათლისმცემლო(,) მე(-)“

ოხ ექმენ მონასა ჴენსა

ტბელისა ძესა ქავთარსა

ორსავე ცხოვრება [შინა]“³⁸.

დოდოთის ეკლესიის სხვა წარწერებს აღარ ვეხებით იმიტომ, რომ მათში ადგილობრივი ისტორიული პირები არ იხსენიებიან.

ქავთარ ტბელი კი იხსენიება მეფე ბაგრატ მესამის (975—1014) დროს. ბაგრატი რომ გამეფდა და დასავლეთ საქართველოში საქმეები მოაგვარა, ქართლი ჯერ კიდევ განდგომილი ყოფილა. ბაგრატი გადმოსულა ქართლში. მისთვის წინააღმდეგობა ქავთარ ტბელს გაუწევია, — ქართლელნი „განდგენ თავისთვისად და იწინამძღურეს ქავთარ ტბელი“³⁹ მეფემ გაიმარჯვა.

რაკი ეს ბაგრატის გამეფების პირველ წლებში მოხდა, ეგევე ქავთარიც მათე საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის მოღვაწე უნდა იყოს.

ამავე თარიღს მხარს უჭერს აბასთუმნიდან თბილისში ჩამოტანილი ქვის წარწერაც, რომელშიც ისევ ქავთარ ერისთავი იხსენიება (ე. თაყაიშვილი)⁴⁰.

ივანე ერისთავი XI საუკუნისა და იოვანე ერისთავთ-ერისთავი

³⁴ ნ. შოშიაშვილი, ნ. ცისკარიშვილი, რ. მეფისაშვილი. — აღაშენა. დედანშია აღ შანა, მაგრამ აღაშენა უნდა წაიკითხოთ.

³⁵ დედანში სტრიქონი მეექვსე — მისთვის (ვაი).

³⁶ აჯობებდა მისთვის.

³⁷ ივანე ერისთავი იხსენიება XI ს. აღის (ახლა თურქეთშია) წარწერაში. იხ. „საქ. მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი“, 1953, გვ. 11.

³⁸ რ. მეფისაშვილი. იქვე, გვერდი 116.

³⁹ ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 126; აგრეთვე — „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1955, გვ. 376; იგივე წიგნი, ტ. IV, 1973, გვ. 138.



ბოეთის (ცხინვალიდან 20 კმ) ძეგლებშიც იხსენიებიან, მაგრამ მათი არსებობის ვრცელად დასტურების ივანე ვერ იქნებიან.

არც ის შეიძლება დავუშვათ, რომ დოდოთის ეკლესიის შენება 906 წ. ხსენებულმა ივანემ დაიწყო და დაასრულა თუნდაც მისმა შვილმა ქავთარმა. ეკლესიის შენება 50 წელს ვერ გავრძელებოდა. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იმასაც, რომ აბასთუმნის ზემოხსენებულ წარწერაში ქავთარ ერთ-ს-თან (ალბათ — ერისთავისა, როგორც ეს წაიკითხა კიდევ ე. თაყაიშვილმა, ერთად იხსენიება მამფალი არშუშა პატრიკი (ციტ. „კატალოგი“, გვ. 10; შდრ. ტბეთის წარწერის პეტრიკ ქავთარის ძე).

ნ. შოშიაშვილი და ვ. ცისკარიშვილი უფრო იქეთ იხრებიან, რომ დოდოთის პირველი წარწერა X ს-ის პირველი ნახევრით დათარიღდეს (გვ. 98).

ავტორები იმ გარემოებასაც აქცევენ ყურადღებას, რომ აქ სამი ლ-დან მხოლოდ ერთია მრგლოვანი, 2 კი ნუსხურის მოხაზულობისაა და ასეთსავე მოვლენაზე სწორად მიუთითებენ ერედვის 906 წლის წარწერაში, სადაც „ასომთავრულში ნუსხური დამწერლობის შერევა იწყება“-ო (გვ. 92). ეს მოვლენა კი ადრე ხელნაწერში იწყება და წარწერებში შემდეგ აისახა.

ავტორები მართლმაც ჩანან ბაგრატ მესამის მიერ 980 ქავთარის დამარცხების შემდეგ ეს წარწერა არ გაკეთდებოდაო (გვ. 95), მაგრამ საეჭვოა, რომ ეს ქავთარ 906 წლის წარწერის ივანეს თუნდაც უფროსი ვაჟი იყოს (შდრ. იქვე).

მომავალში ამ პირთა ურთიერთობა და დოდოთის ცხრაკარას და ტბეთის ბორცვისჯვრის ეკლესიის აგების თარიღებიც დაზუსტდება. ჭერჯერობით კი ჩვენ ასეთი სურათი გვეხატება: IX ს. ბოლოს დასრულდა დისევის ტაძარი; 906 წელს — ერედვისა, X ს. პირველი ნახევარში — საბიწმინდისა, X ს. 70-იან წლებში დოდოთის ცხრაკარა და X—XI ს. მიჯნაზე ტბეთის ბორცვისჯვარი.

რუსთავი

ცხინვალიდან სამხრეთ-დასავლეთით 17—18 კმ-ზე მდებარეობს ძარის გამგეობა. მისი სოფლებია: ძარი, დოდოთი, კვერნეთი, მებრუნე, რუსთავი, ბრილი, დამპალეთი (1949 წ.); ამათ, 1960 წ. ცნობარის მიხედვით, ემატება: ჩელეხსათა, გარდანთა და ჯაბიტა.

⁴⁰ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბ., 1953, გვ. 10.

სოფ. რუსთავს აღმოსავლეთით საზღვრავს ს. ძარი (აქაურ ოსურად ზაარ — ძარი, ხვირი, ჩელტი, ოსურად — ქუფ), სამხრეთით — ყორნისი, ჩრდილოეთით — ძარის მთები და დასავლეთით სოფელი თუ უბანი ჭეში⁴¹.

სოფელი რუსთავი ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დაშვებულ ფერდობზეა გაშენებული ისე, რომ სიგრძეზე გადაკვეთილ ძაბრს მოგვაგონებს. სოფლის ფართო თავის მხრივ გაჭიმული მთაგრეხილი დასავლეთით იწყება ნაქერალათი (ოსურად — ნაჩერალა). მას აღმოსავლეთით აგრძელებს ძარის მთები — გორი-კლდო (ასე წერია ხუთვერსიან რუკაზე, =კლდეს). ამ ადგილს ზაარი კე-ქახს⁴² (ძარის კლდე) უწოდებენ.

მასზევე ქედ-გორაკებია: ნაფუძვარი და კახრა. ურთ მათგანზე ნასოფლარს ოსები ჯიჭოითად ახსენებენ.

ამ მთებიდან გამოდის წყაროები და მათ დაუღარავთ სოფ. რუსთავის ზედაპირი. ეს წყლები მიედინებიან სოფლის ხეობის თანდათან დავიწროებულ სამხრეთისაკენ, უერთდებიან ერთმანეთს და ს. რუსთავის ბოლოსა და ყორნისის თავზე მოზრდილ ზედად (ტილიანის წყალი) მიედინება.

ამიტომ დასაჯერებელია, რომ ამ სოფელს სახელწოდება რუსთავი რუ-ს, რუების თავის, რუთა დასაწყისის მიხედვით დარქმევია. უნდა გავიხსენოთ ის გარემოებაც, რომ ამ რუებისაგან შემდგარი ტილიანის წყალი ფრონეს ერთვის. ფრონე კი სამხრეთით მიედინება და ერთვის მტკვარს. ამ შესართავის აღმოსავლეთით მდებარეობს ის-

⁴¹ ეს ქართული კეცი-ა. აქ იღებენ საჭურჭლე თიხას. ძველი ქართული კეცი — თიხა. ახალი ქართულით — თიხის ან ქვის ჭურჭელი, მჭადისა და მისთანათა საცხობი, ქართული კეცი — ოსური ჭეში. შდრ. კეხვი — ქეხვი, კრება — ქრება, თოკი — თოკი და სხვა.

კ-ს ჭ-ში გადასვლა შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს. მაგ., ი. გიულდენშტეტის 1771 წ. ჩანაწერებში. აღნიშნულია: „ქრცხინვალი — ოსურად კრება“ („მოგზაურობა საქართველოში“, ტ. I, თბ. 1962, გვ. 279), ე. ი. შაშინ ეს ქართულ კრებად წარმოითქმოდა და არა ქრებად. სიტყვა კეცი-ში კ-ს პალატალიზაციის (ჭ) გარდა, სისინა ც გაშიშინებულია შ, რაც ჩვეულებრივია სამხრეთ ოსთა მეტყველებაში ისევე, როგორც ქართ. ც-ს მეგრულში შეესატყვისება ჩ (კაცი — კოჩი).

ამგვარად, ცხადია, რომ ჭეში ქართ. კეცის ფონეტიკური სახეცვლილებაა. ამას სიტყვის ბოლო ი-ც მოწმობს; იგი ოსურში ქართულიდან შესულ სიტყვებში გვხვდება.

⁴² ჯავაში ისმის კაქახ. ლიტ. ოსური — კაძახ.



ტორიული რუისი (რუვისი) VIII—IX ს. არქიტექტურული
 ანსამბლით (შდრ. ტაძონიშვილი რუისი და რუსთავი).

რუსთავიდან სამხრეთით წუნარ-ნიქოზს შორის არსებობს სოფელი
 ტილიანი, ტილიანის წყლის მდ. ფრონეში შესართავთან.

სახელწოდება ტილიანი წარმომდგარი ჩანს ძველი ქართუ-
 ლი სიტყვა მტილისაგან, რაც ბოსტანს ნიშნავდა (მემტილე —
 მებოსტნე, მტილოვანი — ბოსტნეული).

რუსთავში რუებით — ტილიანის სათავეებით ირწყვება ბოსტნე-
 ბი. სოფ. ტილიანიც საბაღ-საბოსტნეა. ფორმა მტილიან-ში ბგერა მ-ს
 თავში დაკარგვა არაიშვიათია ქართულ კილოებში. მაშასადამე, ტი-
 ლიანი უწინ მტილიან ფორმით შეიძლებოდა არსებულებო. ამაზე
 ისიც მიგვანიშნებს, რომ ტაძონიში ტილიანი ადგილზე ისევე ძველ-
 ქართული მნიშვნელობით (ბოსტანი) ესმით, როგორც კეცი — თიხა
 (ოსური — ქეში).

ეს (მ) ტილიანი კიორეული გამოდის ჰერეთის რუსთავის
 ძველი ბოსტანქალაქის სახელწოდებისა (ახლანდელი მეტა-
 ლურგიული ქალაქი რუსთავი. მის ერთ-ერთ უბანს ახლაც ბოსტან-
 ქალაქი ეწოდება).

საქართველოში ოთხი რუსთავია ცნობილი: ხსენებულ
 მეტალურგიული ქალაქი, — ისტორიულად კუხეთის რუსთავი, ლა-
 გოდენის რაიონის ბაისუბნის სასოფლო-გამგეობის სოფელი რუსთავი,
 მესხეთის რუსთავი და ცხინვალის რაიონის რუსთავი (იხ. ჩვენ
 «Руставели и фольклор», თბ., 1960, გვ. 94).

ზემოთ (ყორნის) უკვე შევნიშნეთ, რომ 1865 წელს რუსთავში
 19 კომლი სახლებულა. აქ 1970 წლის 18—20 დეკემბერს ჩემთან
 ერთად იყო ცხინვალის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი, ის-
 ტორიკოსი მიხეილ შალვას ძე ცოტნიაშვილი. ადგილობრივი ელიოზ
 ივანეს ძე კოჩიევი (67 წლის), რუსთავის 8-წლიანი სკოლის
 მასწავლებლები: ვასილ ჯაბიევი (1913 წ. დაბად.), ევდოკია
 გიორგის ასული ჯიოევი და სხვები გვეუბნებიან: ახლა რუსთავში
 121 კომლი, სამასამდე სული, ცხოვრობსო. მათი გვარებია: ბაგაევი,
 გაზხაევი, თასოევი, თიბილოვი, თიგიევი, ოტტაევი, პლიევი, ქელეხ-
 საევი, ხარებოვი, ჯიოევი და სხვა.

მათ წინაპართა დასახლების შესახებ უმრავლესთა გადმოცემა
 ამბობს: ისინი აქ ქეშელთიდან (ჩესელთა, როკის მხრიდან) ჩამოსა-
 ხლდნენ სოფ. ქუთრთელი მაჩაბლების მიწაზე ასი წლის წინათო. მი-
 წის ყოველგვარი სარგებლის მესამედს უხდიდნენ მაჩაბლებსო.



ჯიჭოითას ქედებიდან რუსთავში ჩამომდინარე წყაროები (რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე) ისეთ ხევს (ღელეს) ქმნის, რომ ერთ მათგანზე გაზაფხულობით წისქვილიც კი ბრუნავს და ამიტომ მას ქუიროიდიონს (წისქვილის წყალს) უწოდებენ. ზაფხულობით მასში წყალი მცირდება, ვეღარ აბრუნებს და ბოსტნების სარწყავად იყენებენ.

შუა სოფელში არსებულ სასმელ წყალს კოდისწყაროს ეძახიან. სხვა ასეთსავე წყაროებს მათთან მცხოვრები უახლოესი გვარის ან ოჯახის თავკაცის სახელით აღნიშნავენ, მაგ., თანეთედონ, ბაგათედონ, სოლომანთედონ და სხვა.

ს. რუსთავს აღმოსავლეთით ჩამოუდის ლაშეთიდონ (ლაშის წყალი), დასავლეთით კი — ხოთეანთ ხევა.

სათეს-სათიბ ტოპონიმთაგან საყურადღებოა: ხოდაბული (ქართული ხოდაბუნი), ყორათეზახ (ყორაანთ მამული, კარი), წურბელიზახ (საწურბლია; წყალი ამოდის, ჭაობია), ქარდოჯენეკულ (მსხლიანი დაღმართი; ახლა იქ ვაშლის ბაღია), სყარალო, საყარალო (საყარაულო), რდუ (სათიბი), ოსკეთეწობი (ოსური წობი — ქართული ჭაობის ფონეტიკური ცვლილებაა), ბალითე (აქ უწინ ვენახი, შემდეგ კაკლის ხეები მდგარა) და სხვა.

ხილვეული (ვაშლი, მსხალი, ბალი, კაკალი) კარგად ხარობს. ვაზი იზრდება, მაგრამ ყურძენი დამწიფებას ვერ ასწრებს. წინათ კი როგორც ყორნისში, ისე რუსთავშიც ვენახები ჰქონიათ. ამიტომ აქ ქვევრებიც შემონახულა. გვიამბობენ: აქ დაკირული ქვევრი მოთხარეს ტრაქტორით, 400 ფუთი ჩავიდოდა (!) შიგ, ქარელის რაიონის ს. ტახტისძირში წაიღეს: 10—30 ფუთიან ქვევრებს კი ხშირად ვაწყდებითო.

ხაროებსაც ვხვდებით მიწაში (სახორბლე. ასეთი ხაროები უფრო ხშირად პატარა ლიხავის ხეობაში გვხვდება).

რუსთავში დიდი მუხა დგას. ადგილს მაირამქუევანდონს — მარიამის სალოცავს ეტყვიან (აქ 1970 წ. 21 ოქტომბ. ყოფილა დღეობა). აქვე აქვთ ხოშაუ ქუევანდონ (ოსური ხუშაუ, ლიტ. ხუცაუ — ღმერთი) — ღვთის სალოცავი.

ადგილობრივები მოკრძალებით ეპყრობიან ძუარზახს, ანუ ჯვარის (ეკლესიის) უბანს.

რუსთავის სასაფლაოზე (ეკლესიასთან) ქვები უმთავრესად 1880 წლის შემდეგაა დადგმული. მათზე ზემოხსენებული ოსური გვარები წერია.

სოფლის გარეთ ჯერმუხის მთაზე ასახელებენ სალოცავს და ნიშნავენ: ეს აქაური ჯერმუხია⁴³, მასზე ლიახვის ჯერმუხიდან და ხეწე-ვანელიდან ჩამოსახლებული გაზზავეები ცხოვრობდნენ, ახლასინიც რუსთავში სახლობენ.

„საქართველოს კულტურის ძეგლებში“ (1959 წ. გამოც.) რუსთავის სიძველედ დასახელებულია ეკლესია და გალავანი განვითარებული შუა საუკუნეებისა (გვ. 150). 1925 წ. აღრიცხვით კი აქვე ცაქაციხეც იხსენიება. ახლა რუსთავს შემორჩენია მხოლოდ ქვის ბაზილიკური ფორმის თალიანი მთავარანგელოზის (ოსურად თარანჯელოს) სახელობის ეკლესია (სიმაღლე — 4 მ, განი — 4,5 მ, კარიბჭე — 2,5 მ, სიგრძე — 10,5 მ). კედლის რამდენიმე ქვა 1-დან 2 მ სიგრძისა და 1 მ განისაცაა (ქვები შესწორებული ან ბუნებრივად ფიქლისებრია, სურ. № 58).

ეკლესიის გალავნის ნაშთიღა არსებობს. ციხეო (კოშკი?), — გვეუბნებიან, — 15—20 მ სიმაღლისა და ასე 50 კვ მ ფართობისა იყო. მას მესამე სართულზე გამოწეული ოთახი თუ აივანი ჰქონდაო. ეს ნაგებობა 1929 წელს დაუნგრევიათ და კოლმეურენობის სახლის მშენებლობაზე გამოუყენებიათ.

შუა სოფელში ასახელებენ ერთ ხის სახლს, რომელიც დაკეტილი გვახსოვსო. ერეკლე მეორე რომ ყორნის-რუსთავში მდგარაო, ამ სახლში თოფის წამალს ამზადებდნენო.

სოფელს კავშირი ჰქონია მისგან დაშორებული ეგრის მონასტერთან ეგრას მთაზე. ამ მონასტერს ღვთისმშობლისად იხსენიებენ. იქვე კოშკიც არსებულა. აქედან მთა-მთა მიდის ბილიკი კეხვის ციხესა და თირის მონასტერზე.

რუსთავსა და თორმანეულს შუა ასახელებენ მუხის ფიცრის ნაგებობას, რომელსაც რაღეუარი (მადლობის, წვერის ჯვარი) ჰქვია. მასშიო, — ამბობენ რუსთავში, — საკურთხეველის ქვაზე სანთლებს ვანთებდით ბავშვობასაო. მისი დღეობა 15, 20 ან 25 ივნისს იმართებოდა.

ამის შემდეგ, 6 კვირა გავიდოდა და კარასეთობას დღესასწაულ-

⁴³ ჯერმუხის მთაზე შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ქვისხანის შემსწავლელ ექსპედიციას (ხელმძღვანელი ალ. კალანდაძე) დადასტურებული აქვს მეზოლითური ხანის ნამოსახლარი. იხ. ალ. კალანდაძე. ქვისხანა საქართველოში. — „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, 1, თბ., 1970, გვ. 101, აგრეთვე რუკა.

ლობდნენ ყორნისის თავზე. კარასეთობაზე 1969 წელს 20 ივლისს ყორნისის მონასტერი დაარსდა, 1970 წ. კი — 4 ავეისტოს (იხ. ყორნისი).

თიღვა-ყორნის-ცხრაკარას გარდა, რუსთავი ისტორიული სხვა ძეგლებითაცაა გარემოცული. მისგან არცთუ ისე შორსაა განვითარებული შუა საუკუნეების ძეგლები: ნულის ციხე, ოქორის ცხრაკარა, ოქონის მონასტერი (შუა საუკუნეები) და ძალინას ციხე-კოშკი XVII—XVIII სს. სასახლითა და კოშკითურთ, სათიხარისა და სნეკვის X ს. ეკლესიები, ბოციჯვრის თუ ბორციჯვრის X—XI ს. ეკლესია ლაპიდარული წარწერებით, ტბეთი, თირის მონასტერი, თამარაშენი, აჩაბეთი, კეხვი და სხვა.

არქეოლოგი ალ. კალანდაძე წერს: „ყორნისში მოპოვებული მასალა ტექნოლოგიური ნიშნების მიხედვით (სტრატეგრაფიული მონაცემების უქონლობის პირობებში) შეიძლება მივაკუთვნოთ ე. წ. მუსტიერულ ეპოქას და აქედან ზედა პალეოლითზე გარდამავალ პერიოდს“⁴⁴. ყორნისი ასეთ იარაღ-ხელსაწყოთა აღმოჩენის მიხედვით მესამე პუნქტია ამ მხარეში (იქვე).

რუსთავიდან ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობს სოხთა, ქასაგინი, ნადარბაზევი, კობეთი და ქვაისა სიძველეთა ნანგრევებით. ეს სიძველეები X—XII საუკუნეებს განეკუთვნებიან⁴⁵.

როგორც დავინახეთ, ცხინვალ-ტბეთ-ყორნის-რუსთავ-სოხთასა და კეხვ-აჩაბეთ-თამარაშენში მოპოვებული ძველი და ახალი ქვისა და ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ცხინვალის მუზეუმშია დაცული, საერთო ინტერესს იმსახურებს. ეს ნივთები თავის ადგილს პოლლობს იმ ისტორიულ კულტურაში, რომელიც არსებობდა, ტრაპიზონიდან მოყოლებული ჭანეთ-შავშეთ-აჭარა-გურია-იმერეთ-რაჭა-ქვაისა — მთელ ქართლ-კახეთსა და მათ ირგვლივ არსებულ მიდამოებში.

ყორნის-დოდოთ-ქვასათალ-რუსთავიდან და ლიახვის ხეობის სათავეთა სოფლებიდან ცხინვალის მუზეუმში შეტანილი ბრინჯაოს

⁴⁴ ალ. კალანდაძე, საქართველოს წინაგვაროვნული საზოგადოების ისტორიისათვის. — ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956, გვ. 247.

⁴⁵ ი. მეგრელიძე, წარწერები და სხვა სიძველეები ფაწისა და ჯეჯორის ხეობებში. — ცხინვალის პედაგოგიკის შრომები, VII, 1959, გვ. 164—180. იხ. ქვემოთ.

ნივთები, კერძოდ — რუსთავის საკანკური და სამაჯური, არქეოლოგიის
გების: ე. პჩელინას, ბ. კუფტინის, ალ. კალანდაძის, ბაგ. ტენოვისა
და სხვების საერთო ყურადღებას იმსახურებენ⁴⁶.

წორბისის 880 წლის წარწერა⁴⁷

არქეოლოგმა ბაგრატ ტენოვმა მაცნობა: ბულდოზერმა გზის გა-
თხრისას მიწიდან წარწერიანი და ნახატებიანი ქვები ამოყარა, რომ-
ლებიც ცხინვალში ჩამოვიტანეთო (სურ. 59).

აღმოჩენის ადგილი მდებარეობს ცხინვალიდან ჩრდილო-დასავ-
ლეთით 28 კილომეტრზე, ყორნისის გამგეობის სოფელ წორ-
ბისიდან 8 კილომეტრზე, მდინარე ფრონის მარცხენა ნაპირის აყო-
ლებით მთის ფერდობზე ტყეში. აქ გამოვავლინეთ ნანგრევის მრგვა-
ლი სვეტის (კოლონის) ფუძის ქვა ირგვლივ გრეხილოვანი ჩუქურთ-
მით დაზოგი ასოს ნიშნით. აქვე ქართული აგურიც (30×20, სისქე
5 სმ) ჩანს. ადრევე ერთ ასეთ აგურზე ხელის მტევნის გამოსახულე-
ბა უნახავთ, ისიც ცხინვალში ინახება. ხელმისაწვდომი ქვები გავსინ-
ჯეთ, მაგრამ უმეტესობა ჯერ კიდევ გამოსავლენი და შესასწავლია.

წორბისის ამ სიძველის შესახებ ცნობა ლიტერატურაში არ
გვხვდება. ერთადერთი ვახუშტი ბაგრატიონია, რომელიც „საქართვე-
ლოს გეოგრაფიაში“ წერს: „ყონის ზეთ, წორბისს, ხტანის წყალ-
ზედ, მთასა შინა არს ციხე, მაგარი“. (1755 წ. გამოც. 1941 წ. გვ. 79).

ამ ნანგრევის ნაშთთაგან ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია მაგარი
ტუფის ღვინისფერი გათლილი ქვა (155×97, სისქე 20 სანტიმეტრი),
რომელზეც ძველი ქართული მრგვლოვანი ასოებით ამობურცულად
შესრულებული ორი წარწერაა მოთავსებული. მთავარია ქვის ცენ-
ტრში მოთავსებული 5-სტრიქონი, პორიზონტალურად რომ იკითხე-

⁴⁶ იხ. Е. Г. Пчелина, Археологическая карта Юго-Осетин, Средневеко-
вой период и новые века до XIX в. (ცხინვალის მუზეუმი); Б. А. Куфтин,
Археологическая экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, თბ., 1949,
იხ. ტაბულები; Б. В. Техов, Могильник эпохи поздней бронзы в с. Тли.—
Журн. «Советская археология», 1960, № 1, გვ. 163—178; Т. Н. Чубина-
швили, к истории культуры раннего этапа позднебронзовой эпохи Шида
Картли (автореферат), თბ., 1954.

⁴⁷ ამის შესახებ პუბლიკაცია დაიბეჭდა გავ. „კომუნისტში“ (1981 წ. 14 ივნისი,
№ 138, გვ. 4), აკად. აკ. შანიძის დასკვნით: „სასურველია, მალე დაიბეჭდოს პროფ.
ი. მეგრელიძის წერილი წორბისში ახლად აღმოჩენილი ქართული წარწერის შესა-
ხებ, რომელიც ერთი უძველესთაგანია და მრავალმხრივ არის საყურადღებო“.



ბა. მეორე კი მისგან მარცხნივ თავისუფალ ადგილზე გამოუყენებელი წარწერის ტექნიკურად შემსრულებელს 8 სტრიქონად თავისი სახელის აღნიშვნით, რომელიც ვერტიკალურად იკითხება. (სურ. 60).

დაქარაგმებულ (შემოკლებულ) სიტყვათა ასოების აღდგენითა და ძველქართული მრგვლოვანი ასოების თანამედროვე მხედრული ასოებით გადმოცემით, მთავარ წარწერას აგრე ვკითხულობთ:

„ს(ა) ხ (ე) ლ (ი) თა ღ (მ რ) თის(აა)თა ესე
კ (ო) ნ ქ ი ზ (ე) მნ(ა) ივ(ა)ნე
ერ(ი)სთ(ა)ვმ(ა)ნ (სალო)ცვ(ე)ლ(ა)დ
მ(ა)თდა ქრ (ო) ნ (ი) კ (ო) სა რს
ხ(ა)ზაის მ(ა)მ(ა)ს(ა)ხლ(ი)ს(ო)ბ(ა) სა“.

კიდის წარწერას კი აგრე ვშიფრავთ:

„(ი)ქ(მ)ნა გ(ე)ლ(ი)თა ბარვ(ე)ლის(აი)თა“.

ქრონიკონი რ ასს უდრის. ასეთ ძველ წარწერას უნდა მიემატოს ქართული წელთაღრიცხვის მეთორმეტე მოქცევის (ციკლის) 780 წელი და გამოდის, რომ იგი 880 წელს დაუწერიათ.

კიდის წარწერის დასაწყისში ასო ი-ს ნაშთი შეიმჩნევა, ე. ი. აქ ქ წარწერის დასაწყისის აღმნიშვნელი ტექნიკური ნიშანი არ უნდა იყოს.

ძირითადი წარწერის ცვლდ-ს ჩვენ მლოცველად ვკითხულობდით; აკად. აკ. შანიძემ სალოცველად წაიკითხა. მეოთხე სტრიქონის მათდა შეიძლება ივანე ერისთავის შვილებს გულისხმობს (შდრ. დოდოთის წარწერა — „სალოცველად... ხუთთა ძეთა“. იხ. „ლაპიდარული წარწერები“, I, თბილისი, 1980, გვ. 176). აკ. შანიძე თვლის შესაძლებლად, რომ ამ მათდა-ში მეფე იგულისხმებოდეს. მოსალოდნელია, წორბისშივე აღმოჩნდეს წარწერა, რომელიც ამასაც დააზუსტებს.

წარწერაში ნახსენები კონქი უმთავრესად საკურთხევლის ნახევარწრისებრ სახურავს ეწოდება (ივ. ჯავახიშვილი).

ამავე წარწერის ივანე მხოლოდ ერისთავია (მხარის მფლობელი). ლიტერატურაში კარგად ცნობილი ცხინვალის რაიონის ერედვის ტაძრის 906 წლის წარწერაში (ე. ი. კონქის შექმნის 26 წლის შემდეგ) იგივე ივანე ეპისკოპოსად იხსენიება, ხოლო ცხინვალიდან წორბისისაკენ მდებარე დოდოთის ე. წ. ცხრაკარას ეკლესიის წარწერით კი იგივე უკვე არის „ივანე ერისთავი ტბელი“, — აქაურივე ტბეთის „ეპარქიის“ გამგებელი.

დოდოთის ეკლესია არა XI საუკუნეში, როგორც ეს დღემდე ითვლებოდა, არამედ აგებულია X საუკუნის პირველ მეოთხედში. წორბისის წარწერა ამავე მხარის ზოგი სხვა ძეგლის დათარიღებაშიც გვეხმარება, საყურადღებოა პალეოგრაფიულად, ავსებს ქართული „ლაზიდარული წარწერების კორპუსს“, რომლის ორი წიგნი სულ ახლახან გამოიცა.

იგივე წარწერა კიდევ სხვა მხრივია საინტერესო, მაგრამ აქ მათზე მეტს ვეღარ შეეჩერდებით.

მეორე ქვა-ფიქალზე (117×67, სისქე — 25—26 სმ) ორი კაცია გამოსახული, შუაში ბრტყელი ჯვარი ყოფილა ამოზუტყული. ქვა კარის ან სარკმლის თალი უნდა იყოს (სურ. № 61).

მესამე (112×69, სისქე 27 სმ) გამოკვეთილი არიან სახედარზე მჯდომარე კაცი, (ხელში თითქოს წერაქვი უჭირავს) და მისი თანმხლები, რომელსაც თავთან აწერია: „ქ(რისტე) შ(ეი)წყ(ა)ლ(ე)!“ (სურ. № 62).

მეოთხე ქვა კედლის კუთხის ჩანს. ზედ მარცხნივ ჩარჩოში ჩასმული სამი ნიშანი აყვავებული ჯვარი და სხვა გამოსახულებებიცაა (სურ. 63).

მეხუთე მრგვალი სვეტის ფუძეა.


ნაგებობის მოცულობა ჩუქურთმიანი ქვები და აქაური სხვა ნაშთებიც სპეციალურ შესწავლას საჭიროებს, ალბათ, გათხრებიც იქნება საჭირო...

ძ ა ლ ი ნ ა


ძალინა მდ. ფრონის მარჯვენა ნაპირზე ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონული ცენტრიდან 5 კმ ვატანამდე (იტყვიან ხტანა-საც) 7 კმ-ზე გომართის ძირში მდებარეობს.

ძალინიდან 1 კმ-ზე ჩრდილო-დასავლეთით ტყიანი გორაა, რომელსაც ყველაწმინდას უწოდებენ.


ძალინაში შესასვლელს პირველი დიდი ციხეა, რომელშიც ამოზრდილია უზარმაზარი თელა. ციხის სამხრეთ-დასავლეთ მაღალ კედელზე ნაცრისფერი ქვაა ჯვრისა და ოთხკუთხი ხაზების გამოსახულებით. ციხე სართულებიანი ჩანს. შიგ მიწაა მაღალ კედლებამდე. ამ ციხის ჩრდილო-დასავლეთით 100 მეტრზე გიგანტი ცაცხვია, რომლის ძირის წრეწირი 12 მეტრია. დაახლოვებით 1 მეტრის სიმაღლეზე კი 8,5 მეტრია. ირგვლივ დიდი ლოდები აწყვია. ამ ცაცხვის ჩრდილო-დასავლეთით ეკლესიის ნანგრევია. სამხრეთი კედელი 7 მ,




43. სოფ. ტბეთი. „მაცხოვრის უბანი“. საგვარეულო
კოშკის შიდა ხედი.



44. აგნევის კვლესია



45. ნულის ციხე




46. აენევის ეკლესიის დეტალი



47. თიგვს კვლესია




48 თიღვის ეკლესიის ფანჯრის თავის წარწერა




49. ჯორბისის ეკლესია




50. ყორნისის ეკლესიის წარწერა



51. ყორნისის კომკი ხევის პირას




52. ყორნისის კოშკი



53. სოფ. ყორნისის ხევის ზემოთ მდებარე კოშკი




54. დოდოთის ეკლესია



55. დოდოთის ეკლესიის კარის თაღის წარწერა



58 რუსთავის ეკლესია



59. ლორბისის ეკლესიის ნანგრევების მრგვალი სვეტის ფუძის ქვა



60. წორბიის ეკლესიის წარწერა



61. წორბიის ეკლესიის ფანჯრის თავი



62. წორბისის ეკლესიის ფრაგმენტი



63. წორბისის ეკლესიის ფრაგმენტი

აღმოსავლეთის 5 მ, სიმაღლე 5 მ, რომელსაც ჰქონია თალი და ფრესკები ყოფილა. მისი წითელ-ყვითელ-შავზოლებიანი ნაშთი ახლაც ჩანს. კარი დასავლეთიდან ჰქონია, იქვე ძეგს უზარმაზარი ლოდი (სურ. № 64, № 65).

საკურთხევლის აღმოსავლეთის მარჯვენა მხარე მთელ სიგრძეზე კუთხეში გარღვეულია მიწისძვრით. გვითხრეს — აქ გეოლოგებმა ხუთი წლის წინათ აფეთქებები მოახდინეს და ამ მაცხოვრის ეკლესიის ეს კედელი მაშინ დაირღვაო. ასევე ამ აფეთქებებს დაუზიანებია ზედა ციხე.

მაცხოვრის ეკლესიის დასავლეთ კედელთან მხედრული წარწერით ქვაზე ფალავანდიშვი იკითხება. აქ აღმართულ საფლავის ქვაზე ჩოხოსანი მსხვილი ცაცი ვასილ ბადის ძე გაგიევი ყოფილა.

ზედა დიდი კოშკიდან, ქვედა კოშკისაკენ გვირაბის კვალია. ამ ციხეებს სათოფურები და სარკმელებიც აქვთ. დიდი კოშკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ხევს იმერეთხევს ეძახიან (აქ თურმე იმერლები ცხოვრობდნენ, რომლებიც ლეკებმა და ჭირის გაჩენამ გააქცია). იმერეთხევი ფრონეს ერთვის ძალინასთან მარჯვენა მხრიდან. ძალინადან ჩანს გომართის მწვერვალი.

გომართა

გომართა ყორნისის (ყოფილი ზნაურის) რაიონში, უკვე ცნობილი წორბისის სიძველეების იქით მდებარეობს ხტანის წყალს ზევით, ძალინას მხარეს ს. ვახატანიდან 6—7 კილომეტრით დაშორებული ტყიანი მთის თავზე თერეგვანის გამგეობაში.

გომართის მთიდან საჩხერეში გადადიან, საჩხერე-რაჭიდან კი აქეთ გადმოდიან იმერლები გომართის ჯვრის დღეობებზე...

გომართა ირგვლივ გარშემორტყმულია ცხინვალის, ჯავისა და ყორნისის რაიონების ისტორიული ძეგლებით (სურ. № 66).

გომართა ხუთვერსიან რუკაზეა ჯვრით აღნიშნული და უფრო ადრე ვახუშტი ბატონიშვილი (ბავრატიონი) შენიშნავს: თიღვას არსებობს მონასტერი, ხტანამდე სამხრეთიდან დგას ოყორის ტაძარი, ხოლო „ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გომართა, აწ ცარიელი. მუნიდამ წავალს გზა ლოხოსის მთასა ზედა და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ქალასა შინა“ („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 1941 წ. გამოცემა, გვ. 80).

გომართა სახელმწიფო დაცვაზე აყვანილი „საქართველოს კულტურის ძეგლების“ არც ერთ სიაში არ იხსენიება!

ვასაგები უნდა იყოს ის ინტერესი, რომელიც გამოიწვია საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის IV კურსის სტუდენტის ომარ ნიკორაშვილის ცნობამ: „გომართაზე ეკლესიის ნანგრევების კედლებზე კაცების ფერადი სურათებია [ფრესკები, ი. შ.] და ცალკე ქალია წელს ზეით დახატული, რომელზეც ამბობენ თამარ მეფეაო“... (სურ. № 67).

ომარის მამა ვახტანგ (აბელ) ნიკორაშვილი ნადირობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსია. მან ყოველი ბილიკი იცის აქაურ ხეობებში და ბევრჯერაც მხლებია სიძველეების დასათვალიერებლად. ახლაც მას მივმართე, წავიყვანე ჩემი ყოფილი სტუდენტი ცხინვალის პედიინსტიტუტიდან, ახლა გაზეთ „საბჭოთა ოსეთის“ კორესპონდენტი — გენადი კახნიაშვილი და ისევ ჩემი ყოფილი სტუდენტის ოთარ ჭაფარიძის „ვილისით“ 16. XII. 1981-ს გომართას მივუახლოვდით. ტყეში გადასახვევიდან თოვლზე ვიარეთ ფენით, ავედით ნანგრევებთან. ეკლესიის თალიანი ნაგებობის ჩრდილოეთი და დასავლეთი კედლები ჭერ კიდევ დგას (შიგნით 10 მ. სიგრძე, განი 7 მ. 50 სმ.).

ჩრდილოეთი კედლის პილასტრზე (კედლის წელსარტყელი) მალა მართლაც ჩანს გვირგვინოსანი ქალის გამოსახულება. მისგან შედარებით დაბლა (დასავლეთი მხრით) სამი გოლიათური ტანადობის მამაკაცის ფრესკებია. ერთს ასომთავრული ქართულით წითელი ასოებით აწერია „ზვიადი“. შეიმჩნევა წარწერის სხვა ნაშთებიც. დასავლეთ კედელზე შვიდი მამაკაცის ფრესკული გამოსახულებებია; მისგან სამხრეთით ქალის ფრესკის ნაშთია, ისე რომ ამ ქალის აღმართული ლამაზი ხელის მტევანი მამაკაცებისაკენაა მიმართული, ამათი ხელები კი ამ ქალისაკენ არიან გაწვდილნი... (სურ. № 68).

გადავიღეთ სურათები, მაგრამ მკრთალი გამოვიდა. აქ ვადგენთ ერთ მათგანს, რომელზეც „ზვიადი“ წერია და მნიშვნელობა აქვს ფრესკების დათარიღებისათვის; ნაგებობა კი შეიძლება უფრო ძველიც იყოს (სურ. № 69).

ზვიად (იგივე ზვიადა) ერისთავი (957—967 წლები) ცნობილია საქართველოს ისტორიაში („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ., 1973 წ., გვ. 441).

ალბათ მეორეა ზვიად ერისთავთერისთავი, რომელსაც მფარველობდა მეფე ბაგრატ III. ბაგრატმა იმეფა 35 წელი და გარდაიცვა-

ლა 1014 წელს ტაოს ფანასკერტის ციხეში. ხსენებულმა „ზვიადურისთავმა ბაგრატის გვამი წამოიღო ფანასკერტიდან და დამარხა ბედიას“ (ივ. ჯავახიშვილი, II, თბ., 1965, გვ. 133, 135), რაც მოხდა გიორგი I მეფის დროს (1014—1027).

ახლა აქ ამ წინასწარ ცნობებზე ვსვამთ წერტილს. სპეციალურ შესწავლას მოითხოვს ხსენებული ქალის ფრესკული გამოსახულება. თუ იგი მართლაც თამარ მეფეა, ეს იქნება მეხუთე, დღემდე უცნობი სურათი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

ვუცდით უფრო ხელსაყრელ ამინდიან დღეს, ნანგრევებში იქნებ წარწერებიც აღმოჩნდეს ან ფრესკების სპეციალისტის მიერ შესწავლამ ნათელი მოჰფინოს გომართის ეკლესიის უფრო სრულ ისტორიას.

საჩხერესთან გომართას კავშირი სავარაუდებელია მითაც, რომ გვარი გომართელი იმერეთის გორისაში გვხვდება. აქაურები იყვნენ მწერალი გიორგი წერეთელი და ექიმი ივანე გომართელი. გომართელთა წინაპრები, ალბათ, ამ გომართასთან იყვნენ დაკავშირებულინი.

საკითხების სპეციალური შესწავლა კიდევ მეტ სიახლეს გვპირდება.

[Faint, mostly illegible handwritten text, likely bleed-through from the reverse side of the page.]

თ ა ვ ი III

**წარწერები და სხვა სიძველეები ფაწისა და ჯეჯორის
ხეობებში**

ცხინვალიდან ჯავისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ს. გუფთის ოდნავ ზემოთ, მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადია მდ. ფაწა¹, რომელიც ხუთვერსიან რუკაზე პხაწად იწოდება. ფაწის ხეობა მთავორიანი და კლდეღრეებიანია. იგი ს. სოხთას ზემოთ ს. ყემულთიდან ორტოტიანდება. ერთ ხევს ს. ჯავისთავისაკენ (ოს. სართლათ) აქვს სათავე და მეორეს — ერწოს ტბაზე.

ერწოს მთა და მასზე მდებარე ამავე სახელწოდების ტბა ყოფს ერთმანეთისაგან ფაწისა და ჯეჯორის ხეობებს. ერწოდან ქვაისისაკენ გზა ჯერ ჯეჯორის მარცხენა შენაკადს — მდ. გრომულას და შემდეგ თვით ჯეჯორას მიჰყვება.

აქ პირველი სოფელია ზამთარეთი, მეორე — არაშენდა, ამისგან დასავლეთით, ხეობის პატარა განშტოებაში, — ქასაგინი (იხ. ქვემოთ), შემდეგ ისევ მთავარ გზაზე — ს. ნაკრეფა, ს. გულიანთა, უბანი — ნადარბაზევი (იხ. ქვემოთ), ს. ჩასაგალი, ქვაისა და კუდარო.

დასახელებული და ამ ხეობათა სხვა სოფლები ადმინისტრაციულად შედიან ჯავის რაიონის შემდეგ სასოფლო გამგეობებში: თვით ჯავის (ს. უგარდანთა, ლრჩვასი, ხუმისართა, შიხანთური (ძველ რუკაზე — ჩიხანთური) და სხვა, ყემულთის (ს. ყემულთა, აბანო, ბახუთა, ჩიტათა, ქოთანთო, მაჩხარა, სოხთა, თლია, ხიხათა, წოისი და სხვა), კიროვისა (ს. ვეზური, კობეთი, ლეთი, მასიგუთი, ნოგ-ყაუ, სთირმასივი, შუაჭალა და სხვა) და ჩასაგლისა (ფასრალი, კვატა, ხარლისარი, ქვაისა და სხვა).

ადგილმდებარეობა აქაც მთავორიანი და წიწვოვან-ფოთლოვანი ტყიანია.

¹ ფაწის წყალი ცივია, მასში ბევრი ორავული და კალმახია. ფაწის ხეობაში გაშენებული ს. ყემულთა ძალიან ლამაზიათ, — წერს 1882 წლის „იმედის“ (№ 2, გვ. 42—43) კორესპონდენტი.

ყორსევი და ქოთანთო

ს. ყორსევს ჯავის გამგეობის მერვე უბნად თვლიან. მასში 70 კომლამდე მცხოვრებია. სოფელი ჯავიდან მდებარეობს 7 კმ-ზე მდ. კადას დასავლეთით. აქ ნასაყდრალია, რომელსაც ყორსევე-ჟუ-არს (ყორსევის ჯვარს) უწოდებენ. ადგილობრივი სიმონ გიგოს ძე თედევი (1956 წ. 81 წლისაა, აქვე ბაგაევიც ცხოვრობენ) გვეუბნება, რომ მისი პაპა ძალიან ხნიერი გარდაიცვალა და მას არ ახსოვდა, რომ ეს ეკლესია მთელი და მოქმედი ყოფილიყო. ჩემი პაპის მამა თედე კავკაიდან მოსულა, ეს სოფელი გავრანებული დაჰხვედრია. აქ თედეს შესქენია 5 ვაჟი: ბიაზრი (აქედან — ბიაზრიშვილები-აო), რევაზი (თედეშვილებად იხსენიებოდნენო), გამზა, ხაზი და კიდევ ერთი... ეკლესიის ღვთობად „ჯივარგობას ვხდილობდით (ვიხდიდით), მღვდელი სარიტლათიდან ჩამოდირდა ხატობაზე და დაგვლოცავდა“.

აქვე მოსული 72 წლის მოხუცი ამბობს, ბიაზრიშვილი ვარო და ეკლესიას ღვირსევის სალოცავს უწოდებს (მდრ. ყორსევი და ღვირსევი).

სოფლის დასავლეთით მდებარე შაგათის ტყის ნაწილ ფასტუარსა და სოფლის ჩრდილოეთით მდებარე ტყე მოყოდონშიც ყოფილა ოდესღაც სალოცავი, რომელსაც დარყავის ჟუარს ეძახიან. მის აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე თითო ჯვრის გამოსახულება ყოფილა.

ყორსევიში ციხეა, მისი ჩრდილოეთი კედლის სიგრძე 17 მ-მდეა, სიმაღლე — 3-4 მ-მდე (გალავანში სამი სახლი მდგარა). ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში კოშკი დგას, რომლის აღმ. კედელი 7 მ-ზე მეტია, სიმაღლე 15 მ-მდე იქნება. თვით ყორსევი მთაზე მდებარეობს და ეს ციხე-კოშკი მისი სიმაგრე ყოფილა.

ყორსევიდან ქოთანთოში მიმავალი გზის მარცხნივ მთაზე პატარა ქვის ეკლესიაა, რომელსაც სამხრეთიდან, კედლის მთელ სიგრძეზე, კარიბჭე ჰქონია. ეკლესიის სიგრძე — 6,80 მ, განი — 5,30 მ, კარიბჭის განი 1,50 მ, კედლის სიმაღლე — 3,50 მ. ნაგებობას შიგნით ისეთივე სარტყელი აქვს, როგორც დგვრისში ელიოზიშვილების ეკლესიას ჰქონდა. საკურთხეველში 2 კედლის თაროა. ეკლესიას კარი აქვს სამხრეთიდან, აქედან შესანიშნავი ხედია ირგვლივ.

თვით ქოთანთოში (ყემულთიდან 2 კმ) 30 კომლი ცხოვრობს, მათ უმრავლესობას ბიაზროვები (ბიაზრიშვილები) შეადგენენ.

ქვემო ქოთანთოში გორაკზე ეკლესია ყოფილა. მისი რამდენიმე



თლილი ქვა მახლობლად არსებულ დაუმთავრებელ ნაგებობებშია გამოყენებული. სოფლის სასაფლაო ცალკე გორაკზეა, რომელთანაც ბებერი მუხები და ურთხმლები დგას.

ქოთანთოსა და ყემულთას შორის არსებულ პატარა ხევს (წისკვილებია ზედ) ადგილობრივები პატარა ლიახვს უწოდებენ. (ცნობილი პატარა ლიახვი ცხინვალისა და გორის რაიონებში სხვაა).

სხვათა შორის, აქვე შევნიშნავთ, რომ სოხთელი მასწავლებლის იაკობ თოთოს ძე ქოზაგვის თქმით, სოხთის (იხ. ქვემოთ) დღეობა გუშინ, სამშაბათს, 14. VIII. 1956 წ., აღნიშნეს; გუშინვე ყოფილა გუფთისა და წონის (ერწოს იქით) სალოცავების დღეობაცა. სოხთელებს ძროხა და ცხვარი საერთო დაეკლათ, სოლო სამ-სამი ხაბიყინი და თითო ბოთლი არაყი თითო ოჯახს მიეტანა ჩვეულებისამებრ.

ეთნოგრაფიულადაა საინტერესო და ისევ აქვე შევნიშნავთ: ხსენებული ი. ქოზაგვი და მოხუცი სოხთელები ამბობენ, რომ წინათ ჩხუბი ქორწილისა და ქელების თანმხლები იყო, საეკლესიო დღესასწაულზე კი ჩხუბს გაუბოძდნენ, მაგრამ არყით დამთვრლებს რაღა ეკითხებოდათ, და იყო შემთხვევები, რომ ასეთი ჩხუბის დროს ბავშვიც კი გაუთელავთ ფეხებს ქვეშო. ახლა ვევლებით თავზე ბავშვებს, თორემ წინათ მისით იზრდებოდნენ; უკეთ რომ ვთქვათ, ასე მოაჩნდათ, ბავშვი დაიბადა და გაიზრდებოდა, სუსტ ხბოს მეტი ყურადღებით ეპყრობოდნენ, ვიდრე სუსტ ბავშვსო.

სიტყვა, სასმელი, საუკეთესო ნაჭერი კერძიდან და საერთო პატივისცემა დღეობაზეც უფროსის იყო. უმცროსები უფროსების მორჩილნი იყვნენ. უმცროსებს ჰმარებდათ აგრეთვე სტუმრისა და იმისი ცხენის მოვლაც.

სოხთა

ეს სოფელი მდ. ფაწის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს.

სოხთა არქეოლოგიურ ლიტერატურაში უკვე ცნობილი პუნქტია. აქ აღმოჩენილია ბრინჯაოს ნივთები, რომლებიც ელინურ ეპოქას განაკუთვნეს².

² Б. А. Куфтин. Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, тб., 1949, გვ. 21—23. იქვეა დასახელებული სათანადო ცნობები და ლიტერატურა. დამატებით უნდა დავასახელოთ ე. გ. პჩელინას ნაშრომი სოხთის, უსძუარისა და როკის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა სამხრეთ ოსეთის სამეცნ.-კვლევითი ინსტიტუტის „იზვესტიაში“, ტ. XV, ცხინვალი, 1969, გვ. 131—154, რუსულ ენაზე.

ს. სოხთაში გვარად ოსტაევეები ცხოვრობენ. იგკო ნონეს ტაევის (1954 წ. 85 წლისაა, ჭარმაგი კაცი) თქმით, გვარის წინაპარი იყო ოსიტაშვილი. იგი თიღვიდან მოსულა აქაო. თიღვაში ახლაც გვყავს ნათესაეები — ოსიტაშვილები. ერთ-ერთ ჩვენს წინაპარს, — დასძენს იგკო, — რაჭაში ქალი მოუტაცებია, დასდევნებთან, მომტაცებელი მეორე დღეს მოუკლავთ და მის ცხენთან ერთად დაუსაფლავებიათო. მოტაცებულ ქალს შესძენია ვაჟი, რომლისათვისაც ბითი დაურქმევიათ. ბითის შვილები ყოფილან: ჯიო, ქოქო, გასი, ოსტა და ქარსან. თქმულებით, თითოეულის შვილს წინაპრის სახელით შექმნიათ გვარი: — ჯიოშვილი, ქოქოშვილი, გასიშვილი, ოსტაშვილი და ქარსანიშვილი. გვარად პირველი ოსტაშვილი ყოფილა ოსტას ვაჟი გუჯი; ამისი შვილები იყვნენო: ხივა, რევაზ, ზალო (ზა-ალ) და ლევან.

სხვა თქმულებით, ოსტაევებს თავიანთი წინაპარი ს. გუფთიდან მოსულად მიაჩნიათ. ნათესაეებს ს. წრუშიც ასახელებენ.

იგკო მიგვითითებს ადგილზე სოხთიდან ქოთანთოსაკენ, სადაც სარკოფაგები აღმოჩნდა.

ბ. კუფტინი ასახელებს ყემულთიდან ქეშელთისაკენ მაირამ-ყუარს (მარიამის ჯვარი) ს. მაირამში (ქელესხაევეების სოფელი) და მას ადარებს ლამაზსა და თვალსაჩინო ადგილზე მდებარე სოხთის ჯვარს. თვით ახალშენთასა და ჯავისთავის ჯვრების აშენებას ხალხი თამარ მეფეს მიაწერს, მაგრამ ზოგიერთი სიძველე მათგან უფრო ძველიც უნდა იყოს (სურ. № 70).

იგკო მუდამ სოხთაში ცხოვრობს. სოხთის ეკლესია იმ დანგრეულ მდგომარეობაში ახსოვს, რომელშიც ახლაა. მიუხედავად იმისა, რომ მასში წირვა აღარ იყო, მისი დღეობა აღინიშნებოდა დიდის ამბით ყოველი 3 აგვისტოსაო. იმავე სოხთაში, ეკლესიიდან დასავლეთით, ახალშენთის ჯვრის დღეობა 18 ივლისს იმართებოდა. ამ ჯვრის ირგვლივ 50—60 ჰექტარი ტყე ჯვრისად ითვლებოდა და მას არ ეხებოდნენო (სურ. № 71, № 72).

გადმოცემით, ახალშენთაში ერთ დროს შავი ჭირი გაჩენილა და რომლებიც გადარჩნენ, აქედან აიყარნენო. ზოგიერთი იმასაც დასძენს, რომ თურქეთში გადასახლდნენ და იქ მეორე ახალშენთა შექმნესო.

სოხთის ეკლესიაში ერთი გვირაბია, რომელიც ეკლესიის აღმო-



სავლეთით, კლდის ფენზე, მდებარე წყარომდე აღწევს. ამჟამად 300 მ სიგრძე აქვს გვირაბსო.

ლეკიანობის დროს ეკლესიის ციხეში შესულან სოხთელები, მათ ლეკები დიდხანს უტევდნენ გარედან, მაგრამ ვერაფერი დააკლესო, და როდესაც გაიგეს, რომ წყალზე გზა ზვრელით გადის, ლეკებმა აიკრეს გუღა-ნაბადი და წავიდნენო. გადმოცემით, ეკლესიის ერთი ქვის წარწერაში აღნიშნულიაო, რომ ამ ეკლესიის ციხე რომც ვინმემ დაანგრეოს, ციხის ბურჯში იმდენი ფულია ჩატანებული, რომ უკეთესს ააგებენო. ეკლესიის იმ დიდ შავ ქვას, რომელსაც დიდოთი-დან თვლიან მოტანილად, აქვს ივანე კალატოზის წარწერა⁴ (იხ. ქვემოთ). ამ წარწერაში ასეთი ფულის შესახებ არაფერია აღნიშნული, ეს მხოლოდ თქმულებაა.

სოხთის არქიტექტურული კომპლექსი ოთხი ნაგებობისაგან შედგება: — 1. გალავანი, 2. ეკლესია (სიგრძე — 11 მ., განი — 7, მაღალი კედლებით), 3. ციხე და 4. ე. წ. საწყობი.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ეკლესიის ნანგრევის შუაგულში ხვრელია, რომელიც გვირაბით წყაროზე ჩადის.

ეკლესიის ნანგრევებთაგან ერთ მუქი ფერის ქვაზე (სიმაღლე — 95 სმ და განი — 77 სმ) მსხვილი ქართული ნუსხური ჩაჭრილი ასოებით წერია: (სურ. № 73).

„სყდროდბსო
 შწყეთე (ქვა დაზიანებულია ძველადვე)
 სლსალთსა გსგვ(?) გ
 წო ეკლესო შწყე
 ივანე კლტზი“.

ქარაგმების გახსნით:

„საყდარო დიდებისაო (.)
 შეიწყალე თე...
 სულსა...
 წმიდაო ეკლესიაო (.) შეიწყალე
 ივანე კალატოზი“⁶.

⁴ ივანე კალატოზის ეს წარწერა (X ს. ბოლოსი) საინტერესოა ამავე მხარეში მდებარე დოდოთის ცხრაკარას (და არა ცხრაკარის, X ს. I ნახევარი) ეკლესიის წარწერასთან შესადარებლადაც.

⁵ შდრ. ქვემოთ ივანე. აქ — თე თევდორე.

⁶ შდრ. ვახტანგ ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, თბილისი, 1956, გვ. 36 და 66.

მეორე ქვა, რომლის სიმაღლე 48 სმ და განი 31 სმ-ია, წარმოადგენს მხატვრულ დიდ ჯვარს, რომლის გვერდებზე წერია:

„იე	(დო) შმ
გ ^ს	ოქ
ვე	მე
ღე	დო
სლ ^{სა}	შწინ
გ ^ი	ივანე თ ^ე
ქ ^ე შწ ^ყ	კალა
ლე	ტ(ო)ზის
ა	(სოლ)ი და
	მ... დი(?) გვ
	ი“

„...სულსა, გიორგი, ქრისტე, შეიწყალე...
დიდო შემოქმედო, შწინ... ივანე თ^ე კალატოზის სუ-
ლი და“...

ერთ-ერთი მხატვრული ქვა (სიმაღლით 22 სმ, განი — 34 სმ) წარმოადგენს წრეში ჩახატულ ფრინველს (სტილიზებულ ქათამს ჰვავს). ქვაზე ირჩევა ზემოხსენებული ტიპის ასოები (სურ. № 74):

“აღ	ჭ	
ი	შლ(?)	ყლ
	პ	ქ
დ(ე)ზა	ილ	ა.“

ქვა გატეხილია, მაგრამ „ყლ ქა“ იქვეა მოტეხილ ქვაზე. პირვე-
ლი სიტყვები „ა დი დე“ იკითხება, მაგრამ შემდეგს ვერ ვარ-
ჩევთ.

ნანგრევებში სხვა ქვებიცაა, რომელზეც ჩუქურთმები ან წმიდა-
თა გამოსახულებანი ჩანან.

ერთ-ერთ ქვაზე წმ. გიორგის ცხენია გამოსახული ფეხებთან გვე-
ლით, მაგრამ გიორგი არ ჩანს ცხენზე (სურ. № 75).

მეორეზე ორი არწივი დგას ცალ-ცალკე კურდღელზე; მესამეზე
ადამიანის გამოსახულებაა. ერთზე ნახევარი სახე (ცალი თვალი,
ცხვირი და ყბა წვერ-ულვაშით) და ორი დაღარული წრეა; ერთზეც
ორი ბოძია გამოკვეთილი, სხვებზე ჩუქურთმებია (სურ. 76).

ეკლესია წარწერათა პალეოგრაფიული, ჩუქურთმებისა და ნაგე-
ბობის ნიშნების მიხედვით მეათე საუკუნის ბოლოს ეკუთვნის?

ს. ერწოს აღმოსავლეთით მდებარეობს ს. ჯავისთავი (ოს. სართლათ). 1865 წელს დასახლებულია ჯავისთავის საზოგადოება, რომელშიც შედიან სოფლები: ჯავისთავი (19 კომლი), ყემულთა (12 კომლი), ერწო (14 კომლი) და წონა (12 კომლი) — სულ 57 კომლი გლეხი. ეს ჯავისთავი ისევე არაა თვით ჯავა, როგორც ფაწას ხეობის ერწო სხვაა, ვიდრე თიანეთისაკენ არსებული ერწო.

სოფელი ჯავისთავი მაღალ მთაზე მდებარეობს. მწვერვალის მოედანზე ახლა ყორექვის ეკლესიის ნანგრევია (სიგრძე — 10 მ, განი — 6 მ, კედლის სიმაღლე 3,30 მ-მდე, აღმოსავლეთი კედელი 6 მ-მდეც იქნება), ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებში თითო დიდი კარია (სიმაღლე 2 მ, განი — 1,10 მ-მდე).

ნაგებობა ამ სახით ახალია, მაგრამ მის აღმოსავლეთ ფასადში (სარკმლის ზემოდან) 4 ჩუქურთმიანი ქვაა. ერთზე ჯვარია გამოსახული. პირველი ქვა სიმაღლითა და სიგანით — 50×23 სმ., მეორე — 34×28 სმ, მესამე — 34×28, მეოთხე — 28×40 (ჩანს, ეს ქვა ძველი სარკმლის თავი იყო; მასზე 3 პატარა ჯვარია გამოსახული).

ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეშიცაა მოქცეული ძველი შენობის ნაწილი; ძველი ეკლესია X საუკუნის ჩანს.

ეკლესიიდან ჩრდილოეთით საფლავის ქვაზე ვკითხულობთ:

„მომიხსენე (.) უფალო (.) სუფევითა შენითა (.)
ვა (-)

რ კეკე რაჯამი თედეშვილის ასული
(ქვის სამხრ. მხარეზე).

მოშკა ბაგაური (ს)⁸ მეუღლე (.) სახში⁹ დამჩა
1 ქალი (.)

შობითგან ვიყავი 25 წლის (.) გარდაიცვალა
(ჩრდ.)

1890 წელს ანკენისთვის¹⁰ 8 დღესა“ (.)

⁷ შდრ. ვ. ბერიძე. ძველი ქართული ხუროთმოძღვრები, გვ. 36; წიგნში „საქართველოს სსრ სახელმწიფო დაცვაზე აყვანილ არქიტექტურის ძეგლთა სია“, თბილისი, 1952, გვ. 64, კორექტურული შეცდომის გამო, დაბეჭდილია „სხოთა“; უნდა იყოს „სოხთა“. ეკლესია ერთნავიანია, X—XI საუკუნეებისაა.

⁸ მარცვალი გა აუ-ს აწერია ზემოდან.

⁹ ასეა.

¹⁰ თვის ცალკე სიტყვად წერია.

ეკლესიის აღმოსავლეთით მდებარე საფლავის ქვაზე იკითხება
„საფლავის შინა მდებარე არის [გვამი.] გარ-
დაცვა(-)ლებულის როსებ თომას ძე ბაგაევი (სა.)

(სამხრ.)

სასუფეველსა შენსა მომიხსენე (ამოტეხილია)
მე (.) უფალო (.) ოდეს მოხვიდე სუფევეთა
შენითა (.)

(ჩრდ.)

წამკითხველნო (.) შენდობა გვიბოძეთ (.) გარ-
და(-)ვიცვალე 1891 წ. ღვინობისთვის 27 დღესა“.

ეკლესიის მახლობლად ერთ-ერთ დიდ ზარზე იკითხება, რომ იგი
კავკასიაში მართმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგა-
დოების ხარჯზეა შექმნილი; ჩამოსხმულია 1895 წელს სარატოვში,
აქაური ქერივი ქალის ქარხანაშიო (რუსულად).

ს. ჯავისთავის აღმოსავლეთ უბანს შიტათა (შიტაანთი) ეწო-
დება. შიგ, კოშკი დგას და 3 კომლი სახლობს, ჩრდილო-დასავლეთ-
ით უბანშია 8 კომლი მოსეთა.

ერთ-ერთ მახლობელ სალოცავს გუგომ-ყუარს ეძახიან. ნანგრე-
ვია შემორჩენილი. მისი დღესასწაული მარიამობის შემდეგ პირველ
ორშაბათს იმართებოდა (აგვისტოს ბოლოს უწევდა). სოფლის ჩრდი-
ლოეთ მხარეზე, რაღყუარი (ქედის ჯვარი) მდებარეობს (დღესასწაუ-
ლობენ 30—31 ივნისს; წელს აქ სამი დეკეული დაეკლათ და 5 დღე
ელხინათ), ხოლო სამხრეთით (სათიბებში, დაბლობზე) მდებარე
ქვებს ხუსარ-ყუარს (ოს. ხუსსარ) სამხრეთის ჯვარს უწოდებენ.

ადგილობრივი მცხოვრებნი რუთენ და სამსონ ბაგაევები და ნაკ-
რეფელი ბიძინა იაგორის ძე ნანობაშვილი (1892 წ. დაბ.) გვეუბნე-
ბიან, რომ ჯავისთავის ეკლესიის ნანგრევების ქვების ნაწილი იმ სკო-
ლის მშენებლობაზე იქნა გამოყენებული, რომელიც დაიწვაო. ამას-
თანავე შენიშნავენ, რომ ამ სოფლის მოსახლეობის ნაწილი კახეთში
გადასახლდაო.

ე რ წ ო

ფაწის ხეობიდან გრომულას ხეობაში გადასასვლელ უღელტე-
ხილზე (ყემულთიდან ქვაისის გზაზე), წობის გამგეობაში შე-
დის ს. ერწო, რომელიც მთაზე დგას. ვახუშტის თქმით: „გულოვან-

თას აღმოსავალ-სამხრით, მცირეს მთას იქით, არს წონა, ლი განმოხვეული მთებიტა და შინაგან ვაკე. აქ არს მცირე ტბა¹¹ (გვ. 160).

ერწოში თედევები ცხოვრობენ (15 კომლი). სოფელში ახალი სასაფლაოა (1896 წ. წარწერით) და ხევს გაღმა დგას ყორექვის ეკლესიის კედლები, რომელშიც დიდი ხეებია აღმართული. ეკლესიას თრეფთონის ქუარს, ანუ ახლო საყდარს, უწოდებენ; მის დღეობას ივნისში აღნიშნავდნენ. ისტორიული მნიშვნელობის წარწერებს აქ ვერ ვხედავთ.

ქ ა ს ა გ ი ნ ი

ქასაგინი (ქასაგინა, ოს. ქასაჯენ) მდებარეობს ქვაისიდან 12 კმ დაშორებით ცხინვალის გზაზე, მდ. კლამურას მარცხენა ნაპირზე, ცაგათისა და კახირის მთებს შორის.

სიტყვის ძირი ოს. ქასაგ ნიშნავს კალმახს, ჯგნ=ქართ. იანს, — ოვანს, ე. ი. ქასაგ-ჯგნ, შემდეგ ქ-ს ჯ-დ ცვლით ქასაჯ-ჯგნ, ნიშნავს კალმახოვანს, კალმახიანს. ამ სოფელს ზევით ადვილს სგნთბადან ჰქვია. ოს. სგნთ—ყო-რანი, ბადან—საჯდომი (ი. კავკაზავი. შდრ. ქართ. საყორნია).

საჩინო ქალმანის ძე გაგიევი (გაგიშვილი, 1954 წ. 80 წლის, კიდევ ჯანმრთელი და გამრჯე კაცი) გვიამბობს, რომ აქ მოსულა პაპამისი სტირმასიგიდან (ს. დიდი ციხე, იხ. ქვემოთ, კობეთი), რომელსაც აქ ერთი ძველი ეკლესია უნახავს ტყეში და მასთან დასახლებულა (თარიღიანი საფლავის ქვები აქ 1904 წ. ადრინდელი არ გვხვდება).

ამ ეკლესიის ნანგრევები ახლაცაა ამ სოფელში და მასთანავე არსებული კოშკის ქვეშ გამოქვაბული (ოთახისებური) ორი აკლდამაა (ოს. ზაპად). აკლდამებს კარი ჩრდილოეთიდან ჰქონიათ. ერთ-ერთ მათგანში შევედით კიდევ, შიგ მრავალი ძვალი (9 თავის ქალა) ყრია (აკლდამის განი — 2,10 მ, სიგრძე — 5 მ, სიმაღლე — 0,70 მ).

ს. გაგიევი ამბობს, რომ ეკლესიის ნანგრევთა ქვებს დაუპირეს

¹¹ მახლობლადვე ასახელებს ვახუშტი ს. წედისს, სადაც მცირე ციხეაო, შენიშნავს ავტორი. და დასძენს: „აქ არს ლითონი ოკინისა, და იღებენ მრავალსა“ (გეოგრაფია..., გვ. 160). წედისი რაქას ეკუთვნის.

წაღება 1922 წელს ს. კიროვში, მაგრამ ქასაგინელებმა არ დატოვეს ბეთ. მე თვით ვიშოვე 7 ოსტატი (რაჭველები), ეს სკოლა ავაშენეთ, რომელშიც ახლა რვაწლედიანო.

ეკლესია ვისი სახელობის ყოფილა არ ვიცითო, რადგან აქ არავინ დახვედრია ჩვენს წინაპრებს, ოღონდ ვლესასწაულობლით კიო აღდგომასა და გიორგობასაო. ყოფილი ეკლესიის აღმოსავლეთით ქვის ორი მაღალი და მრგვალი ბოძი დგას. ნაგებობა სამრეკლოსი უნდა იყოს ან სასახლისა (სურ. № 77).

სკოლის აღმოსავლეთი კედლის ერთ ძველ ქვაზე ნუსხური ზ (თუ შ?) ასოა ჩაჭრილი. ერთ ქვაზე ასოს ოდენა ჯვარი (ან ქ ასო) ჩანს; მის ზევეთაც ქ, ჯ ასოების კვალია.

ერთ ქვაზე წრეში ჩასმული ბრტყელი ჯვარია გამოსახული (სურ. № 78).

ერთ-ერთ საყურადღებო ჩუქურთმოვან ფილაზე (კარის მარჯვენა), ძალიან ლამაზად, ლომია¹² გამოქანდაკებული (სურ. № 79) და ფანჯრის ქვეშ (მარცხნივ) კი ვეშაპის თავია გამოსახული. იქვე ფეხი ჩანს და ცალკე ქვაზე ლომი და ხარია გამოკვეთილი. ჩანს, ერთ დროს წარწერიანი ქვებიც.

სკოლის კიბის ასავალთან მიწაში ერთი „კორხლიანი“ ქვა იდო ფეხის საწმენდად. ჩვენ ქვა გავწმინდეთ და ზედ ნუსხური ჩ (ან ნ) ო, გ, ტ, ო, ა, ს, ა, ს, თ, (ან ჰ, ლ), (?), ასოების კვალი გამოვაჩინეთ.

სკოლის სამხრეთი კედლის ერთ ქვაზე (განით 1,10 მ. სიმაღლე 0,52 მ.) ნუსხური შ ან ზ ასოა გამოსახული (X—XI ს.).

ნ ა დ რ ბ ა ზ ე მ ი

ეს სოფელი ცხინვალიდან ქვაისაში მიმავალი გზის მარცხნივ, ფერდობზე, მდებარეობს. ამ მიდამოებს კულაროსაც უწოდებენ, მაგრამ ახლა კულარო სხვაა (იხ. ქვემოთ). სოფელ ნადარბაზევში (ოს. ნადარბან) არის დარბაზისა და ტაძრის ნანგრევები, უზარმაზარი ქვის მრგვალი ბოძები (მთლიანი ქვის სიმაღლე 1,28 მ, წრეწირი— 2 მ-მდე, დიამეტრი — 63 სმ), მათი თავები, ჩუქურთმოვანი და გამოსახულებიანი ქვები.

ერთ-ერთ ჩუქურთმოვან ქვაზე (სიმაღლე — 59 სმ, განი — 74)

¹² შდრ. ლომი ანისის სიძველეებიდან; იხ. «История армянского народа», ტ. I, ერევანი, 1951, გვ. 129. ქასაგინშივე, იმავე სიძველის საარქლოს ქვაზეცაა ლომის გამოსახულება, მაგრამ იგი პრიმიტიულია, სახე კატას მიუგავს.



ორთავიანი ვეშაპის გამოსახულებაა. ვეშაპს აქვს რქის იმდენივე უჩანს კბილები და ენა აქვს გამოშვებული ნაცვლად იმ იონასი, რომელიც ქვაისაჯვრის ტაძრის ნანგრევთა ქვაზე გვხვდება (სურ. № 80).

ერთ ქვაზე (54X67 სმ) ღვთისმშობლის გამოსახულებაა, რომელსაც ბავშვი თითქმის ისე ჰყავს გულზე, როგორც ქვაისაჯვრის ქვის გამოსახულებაზე¹³ (სურ. № 81).

საყურადღებოა ლომის ბარელიეფური გამოსახულება (ქვა — 29X X52 სმ) და სხვადასხვა სახის ჩუქურთმითანი ქვები (სურ. № 82).

ერთ ქვაზე (56 სმX1 მ, კარის თავი?), წრეში ჩასმულ გრებილივით გამოკვეთილ ჯვრის მკლავებზე, 4 ჩიტი ზის. ქვაზე, რომელსაც ქვედა კიდე სწორი აქვს და გვერდები ზედა კიდითურთ მომრგვალო, გამოკვეთილია სწორმკლავებიანი ჯვარი, რომლის ტარი ბოლოში ღუზასავითაა ორივე მხრით ამოკაუჭებული (სურ. № 83).

ამავე ქვაზე ნუსხური ნ (ან წ) და თ ასოების კვალია.

ნანგრევებიდან ქვათა ნაწილი წაღებული და გამოყენებულია ს. კირიგის სკოლისა და კარაქმრეწვის შენობების კუთხეების ქვებად. ამბობენ, რომ აქაური ქვები ქვაისაში პირველად ამენებულ სახლების კედლებში იქნა გამოყენებულიო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვაისის მშენებლობის დროს აგებული პირველი სახლების კედლებში ქვაისაჯვრის ქვებიც გამოუყენებიათ. უმთავრესად კი კობეთის ტუფი უხმარიათ.

ს. ნადარბაზევის სამხრეთ უბანში, წიფლისა და თელას ტყესთან, ახოზე ძველი ნასახლარები ჩანს. აქ ქვას თხრიდნენ; მივედი და ადამიანის ძველი ჩონჩხის ნაწილები ვნახე.

სოფლის აღმოსავლეთ უბანში კუნძულისებრი ტყეა. აქ არავითარი ნაგებობა არაა, მაგრამ ძველი საკულტო ადგილია; თუ ვინმე ყვავილით ან წითელათი გახდა ავად, ავადმყოფის პატრონი აქ მოდის ნამცხვრებით, არყითა და საკლავით (ბატკნით). მოსული ალარდეს

¹³ წინამდებარე ნაშრომის გაფორმების შემდეგ გამოქვეყნდა ნათელა აღადაძე-შვილის საინტერესო წიგნი „ნიკორწმინდის რელიეფები“ (თბ., 1957), რომელშიც გამოქვეყნებულია ნადარბაზევის ღვთისმშობლის ფოტოსურათი (იხ. ტაბულები, 33, 1), მაგრამ მას ტაბულების სიაში შეცდომით ეწოდება „ქვაისა-ჯვარი. ფილარელიეფური გამოსახულებით“ და პირიქით, 33,2 ტაბულას აგრეთვე შეცდომით ეწოდება „ნადარბაზევის ფილა“. ნამდვილად 33,1 არის ნადარბაზევის ფილა, ხოლო 33,2 კი ქვაისა ჯვრისაა (შდრ. იმავე წიგნში გვ. 60). ჩვენ ორივე ეს ფილა ადგილზე გვაქვს ნანახი და მათი ფოტოსურათებიც გავაჩნია. შდრ. ქვემოთ, გვ. 117.

(ბატონების ღმერთს) შესთხოვს: „დიდება მას, მობრძანდეს გზით, შენ წაიყვანე ყვავილი, ჩვენ მშვიდობით დაგვეტოს და შენთვის ესა და ეს მომიერთმევიო“. (სურ. № 84).

სოფლის სასაფლაოს მაირამ ყუარს უწოდებენ. ალბათ, აქაც სალოცავი იყო.

სოფელშივე ერთი მშრალად ნაგები კოშკის ნანგრევია.

ნადარბაზეველი კიმოთე ყარაშანის ძე ალბოროვი (1956 წ. 77 წლისა), მიგვითითებს კობეთის (იხ.) რაღ-ყუარზე. შენიშნავს, იქ რკინის (ნამდვილად — ქვის) ჯვარიო და გვეუბნება, ივლისის ბოლო კვირას იქვე დიდ დღეობას (ქახცვანან ბუნ, — ლიტ. ბონ — ლოცვის დღე) ვიხდითო.

ნადარბაზევზე გიორგობასაც იხდიან, მაგრამ ამ დღეს შორეული სოფლებიდან არ მოდიანო.

დასახელებული კვირის შაბათს იწყება დღესასწაული ნადარბაზევზე და კვირა დილით რაღ-ყუარზე მიდიან.

აქედან ჩანს, რომ ნადარბაზევს რაღაც კავშირი აქვს რაღ-ყუართან.

თვით ნადარბაზევის შესახებ ამბობს ხსენებული კიმოთე, რომ ბატარა ვიყავიო, როდესაც ჩვენი სოფლის უზუცესს ჯახ ალბორიშვილს ენახა სიზმარი, ნადარბაზევზე ჯვარი განთავისუფლებას მოითხოვსო. შეყარა ხალხი და ახლა რომ აქ ქვები ჩანს, მან ამოალაგებინა მიწიდან. ჯახის დედა იყო მაისურაძის ასული რაჭის ს. წედინან; იმისი ძმიშვილები და იქაური მეზობლებიც გვშველოდნენ ადგილის გათხრაზეო. შემდეგ მაისურაძემ ინჟინერი მოიყვანა, ქვები ერთმანეთს მიაწყვეს და მღვდელს აწირვინეს, რაც სამწლიანი დეკეულის დაკვლითა და დიდი ღვინით დასრულდაო. ამის შემდეგ აქ ყოველწლიურად იკვლება ასეთი დეკეულიო.

კიმოთეს თქმულებად გაუგონია, ნადარბაზევზე იმდენი ფულია დაფლული, რომ თუ კი მას აღმოაჩენენ, სამჯერ უკეთესი სახლის აგებას შეძლებენ, ვიდრე აქ იყოო. ყოფილა კი ერთ-ერთი უშესანიშნავესი ქართული სასახლე, რომელიც დიდი ხანია, რაც დანგრეულა; სასახლის ბალავარზე უზარმაზარი ხეებია აზრდილი. ამ სასახლეს კავშირი უნდა ჰქონდეს არა მარტო ქვაისის ეკლესიასთან, არამედ ქუთაისის ბაგრატის ტაძართანაც (1003 წ.).

უდავოა, რომ დარბაზის გვერდით ეკლესიაც ყოფილა და სხვა ნაგებობათა (ჩრდილოეთით) კვალიც არის.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ქალი არ დადიოდა ნადარბა-


ზევზე და კაცები ჩხუბს გაუბოდნენო. „უალლაგ-ჟუართან“ (გვერდი 23) ჯვარი) ქალს არ მიესვლებოდა, არც აქაურ ამ უზარმაზარ ნეკერ-ჩხლის ხეებს შეეხებოდნენ მახვილით და აქაურ ქვას არ გატეხდნენო. აღნიშნულ სამ სალოცავთაგან (ნადარბაზ, ალარდე და მაირამ,— სასაფლაო) I ყველაზე დიდია. გვეუბნებიან: იმერეთის და ქართლის მეფეები ნადიმობდნენ აქაო, — ასე გაუგონიათ ჩვენ მამა-პაპებს რა-ჰველებსაგანო.

ჩემ წინაპართაგან, — განაგრძობს კიმოთე, — პირველი მოსულა აქ ზემბათ ალბორიშვილი (შემდეგ — ალბოროვი) კავკასის სოფ. ლუარიდან. ნადარბაზევზე ტყე დაჰხვედრია, მის ძირში შესულა ერთი ძველი სახლის ნანგრევში, შეუკეთებია ის და აქვე გარდაცვლილა. ყველაზე დიდი ქვა აქ მის საფლავზე ძევს. მას ზემბათის ლოდს ვუწოდებთო.

ფოლკლორულადაა საინტერესო კიმოთეს შემდეგი ნათქვამი: პაპაჩემის დროსვე მოსულა აქ ერთი ჩელდიშვილი (შემდეგ — ჩელდიევი. — იგივე ქელდიშვილი, ქელდიევი). ახლაცაა ამ გვარის სამი ოჯახი ამ სოფელში. ალბოროვები გავმრავლდით და ჩელდიევები კი — ვერა. მიხეზი შემდეგი გარემოება ყოფილაო: ჩელდიშვილის სახლს ეშმაკი შესჩვევია. იგი ღამით ყველაფერს კერასთან ალაგებდა ხოლმე, დადიოდა სახლში და სხვა. ჩელდიშვილმა ეშმაკი ვერ მოიშორა; მას-პინძელს დისშვილი ესტუმრა. მან აღუთქვა ბიძას, ეშმაკს მე მოგაშორებო. სტუმარმა მოიხურა ნაბადი, მიჯდა სახლის კუთხეში და როგორც კი გამოვიდა ეშმაკი ღამით, სტუმარმა თოფი უკულმა ესროლა (წაღმა რომ ესროლა, ვერ მოახვედრებდაო) ¹⁴ და მოკლა. მომაკვდავმა ეშმაკმა ჩელდიშვილი დაწყევლაო: შენს გვარში ერთი ორი არ გახდესო (ე. ი. არ გამრავლდესო), და მართლაც აღარ გამრავლებულან, სამი კომლი იყო აქ ჩელდიევი და ახლაც სამიაო. ხსენებული წყევლის ასაცილებლად ამ გვარის კაცთა ცოლები მშობლების, ე. ი. სხვა გვარების სახლში მშობიარობდნენ, მაგრამ არც ამან უშველაო.

ჩვენ კი, — ალბოროვები, განაგრძობს კიმოთე, — 24 კომლი აქა ვართ და ბევრიც კახეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაშიც გადასახლდაო. კიმოთე ძველ ნაგებობებს ც ა რ ც ი ა თ ე ბ ს მიაწერს.

¹⁴ როგორც ქართველებს, ისე ოსებს აქვთ წარმოდგენა, რომ გველსა და ავსულებს ანდამატი აქვთ ჩაყლაპული; თუ სათოფეზე ხარ, თოფი საითქენაც არ უნდა გაისროლო, მაინც ანდამატის მფლობელს მოხვდებაო.



64. ძეგლი



65. ი. შვგრედოძე ძაღინაში




66. გომართის ეკლესია



67. გომართა. ფრესკა ქალის გამოსახულებით




68 გომართა. ოთხკაციანი ფრესკა




69. გომართა. ფრესკის ფრაგმენტი წარწერით.




70. სეხთის ჯვარი




71. სოხოთის ეკლესიის ნანგრევები



72. სოხთის ეკლესიის ნანგრევები



75. სიონის ეკლესიის ნახევრეკების ჩუქურთმები




76. სიონის ეკლესიის ქვის ფიგურები



77. ქსავანი. ნაგებობის ნანგრევები




78. ქსაგანი. ჯვრის გამოსახულება



79. ქსაგანი. ღომის გამოსახულება




80. ნადარბაზევი. ორთავიანი ვეშაპი




81. ნადარბაზევი. ღვთისმშობლის გამოსახულება



82. ნადარბაზევი. ჩუქურთმითი ქვები



83. ნადარბაზევი. ღუზისებრი ჯვარი




84. ნადარბაზევი. თამარ მეფის სასახლის ნანგრევები




85. კობეთი. მიქელ-გაბრიელის ეკლესია



86. კობეთის ეკლესიის შესასვლელთან:
ი. შევრელიძე, მ. მინდიაშვილი




87. ქვათა ჯვარი. ეკლესიის ნანგრევები




88 ქვათა ჯვარი. ეგვიპტეში ღვთის სვენი.



89. ქვასხა ჯვარი. გრეხილი ჯაჭვი



90. ქვასა ჯვარი




91. ქვასა ჯვარი. ტრაპეზის ქვა



92. ქვისას გამოქვაბული



93. ი. მეგრელიძე ზღლის ეკლესიის
წარწერაზე მუშაობისას



94. ი. მეგრელიძე დოდოთის ეკლესიის ეზოში მუშაობისას

უფრო მეტს გვიამბობს ცარციათებისა და დარეჯანთების შესახებ ნადარბაზევიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე გულიანთის 15 მცხოვრები ანდო ტურას ძე ნანიევი (1956 წელს 95 წლისა და კარვად შემონახული კაცია), რომელთანაც მიგვიყვანა და ჩვენთანვე ესაუბრა მასვე აქაურმა მასწავლებელმა ზაქრო თომას ძე თებლოევმაც (დაბ., 1901 წ.).

ანდო ამბობს, ძველად სამი წარღვნა მომხდარა: პირველი — წყლით, მეორე — ცეცხლით (სოდომი და გომორა რომ ცეცხლის წვიმამ მოსპო. **ი. მ.**) და მესამე — ჭირით.

„ჭ ი რ ო ბ ა შ ი“ ა მ ო წ ყ დ ა შ ა რ შ ა თ (ცარციათები). ისინი ძალიან ძლიერი და განთქმული მეომრები იყვნენ. გახდნენ ავად; სადაც შედიოდნენ ჭირს აჩენდნენ და ამიტომ ოჯახში არ უშვებდნენ, მაგრამ მაინც შედიოდნენ; აქაც ყოფილან ისინი და მათი ჭირით თვითონაც და სხვებიც ამოწყვეტილანო.

დიდი ხნით უკაცრიელ ამ ადგილებში კავკავიდან მოსულა გულაროვი. მას შესძენია შვილები: თებლო, ზასე, ნანი, ხუგა, ბესთა, ბაზი და ნართიყო. ამათ შვილებს მამის სახელებით მიუღიათ გვარები: თებლოშვილი, ზასეშვილი, ნანიშვილი და ა. შ.

ნანიევები უკვე 40 კომლი ვართ ს. ნაკრეფაში (აქვე, გულიანთას მოსაზღვრე სოფელია).

შარშათ ფიცხ არსებად ითვლებოდა ალბათ. ახლაც ეტყვიან გაბრაზებულსა და ფიცხს ოსურად: შ ა რ შ ა თ ი ხ ო მ ა რ ხ ა რ, კ ა ც ო ო! და ხელს ხელზე დაარტყამენო.

ასეც იტყვიანო:

„შ ა რ შ ა თ ი ს ს ა ქ მ ე მ ი კ ვ ი რ ს, შ ე ნ ი ს ა ქ მ ე უ ფ რ ო მ ი კ ვ ი რ ს...“.

უმემკვიდრეოდ გარდაცვლილს დაატირებს დედა: როგორ შ ა რ შ ა თ ი ვ ი თ ა მ ო ვ ა რ დ ი, შ ვ ი ლ ო, ვ ის მ ე ს ს ა ხ ლ შ ი შ ე გ ე ნ ა ხ ა თ ა ვ ი ო.

ეს თავის შენახვა იმას ნიშნავს, რომ ვის გვარსაც ან კაცს ადრე სიკვდილი უწერია, თუ სხვის სახლში შევა ან სხვისი გვარით ივლის, სიკვდილი ველარ მიაგნებსო.

ანდოს თქმით, გულაროვი იყო დარეჯანის ჯარისკაცი, და ესენი ძლიერნი იყვნენ, კიდევ სხვა გვარიშვილები იყვნენ ნართები; დარე-

15 ეს სახელი ოსურად ასეა თარგმნილი: ზ ა რ დ ა - ყ ა უ, რ ა ც შ უ ა ა ნ გ უ ლ ს ო ფ ე ლ ს ნ ი შ ნ ა ვ ს.

ჯანთები და ნართები მაშინ გადაჩნენ, როცა შარშათები ამოწყდნენ და შემდეგ, გვიან დაწყდნენ ესენიცო.

დარეჯან-როსტომი იყო დარეჯანთების პირველი მეფე. ზალიან-ქალმს¹⁶ (ვეშაპს) ებრძოდნენ აბრან (ამრან, ამირან), რუსბი და ბადრი. ეს სამი ძმა სანადიროდ გავიდა, კლდეში გაძვრა, იქეთ აუარებელი ძვალი აღმოჩნდა.

ძმებმა დაილოცეს: ღმერთო, ეს ძვლები გააცოცხლე, მაგრამ არც ერთს თვალი არ მისცევო. ასეც მოხდაო. მაშინ ძმებს სთხოვეს გაცოცხლებულბმა:

რაკი ეს მადლი გვიყავით, ბარემ თვალიც დაგვიბრუნეთო.

აბრანმა თქვა: მივცეთო.

რუსბიმ თქვა: ნუ მივცემთ, ჩაგველაპვენო.

ძვლები ბრმებად დარჩა. თედოს ძვალი რომ გაცოცხლდა, ახლა ის ატყდა: ბრმა რად ვარ, ჩემ წინ ვინ დგახარო?

— მე, აბრან — დარეჯანი ვარო, — იყო პასუხი.

აბა, ხელი მომეცი, ვავიგო მაინც, როგორი ხარო, — თქვა მან.

აბრან აძლევდა ხელს, მაგრამ რუსბიმ არ დაანება, მოგტეხსო. აბრანმა ხე მისცა ხელში, გმირმა იგი დაამსხვრია და წარმოთქვა: ეს დიყა ბალახია, აბრანის ხელი ასე სუსტი როგორ იქნებოდაო. თანაც იკითხა: რით ცხოვრობთ ახლაო. აბრანმა უპასუხა: ყანაში ნეხვს დავყრით, მოისხამს და იმით ვცხოვრობთო.

გმირმა თქვა: თქვენ, უკაცრავად თქმაა, ნაკელის ჭამა დაგიწყიათ, ასეთი ცხოვრება მე არ მინდა და ისევ ბრმად დავრჩებიო.

ახლა აბრანმა ჰკითხა გმირს: აბა, თქვენ რას სჭამდითო. მან უპასუხა:

— ლითონი იყო მიწაში, როგორც მადანს, ისე ვიღებდით, ჩვენც ვჭამდით და ცხოველებსაც ვაჭმევდითო. შემდეგ რომ ცეცხლი გაჩნდა, ლითონიც გაქრა და ჩვენც ძვლებად ვართ ქცეულიო.

შემდეგ ჰკითხეს გმირს: აქ რამ მოგიყვანაო. მან უპასუხა: გველესაპმა ჩამყლაპა და აქ გამომაგდოო. საგზალი იქ, ხესთან მივაგდე ჩაყლაპვის დროს და ის მომიტანეთ, ერთხელ მაინც გავძლეო.

იქ მხოლოდ მიწა აღმოჩნდა და ერთი მუტა მოუტანეს. გმირმა ის გამოართვა, მუჭი მოუჭირა, ქონი აღინა, იგი მანვე შეჭამა, ხსენებულ მოპასუხე სამ ძმას უთხრა: თქვენი არა მინდა, რა ისევ ძვლად იქცა და გაიქცაო...

¹⁶ იგივე ზალიან-ზარიანს. ოს. ზალიან-ქალმ-ზარიან • გველი არის ვეშაპი.

ს. ნაკრეფას გზაზე ერთი მაღალი ქვა დგას. ანდო მას დუღრს, იგივე — ვაიჯ-დუღრს, დევის ქვას უწოდებს. თქმულებით, მგზავრი შეხვედრობა იმ დევს, რომელსაც ეს ქვა მოჰქონდა; დევს ქვა დაუგდია და გაქცეულა, შემდეგ ის ქვა ველარავინ დაძრა ადგილიდანაო (შდრ. ხეწე).

ერთ-ერთ გმირს ანდო აბელ-ტარიელს, ხან კიდევ — აბელ-მაკასს უწოდებს; ამან ადამიანთა განთავისუფლებისათვის პირველმა დაღვარა სისხლიო.

ზაპაძს, ანუ საძვლეს, ანდო სარდაფ-საფლავს უწოდებს; ძველად სცოდნიათ იგი, ციხეს რომ ააგებდნენ, იქვე ასეთ სამარხს აკეთებდნენო.

ანდო ასეთ გადმოცემასაც გვიამბობს: კუდაროზე მეფემ ცხენით ამოიარა. ცხენს გზაში რატომღაც ბეჭი ასტივდა, წედისში ჩირქი გამოუვიდა და კუდაროში მოკვდა. ამიტომ ამ ადგილს კუდარო [მკვდარო] დაარქვეს. მეფეს აქედან გზაში ერწომდე თოვლი მოეწია და იმ ადგილს ზამთარეთი დაარქვესო (ზემოთ დავასახელებთ ეს სოფელიც).

ანდომ იცის წიგნის „ეფრემვერდის“ შესახებაც. მომაკვდავი ქადაგი ქალი რასაც უკანასკნელ ერთ წელს ლაპარაკობდა, ის წერია შიგო.

თუ როგორ იქმნებიან თქმულებები, ამის ერთ-ერთ მაგალითად საინტერესოა ანდოს ეს თქმა: საქართველოს მეფე ერეკლემ ასი წლით მისცა რუსებს გირაოდ ოსები და პირობა ჩამოართვა, შემდეგ ოსებს ჰკითხეთ, ვისთან გინდათო და როგორც ისურვონ, ისე მოექცეთო.

სოლომონ ბრძენს ანდო სოლომონს უწოდებს.

ს. კიროვში ქვევრები აღმოჩნდა მიწაში და იქვე ახალდარგული ვენახებიც ვნახეთ.

ანდო ამბობს: წინათ აქ ვენახები და ხეხილის ბაღები იყო. ჩვენს ტყეებში ისეთი ყურძენი მინახავს, როგორიც რაჭაში, სადაც მე ბეგრჯერ და ხანგრძლივადაც ვყოფილვარო.

ანდრო ავტორიტეტული მოხუცია აქაურ ოსებში; მისი ცხოვრების გზა ძალიან ჰგავს ზემოხსენებულ (იხ. ედისი) და მოკლედ გადმოცემულ დავეთ ლევანის ძე ბეგიზოვის ცხოვრების გზას.

მდებარეობს მორეხის წყლის (მორეხ-დონის) ხეობაში ქვაისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით (?) 12 კმ-ზე. თვით ს. მორეხაში 3 კომლი ცხოვრობს (სურ. № 85).

ს. საჯილზაზში (ნაკრეფას იქით), რომელშიც დიდი ციხეა, სტირ-მასიგს, ანუ დიდ ციხეს, უწოდებენ. ოსური საჯილზაზ ასე იწოდება: საჯილ — ორტოტი, ზაზ — ბზა (= ორტოტა ბზა).

პოეტ ილია კავკაზაგის თქმით, მისი მშობლიური სოფელი ყვესელთა (საჯილზაზს ზემოთ მდებარეობს) ქართულად ჯაჭვენარს ნიშნავს.

ხეობის უკანასკნელი სოფელია ლეთი (შდრ. მლეთი). კობეთიდან აღმოსავლეთით 3 კმ-ზე რალ-ჯვარია (საძვრებია აქ). კობელთა გადმოცემით, აქ დიდი და მაღალი მთლიანი ქვის (ქვაისა) ჯვარია.

აქედან ყვესელთით გზა უდღეს უღელტეხილით გადადის ქ. ვლადიკავკაზში (ნახევარი დღის სავალია). ს. მორეხაში აბანოა (გაზიანია, რევემატულ დაავადებებს უხდება) და იქვე მინერალური სასმელი წყლებიცაა, მაგ., სოდიანი წყალი და „სასუნებელი“ (გაზიანი წყაროც). მისი ტალახიანი წყალი ცივია, ძეწკვებს ყრის და ხვწის გაზიან გრიფონსავით იყენებენ. ავადყოფები აქ რაჭიდანაც დადიან.

კობეთში ნარზანის ტიპს მინერალური წყალია. აქვე, მდინარე კუდაროს მარცხენა ნაპირზე, ცხინვალის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკია.

კობეთში ძველი ეკლესია, ნანგრევზე ყოფილა მიდგმული. მათე საჩინოს ძე ჯაჯიევს (საკუთარ წინაპრებს ჩრდილო ოსეთიდან მოსულად თვლის) ახსოვს მამის სიტყვები, რომელსაც უთქვამს, რომ ს. კობეთში სალოცავად მოსულა ერთი რაჭველი, რომელსაც ასული ჰხლებია. კობეთის მიქელ-გაბრიელისათვის რაღაც შეუთხოვია, მოზვერი დაუკლავს და ხალხი მიუწვევია. გამოუცხადებია, რომ ჩემი ასულის სურვილია, ეს ეკლესია აღდგესო და ქვის მთლები დაუქირავებია, მოხელეებიც მოუყვანია და საყდარი კი აღარ განუახლებია, არამედ ხელახლა აუგია (სურ. № 86).

ამ გუმბათიანი საყდრის კედელში ძველი ქვებიცაა გამოყენებული. ეკლესიის დასავლეთ სამრეკლოს კედელზე კარის მარჯვნივ და მარცხნივ, ჩასკვნილი დამოუკიდებელი ორი ჯვრის გამოსახულება.

სამხრეთ კედელზე კაცისა და მზის საათის გამოსახულება ჩანს. ხელები აპყრობილი აქვს. ამავ კედლის დასავლეთი სარკმლის ქვეშ, ერთ ჩუქურთმოვან ქვაზეა: „1899“, ე. ი. ამ წელსა ეს საყდარი აღდგენილი. ჩრდილოეთ კედელზე წრეში ჩასმული ერთი ჯვარია.

ქ ვ ა ი ს ა

კვაისა, ანუ უფრო სწორად — ქვაისა ჯავის რაიონის ს. ჩასავლის გამგეობაში, მდ. ჯეჯორის, ანუ ჯოჯორის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს. აქ ტყვიის მადნის ამოღება წარმოებს; აქედანვე გააქვთ კუდაროს ბარიტი.

სოფლის თავზე (ტყვიის საბადოსთან), ტყიან გორაკის მწვერვალზე, არის ეკლესიის ნანგრევები. ამ სიძველეს კვაისა-ჯვარს უწოდებენ¹⁷. მისი ღღობა 25 ნოემბერს იმართებოდაო. ნაგებობის ფორმა ძალიან მოგვაგონებს ს. ხეწის მაცხოვრის ნაგებობის ფორმას. ჯავის ჯვრის ნაგებობის განი შიგნიდან 4,10×4,10 მ-ია; სიგრძის კედელს (აღმ.-დას.) საკურთხევლის კედელი (2,40 მ.) ემატება. შენობის თითქმის შუა წელში (დასავლეთიდან 2 მ-ზე) სარტყელი ჰქონია, რომლითაც კუსირეთის ეკლესიის ნაგებობას მოგვაგონებს (სურ. № 87).

შენობას კარი მხოლოდ დასავლეთიდან ჰქონია. საკურთხევლის სამხრეთ კედელში თაროა.

ერთ დიდი, ბრტყელი, მუქი ფერის ქვაზე (განი — 1,8 მ., სიმაღლე 0,56 სმ) ეგვიპტეში ლტოლვის სცენაა გამოსახული¹⁸. ფილას მარცხნივ აქვს ნუსხური წარწერა, შემდეგ გამოსახულია მგზავრი (წვერიანი კაცი), რომელსაც მარჯვენა ხელში გრძელი, თავწახრილი ჯონი აქვს, მარცხენა ხელი ჯორზე უძევს, რომელზეც ზის ღვთისმშობელი ქრისტეთი. ჯორის ლაგამი ანგელოზს უჭირავს. (სურ. № 88).

¹⁷ კვაისას ძველათ უნდა რქმეოდა ქვაისა და კვაისაჯვარს — ქვაისაჯვარი. შტრ. გურიში ასკანისა და ქაჭეთის ზემოარსებული სოფლის სახელწოდება ვანის-ქედი; ადგილობრივები წარმოთქვამენ ვანისკეთი.

¹⁸ სურათი იხ. ნ. ალადაშვილი. ნიკორწმინდის რელიეფები, ტაბ. 33.2 (მტრ. ზემოთ, გვ. 110, შნშ. 13).

ქვის მარცხენა ნაწილზე წარწერაა:

„არსნს
და მო¹⁹
შბთმს
თაშ
ონდ
ნს²⁰
ლა“.

ქარაგმების გახსნით:

„არსენს და მშობელთა მისთა შეუნდნოს
ღმერთმა (6)“.

ერთ ქვაზე გრეხილი ჯაჭვი და სამი თვალისებრი (1 დიდი და 2 პატარა) გამოსახულება. სხვა ქვაზე 4 ისეთივე პირლია წრეა (მრგვალი ამოჭრილები), როგორც ნიქოზისა (იხ. ჩვენი სათანადო ნაშრომი, ცხინვალის პედიინსტიტუტის შრომები, ტ. I, გვ. 294, სურ. 14) და კუსრეთის ნაგებობეშია (სურ. № 89).

სხვა ქვაზე ჯვარი (სიმაღლე — 50 სმ., მკლავები — 45 სმ) დგას კვარცხლბეკზე. ჯვრის მკლავებთან თითო კაცი დგას, რომლებსაც ჯვრიანი ხელები აქვთ აპყრობილი (სურ. № 90).

ცალკე ქვაზე (1,50 მ სიმაღლისა, განი — 60 სმ) დაგრავნილი ვეშაპია გამოსახული, რომლის პირიდან იონა გამოდის და ცალი ხელით ეკლესიის იმ მოდელს ებლაუჭება, რომელიც ქტიტორს უჭირავს ხელში.

სხვა სახით, სადაც ქტიტორი ეკლესიის მოდელს აწვდის მაცხოვარს, გავრცელებული სცენაა შუა საუკუნეების კედლის მხატვრობაში. იგი ცნობილია საქართველოშიც; მაგ., ის IX საუკუნის პირველი მეოთხედის წარწერიან ქვაზე გვხვდება²¹, რომელზეც აშოტ კუროპალატია გამოსახული.

* * *

ქვაისის დასავლეთით, ს. ჩასაველში, მდ. ჯეჯორის (ჯოჯორის, მდ. რიონს ერთვის ონში) ნასახტრალს მარიამ-ჯვარს (მარიამ-ყუ-

¹⁹ ქვაზეა ასე.

²⁰ ასე წერია.

²¹ იხ. ნ. ალადაშვილი. რელიეფი ოპიზიდან აშოტ კუროპალატის გამოსახულებით. — საქ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IX, № 7, 1954, გვ. 553—558.



არს) უწოდებენ. ქვის ბოძი (დიდი ტრაპეზის ქვა) დგას (სურ. № 91) ისევე, როგორც წრეში. საყდრის შენობა არ ახსოვთ; სოფელში ორი კოშკის ნანგრევებია. ს. ჩასაველის ჩრდილო-დასავლეთით კლდეებია, რომლებშიც ორი დიდი და სხვა პატარა მღვიმეებია. დიდთაგან ერთი სამხრეთის, მდ. ჯეჯორის მხრითაა, მეორე — ჩრდილოეთით. ამბობენ, რომ ამ კლდეში გრძელი გვირაბია და შიგ ერთგან მოზრდილი ქაობიანო (სურ. № 92).

ს. ჩასაველიდან ქ. ონამდე 30 კმ-ია.

მარიამ-ჯვარის სასაფლაოზე თარიღებიანი ქვები გვიანდლებია. მაგ., ერთ-ერთ მათგანზე წერია:

„ფ ი დ ო გ უ ჯ ო ს ძ ე ხ უ გ (ა) ე ვ ი გ ა რ დ ა ი ც ვ ა ლ ა
1 8 9 4 წ ე ლ ს (,) ღ ვ ი ნ ო ბ ი ს თ ვ ი ს 5-ს დ დ ე ს ა (.)“

და ვ ტ ო ვ ე ო თ ხ ი ვ ა ყ ი და ო თ ხ ი ქ ა ლ ი (.) წ ა მ-
კ ი თ ხ ვ ე ლ ო...“

* * *

ქვაისასთანაა დაკავშირებული კუდარო და მისი ბარიტის წარმოება.

კუდაროში, ბუბის მთაზე, ორი ეკლესიაა. პირველს ყაუატის (ოს. ყ ა ვ ა თ-ყ უ ა რ) და მეორეს ვერხნალის ჯვარს უწოდებენ. უკანასკნელის კედელში ბარიტის ქვებია (მარმარილოს ჰვავს) გამოყენებული. ეს შეუნიშნავთ და, ინიქინერ ნიკოლოზ რეხვიაშვილის თქმით, რომელიც აქ 11. VIII. 1956 წ. ვნახეთ, დაუსკვნიათ, რომ ბარიტის საბადოც აქვე უნდა იყოს, თორემ ძველად აქ ასეთ ქვებს შორიდან არავინ მოიტანდაო. უწარმოებიათ დაზვერვითი გათხრები და ბარიტის დიდი მარაგი აღმოჩენილა.

აქ წარწერებს ვერ ვხედავთ.

* * *

ქვაისიდან და ერწოდანაც (18 კმ-ზე) თედელეთის გაშვებობაა, რომლის სინავურის, ჯალაბეთის, ქარზმანის (ქართ. სოფ.), ტბეთის (ქართ. სოფ.), ხახეთისა და თვით თედელეთის სოფლებშიც არისო ზოგიერთი სიძველე და, თედელეთელ ალექსანდრე ასლანის ძე თანდელაოვის თქმით (1956 წ.), წარწერებიცაა ამ სოფელთა ზოგი-

ერთ ეკლესიაზე, რასაც ადგილზევე სჭირდება შემოწმება როგორც ადგილზევეა შესამოწმებელი აქაური ტოპონიმია²².

* * *

მას შემდეგ, რაც 1926 წლიდან ე. პხელინა, შემდეგ — ბ. კუფტინი (1945) და სხვები წერდნენ, კერძოდ ჩვენ ჩვენი კუთხით დავბეჭდეთ შემოწარმოდგენილი ფაწისა და ჯეჯორის ხეობების სიძველეების აღწერილობები წარწერათა წაკითხვებითურთ (ცხინვალის პედინსტიტუტის შრომები, ტ. VII, 1959, გვ. 164—180), არავის არ გაუკვირდება, თუ ვიტყვით, ზედმეტად პრეტენზიულია რ. მეფისაშვილის განცხადება: „ჩვენ 1946 წ. მივაკვლიეთ ჯავის ზევით, მალღა მთებში“ ქვაისა-ჯვარს, ნადარბაზევს, ქასაგინას

²² სათანადო ლიტერატურას შეემატა ი. სიხარულიძის ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია (აჭარის ასსრ)“, წ. I, ბათუმი, 1958, 248 გვ.; II, ბათუმი, 1959. 192, გვ.; წიგნი ბევრს მოიგებდა, რომ მასში ხუთვერსიანი რუკის მონაცემებიც ყოფილიყო აღნიშნული სათანადო შემთხვევებში. მით უფრო, რომ არსებობს წიგნიც Д. Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края, тб., 1913.

ი. სიხარულიძეს ლიტერატურის მიმოხილვა უცდია შესავალში. მასში, სწორ დებულებებთან ერთად, ზოგიერთი ავტორის ღვაწლი განდიდებულია და ზოგისაც კი — უგულვებლყოფილი. მაგ., აქ არაა დასახელებული ე. თაყაიშვილის, პ. იოსელიანის, ბ. კუფტინის, პ. უშაკოვის, ლ. მელიქსეთ-ბეგის, ს. ჯიქიას (დავთარი წ., II), ალ. დლონტის („ტოპონიმური მასალები“, 1955), ჩვენი («Лазский и мегрельский слои в Гурийском», 1938) და რიგ სხვათა სათანადო ნაშრომები.

დართული შენიშვნების ლინგვისტური ანალიზები რიგ შემთხვევებში მეტ სიღრმესა და სიზუსტეს საჭიროებენ.

უადგილოდ მიგვაჩნია ავტორის განცხადება: „ჩრდილო-კავკასიური [ჩერქეზულ-ადიღური, ი. მ.] ტიპის სახელწოდებანი აფხაზეთში თითქმის ფეხის ყოველ გადადგმაზე (!) გვხვდება. შედარებით იშვიათად, მაგრამ მაინც საკმარისად (!) ვხვდებით ამგვარ ადგილთა (!) სახელებს დას. საქართველოს სხვა რაიონების, განსაკუთრებით გურიის (!), ტოპონიმიაში-ო“ (გვ. 17) და ესაო, — ავტორი იმოწმებს ს. ჯანაშიას ნაშრომს, — „აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი ნაკვლევი-ო“ (იქვე). ამ თვალსაზრისის განვითარების ცდა უიმედოა. ი. სიხარულიძეს ზოგიერთი დასკვნა უნდა გაეკეთებინა იმ დისკუსიისაგან, რომელიც პ. ინგოროყვას წიგნის გამო წამოიჭრა.

და სოხტასაკო²³. ფაქტია, რომ მას ჩვენზე ადრე (1959) ამავე ტიპის
 ლების შესახებ არაფერი არ დაუბეჭდავს. ჩვენ დიდად ვაფასებთ
 ხსენებული მეცნიერის ხელოვნებათმცოდნეობით გამოკვლევებს,
 მაგრამ მან სხვებსაც თავისი უნდა მიუზღოს²⁴.

საყურადღებოა რ. მეფისაშვილის შენიშვნა: ნადარბაზევის, ქვა-
 ისა-ჯვრის, ქასაგინას ტიპის ტაძრები საქართველოშია და სხვაგან არ
 გვხვდება (გ. ჩუბინაშვილზე დაყრდნობით); სწორია ავტორის დაკ-
 ვირება — ქვისა-ჯვარზე (და სოხტასა ჯვარზეც) უფრო მეტად და
 რელიეფურად გვხვდება ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებანი,
 ვიდრე ამავე კუთხის სხვა ძეგლებზე, „თიღვა დიდი ხუროთმოძღვრის
 მიერაა აგებული“²⁵ თუმცა დეკორატიულად ნაკლებაა გაფორმებუ-
 ლი (დასრულდა 1152 წელს); ჩუქურთმებით უმდიდრესია 20 წლის
 შემდეგ აგებული იკორთის ტაძარი (1172 წ.).

ძეგლების შედარებით შესწავლა (იხ. ზემოთ თირის მონასტერი)
 და საისტორიო წყაროები ადასტურებენ, რომ კუდარო ისტორიული
 რაჟის ნაწილია²⁶; რაჟიდან იმერეთიც შიდა ქართლს უმთავრესად
 ქვისა-სოხტას გზით უკავშირდებოდა.

²³ რ. მეფისაშვილი. ზოგიერთი ისტორიული ძეგლი სამხრეთ ოსეთში. —
 ქურნ. „ძეგლის მეგობარი“, 1968 წ. № 14, გვ. 12.

²⁴ შდრ. ჩვენი რეპლიკები გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში“, 1967 წ.
 6 იანვარი, № 2. გვ. 2, და № 3, გვ. 4, წერილი — გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“,
 1967 წ., 7 მაისი, გვ. 3.

²⁵ რ. მეფისაშვილი, იქვე, გვ. 12.

²⁶ შდრ. იქვე.

რ ე ც ე ნ ზ ი ა

თავის დროზე ჩვენ დავწერეთ რეცენზია — დასკვნა იოსებ მეგრელიძის ვრცელ ნაშრომზე, რომლის ნახევარი დაიბეჭდა სათაურით „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ (თბილისი, 1984). მან მკითხველთა და სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო. ცნობილმა ეთნოგრაფმა და სიძველეთმცოდნემ ლ. ჩიბიროვმა¹, აღნიშნა რა ნაშრომის დიდი მნიშვნელობა, წამოაყენა საკითხი მისი მეორე ნაწილის გამოცემის შესახებ.

ასეთივე აზრისა ვიყავით ჩვენც ადრინდელ დასკვნა-რეცენზიაში. ახლა, ნაშრომის ნაწილის გამოქვეყნებამ უფრო განამტკიცა ჩვენი აზრი.

სარეცენზიო ნაშრომში შესწავლილია მდ. პატარა ლიახვის, ფრონეს, ფაწისა და ჯეჯორის ხეობებში შემორჩენილი ისტორიული ძეგლები, საკულტო და თავდაცვითი ნაგებობანი, გადმოცემულია მათი ისტორია, თანამედროვე მდგომარეობა, მათზე არსებული ქტიტორული და სხვა ხასიათის წარწერები, საფლავის ქვების ეპიტაფიები. ხაზგასმულია ის გარემოება, რომ წარწერათა უმრავლესობა თვით იოსებ მეგრელიძის მიერაა მიგნებული და წაკითხულ-ფიქსირებული.

იოსებ მეგრელიძე სიძველეებისა და წარწერებზე მსჯელობისას კომპლექსურ მეთოდს მიმართავს. ისტორიულ მონაცემებთან ერთად, იგი ფართოდ იყენებს ეთნოგრაფიულ, ფოლკლორულ და მითოლოგიურ მასალას, რომელიც შემორჩა ადგილობრივ მოსახლეობაში მათთან დაკავშირებით.

ნაშრომის უდავო ღირსებად მიგვაჩნია შესწავლილი რეგიონის ქართული და ოსური მოსახლეობის ყოფის ფართოდ ასახვა. მოცემულია სოფლების გეაროვნული და კომლობრივი შემადგენლობა, ლაპარაკია მათს მეურნეობებზე, სკოლებსა და სხვა დაწესებულებებზე, მოსახლეობის ზნე-ჩვეულებებზე. ყურადღების გარეშე არ

¹ ლ. ჩიბიროვის რეცენზიები დაიბეჭდა გაზ. „საბჭოთა ოსეთი“, 1984 წ., 3. X. „სოვეტსკაია ოსეთია“, 1984. 25. IX. „სოვეტონ ირისტონ“, 1984, 25. IX.

დარჩენილა ენათა კუთხური თავისებურებებიც. ავტორის ექსკურსიები ქართულ-ოსური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის საკითხებზე მეცნიერულ საფუძვლებს ემყარება და ხალხთა თანამეგობრობის განმტკიცების კეთილშობილურ საქმეს ემსახურება. იშვიათად გვეგულება წარსულზე შექმნილი ნაშრომი, რომელიც ასე ეხმაურება თანადროულობას, როგორც ეს იგრძნობა ი. მეგრელიძის წიგნში.

ნაშრომის ასევე დიდ ღირსებად მიმაჩნია ავტორის მიერ შესასწავლ რეგიონთან დაკავშირებული ლიტერატურის ფართოდ გათვალისწინება, ავტორებისადმი კორექტული დამოკიდებულება, ის გულთბილი მადლიერება, რაც გამოთქმულია იმ ადამიანებისადმი, ვინც ავტორს ადგილზე მუშაობაში დახმარება აღმოუჩინა.

სარეცენზიო ნაშრომი კარგადაა ილუსტრირებული, ახლავს მხარის სქემატური რუკა.

სარეცენზიო წიგნი უდავოდ იმსახურებს გამოცემას. იგი სასარგებლოა მეცნიერებისათვის და დიდ სიხარულს მიანიჭებს მხარის მრავალრიცხოვან მოსახლეობასაც.

გ. თოგოშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჭავჭავაძის
სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის უფროსი
მეცნიერი თანამშრომელი

12. X II. 1984

რ ე ც ე ნ ე ი ა

გამომცემლობა „საქართველომ“ გამოსცა იოსებ მეგრელიძის წიგნი „სიძველეები ლიახვის ხეობაში“ (1984 წ. 320 გვ.). ეს ეროვნულ-კულტურული მნიშვნელობის ფაქტია და მასზე კარგი რეცენზიებიც დაიბეჭდა.

ესაა იმ ნაშრომის ნახევარი, რომელზედაც ვრცელი რეცენზია დაეწერე და, მაშასადამე, ეს ნაწილიც მოვიწონე მაშინ. ახლა მით

უფრო მოსაწონია იგი, რადგან ავტორს ნაშრომი გაუმდიდრებია მასალებით.

ეს ნაშრომი პატარა ლიახვისა და ფრონის ხეობის სიძველეებით კიდევ უფრო საინტერესოა, რადგან გორი-ცხინვალი-როკა უფრო შესწავლილი იყო, ვიდრე სამხრეთ ოსეთის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილი. აქაა აღწერილი თიღვის ტაძარი, რომელზედაც მხოლოდ ლ. რჩეულიშვილის შრომა არსებობს, სოხთა-ქვაისის სიძველეებზე კი რ. მეფისაშვილის და ნ. ანდლულაძის წიგნია. დანარჩენი ოსებ მეგრელიძის მიერ შესწავლილ ასამდე ძეგლსა და ამაზე მეტ საფლავის ქვების წარწერებზე არავითარი ცნობა ლიტერატურაში არ არის. ეს ისეთი სიახლეებია, რომ საშურია თუნდაც ამ ცნობების გამოქვეყნება. ამიტომ იყო, რომ ი. მეგრელიძის ნაშრომი „წორბისის წარწერები და სხვა სიძველეები“ (IX ს.), გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა (1981, 4. III) აკაკი შანისის წინასიტყვაობით.

ასევე სიახლეები დაბეჭდა ი. მეგრელიძემ წუნარის, ყორნისის, ქვაისის, სოხთის, რუსთავის, სთირმეიგის და სხვათა შესახებ. აქვე შესწავლილია სიძველეები პატარა ლიახვის ხეობისა: ერედვი, არბო, დისევი, ვანათი, იკორთა, ფრონისა, ტბეთი, ავნევი, წუნარი და სხვა.

კიდევ უფრო არსებითია, რომ ნაშრომში წარმოდგენილია ამავე ხეობათა ოსი და ქართველი მოსახლეობის ეთნოგრაფიული, ფოლკლორული და ენობრივი თავისებურებები.

ყოველივე ეს ილუსტრირებულია ფოტოსურათებითა და ჩანახაზებით. ნაშრომს ახლავს ამავე ხეობების სქემატური რუკა.

დარწმუნებული ვარ, რომ იოსებ მეგრელიძის ეს ნაშრომიც ახლანდელ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ისტორიული მნიშვნელობის ძეგლთა და ადამიანების შესახებ, ასევე მოწონებას დაიმსახურებს, როგორც პირველმა წიგნმა.

ილია კაკვაზაგი

მწერალი, ფოლკლორისტი, ნართოლოგი.

1984. 14. XII.

იოსებ მეგრელიძე წლების განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს ქართულ სიძველეებზე. 1952—1982 წლებში მან გამოაქვეყნა 17 წერილი აკადემიურ ორგანოებში საერთო სათაურით „ლიახვის ხეობის წარწერები და სხვა სიძველენი“. იგი შემდეგ გამოიცა წიგნად. ნაშრომმა თავიდანვე მოწონება დაიმსახურა სპეციალისტთა შორის. მას გამოეხმაურნენ ვ. კრაჩკოვსკი, ს. კაკაბაძე, გ. ლეონიძე, ალ. ბარამიძე, ალ. კალანდაძე და სხვები. ეს გასაგებია, რამდენადაც იოსებ მეგრელიძემ ამ ნაშრომით ახალი მასალები შესძინა ჩვენს მეცნიერებას.

ამგვარი მუშაობის გავრძელებაა წარმოდგენილ ნაშრომშიც. აქ მოყვანილი და გაანალიზებულია IX—X საუკუნეების ძალზე საყურადღებო წარწერები. მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: 1. ერედვის წარწერა 906 წლისაა, 2. წორბისში აღმოჩენილი წარწერა IX საუკუნისაა, 3. სოხთის, ნადარბაზევის, ქასაგინის, დოდოთის, ცხრაკარას ეკლესიათა წარწერები XI—XII საუკუნეებისაა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ IX საუკუნის წარწერა, წორბისში აღმოჩენილი იოსებ მეგრელიძემ გამოაქვეყნა გაზ. „კომუნისტში“, აკ. შანიძის შესავალი წერილით, სადაც ის მაღალ შეფასებას აძლევს ი. მეგრელიძის წერილს. მთელი ეს მასალა ნაშრომში წარმოდგენილია ილუსტრაციებით. სრულად არის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურა, წარწერათა ტექსტები დადგენილია მეცნიერულად. გარდა ამისა ნაშრომში აღწერილია ამ მხარეთა ყოფა-ცხოვრება, ისტორიული ძეგლები, წარსულთან ერთად ვეცნობით თანამედროვე ცხოვრებასაც, რაც ნაშრომს ღირსებას მატებს.

იოსებ მეგრელიძის ნაშრომი შესრულებულია მაღალ მეცნიერულ დონეზე. დარწმუნებული ვართ, მას ჩვენი საზოგადოება ისეთივე ინტერესით მიიღებს, როგორც მიიღო ამავე ავტორის პირველი წიგნი.

შ. ონიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

ს ა რ ჩ ი მ ე ნ ი

ნაშრომის გამოცემის ისტორია	5
ავტორისაგან	9
წინასიტყვაობა	10

თ ა ვ ნ ი I

წარწერები და სხვა სიძველეები პატარა ლიახვის
ხეობაში (დიცი — ტირძნისი)

დიცი	14
ქორღი	16
არბო	17
მერგეთი	23
ქორღი	25
კარბი	25
კოშკა	27
ღისევი	27
შარები	32
სათიხარი-ქსუსისი-დმენისი	34
უანათი	34
ღარისი	35
ერედვი	37
გერი	40
წრუ	43
კინასი	45
იკორთა	45
შერთული	64
შარანა	65
ტყვიავი	66
ტირძნისი	68

თ ა ვ ნ ი II

ფრონის ხეობა
(წუნარი-გომართა)

წუნარი	70
ტბეთი	72

რედაქტორი ა. ლლონტი

ტექნიკური რედაქტორი შ. ანუაშვილი

გადაეცა წარმოებას 11.02.97; ხელმოწერილია დასაბეჭდად 30.05.97;
საბეჭდი ქალაქი 60X84¹/₁₆; სააღრ.-საგამომცემლო თაბახი 8,74;
პირ. ნაბეჭდი თაბახი 10,90; ტირაჟი 1000; შეკვ. № 41.

ფასი სახელშეკრულება

გამომცემლობა „სამშობლო ფორტე“
თბილისი, 1997

სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი“,
თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

